

964
1938

საქართველო

საქართველოს ეროვნულ . დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო

L'Organe de la démocratie nationale géorgienne „LA PATRIE“



დეკემბერი - იანვარი

Décembre - Janvier

№ 23-24



შ ი ნ ა ა რ ს ი :

- | | |
|--|----------------|
| 1. სხვათა და ჩვენთა აღრევანი | აღ. ასათიანი |
| 2. მსოფლიოს ავკარგი | რ. ინგილო |
| 3. სიმონ მდივანი (ნეკროლოგი) | ** |
| 4. საქართველოს ტერიტორიის საკითხი | ელ. პატარიძე |
| 5. პატრიოტობაც ასეთი უნდა | ბ. სამხარაძე |
| 6. ქართული ემიგრაცია ტერიტორიის საკითხზე | ** |
| 7. ილია ჭავჭავაძე (მოგონება) | მ. ფავახიშვილი |
| 8. ოსმალეთის მოღვაწე კავკასიის შესახებ | ** |
| 9. ჰაიდარ ყაენის შემოსევა | ნამი |
| 10. ქარიშხლის მოლოდინში | გ. აბულაძე |
| 11. წითელ არმიელთა კონცერტები | პ. მოსულიშვილი |
| 12. სასოფლო მეურნეობის შესახებ | დ. უგრეხელიძე |
| 13. ეროვ. დემ. პარტიის 20 წლის თავი. (ყრილობა) | ** |
| 15. პრესსა | |
| 16. თავისუფალ ყაზახთა იუბილე | გ. ა. |
| 17. ემიგრაციაში | ** |

პარიზი — Paris

1938

საქართველო

საქართველოს ეროვნულ . დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო

დეკემბერი-იანვარი 1938 წ. № 23-24 Décembre-Janvier 1938

სხვათა და ჩვენი აღკვეთა

არა მხოლოდ ჩვენსავით მწარე ყოფაში ჩავარდნილნი და ტე-
დის წალმა შებრუნების მომლოდინენი, არამედ ყველა დიდი და პა-
ტარა, ძლიერი და სუსტი ერი, გულის ფანცქალით ადევნებს თვალ-
ყურს იმ საშინელს ორომ-ტრიას, რომელიც კარგა ხანია დამკვი-
დრდა მსოფლიოში. უკვე აღარავის მიაჩნია სადავოდ, რომ კაცობ-
რიობა უახლოვდება სწრაფის ნაბიჯით უდიდეს მსოფლიო ომსა და
შეხეთქებას. საერთო წარმოდგენით ეს მომავალი ომი იქნება შეუ-
დარებელი უფრო მრისხანე და გამანადგურებელი, ვიდრე იყო უკა-
ნასკნელი დიდი ომი... ამის გამო ბუნებრივია, რომ ყველა სახელ-
მწიფონი შიშით მოელიან მას და თითქოს ყოველივე ზომასაც ღე-
ბულობენ მის თავიდან ასაცდენად. მსოფლიო ომის შემდეგ ხომ და-
უყონებელი შეუდგენ ისინი სამუდამო ზავისა და მშვიდობიანობის
დამკვიდრებას. სამშვიდობო საქმისათვის მუდმივი საერთაშორისო
ორგანოც დაარსდა — ნაციათა ლიგა და მრავალი პაქტი და ხელშე-
კრულობა დაიდვა ლიგის შემწეობითა თუ მის გარეშე საერთო ზა-
ვისა, თუ ნაწილობრივ დაზავებათა შესახებ.

ამ მუშაობამ თითქოს რეალური ნიადაგიც განიმტკიცა იმით,
რომ 1931 წლის დამლევს დამყარდა ერთგვარი ზავი შეიარაღების
საქმეში და დროებით თითქოს შეჩერებულ იქმნა მისი ზრდა. ეს დი-
დი მიხწევა იყო საერთო „განიარაღებისათვის“, რომლის გარშემო
დიდი და ფიცხელი მუშაობა დაიწყო ახალი კონგრესებისა და ნო-
რმალური დიპლომატიური გზებით.

კაცობრიობა ამიერიდან დიდთ დაშორდა ამ მშვიდობიანობი-
სა და განიარაღებისათვის მუშაობის ხანას. ის უკვე ახდილად და საფუ
ძელიანთ გადაბარგდა საწინააღმდეგო პოზიციაზე — სწრაფი შე-
იარაღებისა და ომის მზადებისა. ეს არის რეალი სინამდვილე, ხო-

3055

ლო სიტყვა და გამოთქმა არსებითად არ გამოცვლილა — ყველას ზავი სურს, ყველა ზავისათვის იღწვის და დაჩქარებული შეიარაღებაც ამასვე ემსახურებაო... სინამდვილეში უკვე ორი ომი სწარმოებს, ფრიად სისხლიანი ომები — ერთი დასავლეთის და მეორე აღმოსავლეთის კარებთან — ისპანიის უკვე წელიწად ნახევარი გრძელდება და ჩინეთის უფრო ახალია, მაგრამ დასასრული არც ერთს არ უჩანს.

ორივეს დაცხრომისათვის იყო მიღებული მრავალი ზომები. ისპანიის ომის გამო შექმნილი დიდ სახელმწიფოთა კომიტეტი რამდენი ხანია და დღესაც არსებობს ლონდონში, თუმცა კარგა ხანია მის შესახებ არა ისმის რა. ჩინეთზე იაპონიის გალაშქრების წინააღმდეგ ხომ დიდ სახელმწიფოთა კონგრესიც იყო მოწვეული ბრიუსელში და ამ კონგრესმა იაპონია სასტიკად დაჰგმო და გაჰკიცხა... ყოველივე ამას არამც თუ არ შეუჩერებია ეს ომები, არამედ შეიძლება კიდევაც გააცხოველა. ყოველს შემთხვევაში ამის შემდეგ იყო, რომ იაპონიამ ჩასძირა ამერიკული სამხედრო გემი და რამოდენიმე კიდევ ინგლისის კომერციული. მაგრამ შესაძლოა უფრო პირდაპირი პასუხი ჰპოვა ბრიუსელის კონგრესმა იაპონიის მინისტრის, ადმირალ სუეტუგუს დეკლარაციაში. ბრიუსელის კონგრესზე წარმოდგენილი იყვენ ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოები, ჩინეთში დიდი ინტერესის მქონენი. სუეტუგუმ ამცნო მათ, რომ იაპონიის მიზანია ყველა თეთრი ერების განდევნა აღმოსავლეთიდან და საზოგადოთ თეთრი რასის ჰეგემონიის საბოლოოდ დასამარება. ცნობილი გენერალი ტანაკის გეგმა ისედაც ცნობილი იყო ამ საგანზე, მაგრამ არავინ მოელოდა, თუ იაპონია ამას ახდითად განაცხადებდა ამ ომის ხანაში. მართალია, ასეთს განაცხადებაში შესწორება იქმნა შეტანილი — ადმირალ სუეტუგუ არ იყო მთავრობის წევრი ამ დეკლარაციის გაცემების დროსო, მაგრამ ამას არსებითად არა შეუტყვლია რა...

**

იაპონია აღმოსავლეთში და გერმანია და იტალია დასავლეთში, ეს სამი დიდი სახელმწიფოა მიჩნეული ბევრის თვალში უკვე წარმოებულ ისპანიის და ჩინეთის ომთა თაოსნებათა და სულის ჩამდგმელად და მით საშინელი მსოფლიო შეჯახების შემამზადებლად. შარშან მათ რომ პაქტი შეკრეს ურთიერთ შორის — ანტიკომუნისტური კავშირი... ესენი იყვენ კიდევ, რომ ნაციათა ლიგის დანგრევა განიზრახეს და სათითაოდ იქიდან გავიდენ... ერთი სიტყვით ბრალდება ამ სახელმწიფოთა წინაშე მრავალი ისმის, ხოლო თავის მართლება თანდათან კლებულობს. ხოლო იყო დრო, როდესაც ეს ქვეყნები თვითონ ემუდარებოდენ სხვა სახელმწიფოებს — ხანგრძლივ

შეთანხმებებსა და ზავს. ინგლისის დიდმა მოღვაწემ ბალდვინმა რომ სთქვა შარშან — დემოკრატები ყოველთვის ორი წლით იგვიანებენო, ეს ვგონებ აქაც გამართლდა. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ეს დიდი დემოკრატიული სახელმწიფოები ბევრ რამეს სთმობენ ეხლა, რასაც არ სთმობდნენ შარშან და შარშან წინ. ნაციათა ლიგის რეფორმას, როგორც ამას იტალია მოითხოვდა, თითქოს შინაურულად მიიღებენ კიდევ ამ ახლო მომავალში. ასევე იტალიის ამპერიის ცნობას, ასევე ოთხი დასავლეთის სახელმწიფოს შეთანხმებას თანახმად იტალიური გეგმებისა. უთუოდ უკვე მომზადებულია ნიადაგი ასეთი კომპრომისისათვის. ხოლო რაც შეეხება იდეოლოგიური ფრონტების საკითხს, ამის შესახებ ბევრი იწერება და მრავალი პროპაგანდა სწარმოებს ორივე ფრონტის სივრცეზე, მაგრამ მისი ნამდვილი ბუნება უთუოდ კარგათ უწყიან ყოველს შემთხვევაში სახელმწიფოთა პასუხისმგებელ წრეებში.

რასაკვირველია არ არის სარწმუნო, რომ ეს „იდეოლოგიური“ ფაშისტური ფრონტი გახდეს ამ ფაშისტურ ქვეყნების პოლიტიკური მოქმედების საფუძვლად. იტალიური, გერმანული თუ სხვათა „ფაშისტური“ პოლიტიკა უაღრესად რეალისტური გზებით მიმდინარეობს და თუ მათ ძლიერი მისტიკაც ახასიათებს, ეს მისტიკა იარაღია ამ რეალური ნაციონალური პოლიტიკისათვის და არა წინააღმდეგ ამისა. ამას გარდა ბევრს ავიწყდება, რომ ეს იდეოლოგიური ფრონტების შექმნა ფაშისტური ქვეყნების საქმე არ იყო. მათ მხოლოდ ერთი წელიწადია რაც შეკრეს „ანტიკომუნისტური“ ბლოკი, მაშინ როდესაც იტალიაში ფაშისტური რევოლუციის პირველ დღიდანვე დაიწყო „ანტიფაშისტური“ იდეოლოგიური ფრონტის შექმნა, რასაც კომუნისტური და სოციალისტური ინტერნაციონალები მეთაურობდნენ. ამ მუშაობამ შემდეგ ფართედ მოიღვა ფეხი იტალიისა და გერმანიის მოწინააღმდეგე ქვეყნებში და „ფაშისტურ“ საშისწროების წინააღმდეგ ყველა ანტიფაშისტური ძალების დარაზმვის პროპაგანდას უკვე არა მარტო კომუნისტური რუსეთი და ევროპის სოციალისტური პარტიები ქადაგებდნენ ხოლმე, არამედ მრავალი არა კომუნისტური და არა სოციალისტური წრეები და თვით სახელმწიფოთა სათავეში მყოფნიც.

არავის არ უნდა გაკვირვებოდა ამის შემდეგ სამი სახელმწიფოს „ანტიკომუნისტური“ პაქტი, მით უმეტეს, როდესაც ის ვიწროდ არის შემოფარგლული და ყველა არა ფაშისტურ ძალებს და ქვეყნებს არ ემუქრება. ფაშისტური ქვეყნები იყენებენ ამ ჟამად თავის სასარგებლოდ იმ ფსიქოლოგიურ გავლენას, ფაშისტური იდეოლოგიისა და პოლიტიკისა, რომელსაც განიცდიან მსოფლიოს სივრცეზე კომუნისზმითა და რევოლუციებით დაშინებული წრეები. მათ

სურთ ასეთი თანაგრძნობის გამოყენება იქ სადაც მათ წინააღმდეგ წინააღმდეგობა მუშაობს მუდმივი და ენერგიული მუშაობა იდეოლოგიური და ყოველმხრივი. ამ მხრივ ისინი შერებიან თავდაცვის მიზნით, და ისიც მცირე მასშტაბში იმას, რასაც მოსკოვი და მესამე ინტერნაციონალი აკეთებდნენ აგრესიული მიზნებითა და არა ლეგალური გზებით.

მაგრამ ეს საქმე რომ არ არის მთავარი ღერძი ამ ქვეყნების პოლიტიკისა, არამედ მხოლოდ დამხმარე იარაღი, ამას უკვე ვერ ჰფარავენ ამ ფაშისტური „იდეოლოგიური ფრონტის“ მემარცხენე თუ მემარჯვენე მოწინააღმდეგენი. „ანტიკომუნისტური“ პაქტის შეკვერით სრულიად არ შეჩერებულა მემარცხენე თუ მემარჯვენე პრესაში წერა იმის შესახებ, რომ გერმანია და რუსეთის სამხედრო ძალთა კავშირი გრძელდება და რომ არ არის შეუძლებელი ამ ქვეყნების შეთანხმება ყველა სხვების წინააღმდეგ. გაზ. „ეკო დე პარი“-ში პერტინაქსი ამ ძველ იქვეებს, ახალსაც უმატებს და კითხვას სვამს — განა არ არის შესაძლებელი რუსეთის და გერმანიის გაერთიანება იმ საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც უსახავს დასავლეთის იაპონიის ასეთი დიდი გეგმებით ამოძრავებო? ყვითელი საფრთხის საშიშროება ხომ გერმანიის იმპერატორმა დაუსახა კაცობრიობას ამ საუკუნის დასაწყისში მხურვალე სიტყვებსა და თვით თავის ხელით დახატულ სურათებზედაც. ამავე საფრთხისათვის აფრთხილებდა უკანასკნელად დასავლეთის ქვეყნებს იტალიის დუჩე. რომ ყოველივე ასეთი შიში არ წარუშლია „ანტიკომუნისტურ“ პაქტს, ამას დღეს ყველანი აღნიშნავენ. გერმანია აფრთხილებს იაპონიას, გერმანია ყველაზე მეტს ჰყიდის იარაღს ჩინეთსო და სხვ. ამავე დროს გერმანია საფრანგეთის დაახლოებებისათვის მუშაობა მეორე „დემოკრატიულ ფრონტის“ შეთავაზებთან ინგლის - საფრანგეთთან უკვე შევიდა კარგა ხანია მეტად ენერგიულ ფაზაში. იდეოლოგიური ფრონტების შექმნა არ არის მიზეზი იმისა, რომ ეს დაზავებები არ ხდება, არამედ მისი ერთ ერთი შედეგია.

მსოფლიო ძალთა გათიშვა და განხეთქილება მეტად შორს წავიდა და გასაგებია, რომ ამ ხანად მისი დაწინაურებისათვის მეცადინეობა განსაკუთრებულად ინტენსიური ხდება.

**

მაგრამ კითხვა იბადება უკვე გვიან ხომ არ არის ყოველივე ეს ძველ სადაო საკითხებზე შეთანხმებაც რომ მოხდეს, შესაძლოა ესეც არ იქნეს საკმარისი, უკეთუ არ მოხერხდა საფუძვლიანი შებრუნება მსოფლიო მასშტაბში შეიარაღების საქმის, ე. ი. შეიარაღების დოლის შეჩერება და შემდეგ მისი შემცირება. უამისოდ ამაოდ უნდა გახდეს ყოველივე, რადგან ამ შეიარაღების საქმეს უკვე აქვს აკი-

დებული ზურგზე არა მარტო ხალხთა პოლიტიკა, არამედ მისი ფინანსიური და ეკონომიური ცხოვრებაც.

1931 წელს შვიდი დიდი სახელმწიფო (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, რუსეთი, იაპონია და ამერკა) სამხედრო საქმეზე ხარჯავდნენ 72 მილიარდ ფრანკს, ხოლო 1937 წელს — 348 მილიარდს. ამ რიგად ეს სახელმწიფოები ერთ მილიარდს ხარჯავდნენ დღიურად და შეჯიბრო არ შეჩერებულა, ის გრძელდება და რასაკვირველია ეს სამხედრო ბიუჯეტიც მატულობს.

გასაგებია, რომ ასეთი ვითარება მიმართულებას აძლევს არა მარტო მომავალი ომის მზადების საქმეს, არამედ ეხლანდელი მშვიდობიანი ცხოვრების ყოველს დარგსა და სფეროს.

დიდი კრიზისის შემდეგ ინგლისში რომ „პროსპერიტი“ დამყარდა ამ უკანასკნელ წელთა მანძილზე, ეკონომისტების აზრით უმთავრესი ამის მიზეზია შეიარაღებაზე ხარჯების უზომოდ გაზარდა. ამერიკაში მალე შეირყა ეს „პროსპერიტი“ და ეხლა უთუოდ იქაც გამოსწორდება, რადგან შეიარაღებაზე დიდძალი თანხები გადაიდვა. ხოლო გერმანიამ რომ თავის უმუშევართა რიცხვი 6 მილიონიდან ნახევარ მილიონზე ჩამოიყვანა, ამასაც ეკონომისტები იმიო ხსნიდენ, რომ გერმანიამ დიდათ გაზარდა საომარი მრეწველობა და ყოველივე სამზადისი. ექვსი წლის წინეთ 4 მილიარდს ხარჯავდა და ეხლა კი 73 მილიარდს ხარჯავს წლიურათო.

მაშასადამე, მსოფლიოს დაწყნარებისა და დაზავებისათვის აღარ კმარა ის, რაც საკმარისი იყო ორიოდ წლის წინეთ. რაც მაშინ იყო საჭირო იმას ეხლა უნდა დაერთოს კიდევ უკვე ანთებულ კოცონთა ჩაქრობა, ამ ზომად გაზრდილ საომარ წარმოებათა შემცირება და ამის ნაცვლად ეკონომიური ცხოვრების ახალ გზების გაკაფვა და არა მარტო ახალ შეიარაღებათა შეჩერება, არამედ უკვე დახარჯულ მრავალ ასეულ მილიარდის შესახებაც ფიქრი, რადგან ამ დანახარჯი მილიარდების დიდი ნაწილი ნავალებია და მაშასადამე, გადასახდელი. ხოლო სამხედრო მრეწველობას უკვე მეტად დიდი წილი აქვს მსოფლიო ეკონომიკაში. ის დროებით კიდევაც ანელებს აქ იქ ეკონომიურ კრიზისს. მისი უეცრად შეწყვეტას კატასტროფის გამოწვევა შეუძლიან ხალხთა ეკონომიურ ცხოვრებაში, ხოლო ამ საომარ ეკონომიკის ასეთი გზით სვლა კიდევ ასეთსავე შედეგს გამოიწვევს უფრო გვიან. ასე რომ მსოფლიო ვითარებაში კატასტროფული მოვლენები არა მარტო ამ უკვე დამზადებული ზარბაზნების ამოქმედებით არის მოსალოდნელი. ამ ზარბაზნების დაუსრულებლად მზადებითა და დაგროვებითაც შესაძლოა მსოფლიო კრიზისის გამოწვევა. დასაწყისში უსისხლო კრიზისის, რომელსაც შემდეგ შესაძლოა სისხლიანი ომები და რევოლუციები მოჰყვეს.

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ამრიგად, ხალხთა შორის არსებული დავები მეტად გაიზარდენ ამ მშვიდობიანობისა და ნაციათა ლიგის ხანაში. მათი დაცხრომისათვის საჭიროა საერთაშორისო ზავი და შეთანხმება ისეთი ფართე ფარგლებსა, სიერცისა და სიღრმისა, რომლის მსგავსი არ უხილავს მსოფლიო ისტორიას. შესძლებს ასეთი დიდი ზავის ჩამოგდებას სულსიერად და ხორციელად ამ ზომად დაავადებული კაცობრიობა? საკითხი სხვანაირად ვერ დაისმება და მასზედ დადებითი პასუხის მიცემაც ძნელი იქნება.

* * *

მიმდინარე წელი ყველაზედ უფრო საშიშრად მიაჩნიათ სამხედრო სპეციალისტებს და სხვა და სხვა სახელმწიფოს მეთაურთაგანაც ისმის ახდელი გაფრთხილება — ომი კარს არის მომდგარიო.

ასეთი დროსთვის იყო, რომ უდიდეს იმედებს ამყარებდნენ დემოკრატიული ბლოკის ქვეყნები **170 მილიონიან საბჭოთა რუსეთზე**, აგრესიული დინამიზმით ამოძრავებულ „ფაშისტურ“ ბლოკს, საერთაშორისო წონასწორობის დაცვისთვის დამარაგებული სახელმწიფოები ამ ძალას ჰგულისხმობდნენ ინგლის - საფრანგეთ - ამერიკის გვერდში და გადამწყვეტ განკითხვის ჟამს იმედიანად შესცქეროდნენ. გუშინ მსოფლიო რევოლუციის მეზაირახტრე რუსეთი დღეს მსოფლიო კონსერვატიზმის მთავარ ფალავნად იყო მიჩნეული იმ ანგარიშით, რომ საბჭოთა რუსეთს სხვებზე ნაკლებად არ ემუქრებოდა მსოფლიო ძალთა განწყობილების ძირეული დარღვევა. რასაკვირველია, საბჭოთა რუსეთი გაცილებით ნაკლებად „დემოკრატიული“ იყო, ვიდრე ფაშისტური ქვეყნები. საბჭოთა რუსეთის „დედემოკრატიულ“ გზაზედ დადგომის იმედებიც გაუტრუვედა ბევრს მისი „ყველაზედ დემოკრატიულ“ კონსტიტუციის განადღების შემდეგ. მაგრამ ამის შეგუებაც შეიძლებოდა, უკეთეს მისი სამხედრო ძალა მინც დარჩებოდა საიმედო და მტკიცედ მოთავსებული კონსერვატორულ ქვეყნების წრეში. დღეს უკვე ესეც საეჭვო გამხდარა და საბჭოთა პოლიტიკის მთელი გეზიც, რადგან დაპირდაპირებულ ძალთა ანგარიშში რუსეთს ვერც ერთი მხარე ვერ იხსენიებს გაბედულად. ინგლის - საფრანგეთის მტკიცე კავშირი ყველას მიაჩნია მიღწეულად და ამერიკის მათ გვერდში ყოფნაც საცებით საიმედოთ. ხოლო რუსეთის შესახებ არა ისმის რა ამ დიდ კავშირთა მზადების დროს. საბჭოთა რუსეთი თითქოს გამოეყო მსოფლიოს ამ დიდი განკითხვის ჟამს და მის ადგილზე ყველამ დიდი კითხვის ნიშანი დასვა. უკვე ვერავინ ბედავს გაბედულად სთქვას, რომ რუსეთი უთუოდ ამ დემოკრატიულ ფრონტში იქნება. იჭვებსაც გამოსთქვამენ, რომ შესაძლოა ის განზე დადგეს და ხელიც შეუწყოს, რომ სხვების ხარჯ-

ზე მოხდეს ამ ახალი მსოფლიო დინამიზმის დაკმაყოფილება. ბევრს არც ის მიაჩნია შეუძლებლად, რომ უკანასკნელ წუთში რუსეთი გერმანიასა და იაპონიასთანაც შეეცდება დაზავებასა და შესაძლოა, მათ რიგებში ჩადგომას.. თუ „დემოკრატიის“ დამცველთა რიგებში შეიძლებოდა საბჭოთა რუსეთის ჩარიცხვა, რად არ შეიძლება მისი შესვლა „ანტიკომუნისტურ“ ბლოკში, როდესაც, საერთო დაფასებით, „ანტიკომუნისტური“ გეზი მხოლოდ მანიოვრია მუსოლინისა და ჰიტლერისათვის, ხოლო სტალინისათვის ეს არის ყოფნა არ ყოფნის საკითხი, და ის მას ანადღებს ცეცხლითა და მახვილით თვით მსოფლიო კომუნიზმის ციტადელში...

მაგრამ საბჭოთა რუსეთის მიმართულება თუ გახდა ასე ბუნდოვანი და გაუგებარი, ასევეა მისი ძალა და შესაძლებლობის საკითხიც. რა ძალას წარმოადგენს ის ამ ეჟამდ საომარ შესაძლებლობათა მხრივ, შეუძლია მას მძიმე ომის წარმოება მას შემდეგ, რაც ამ ზომად შეარყია თავის მხედრობის, პოლიტიკური აპარატის, მმართველ პარტიის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფერო სათავიდან დაწყებული და ძირეულ ფენებით გათავებული? რომ საბჭოთა რუსეთში მძვინვარე ტერორი იყო უფრო ღრმად ფესვებ გადგმული სენი, ვიდრე ამას ფიქრობდნენ თვით მისი შეურიგებელი მტრები, დღეს ამას ამტკიცებენ და ადასტურებენ მოსკოვის ოფიციალური და თვით ამ ტერორის ფიზიკური მეთაურებიც. თურმე ეს განუკითხავი ტერორი, ანუ „წმენდა“ ხდებოდა ბევრგან ტროცკისტების და თვით ნამდვილი „ფაშისტური ელემენტების“ კარნახით, რომ თავიდან მოეშორებინათ საიმედო და ერთგული დამცველები სტალინისთვისა და კომუნიზმისა... მაშასადამე ეხლა საჭიროა ამ გამწმენდელთაგან „გაწმენდა“. რის შემდეგ ბუნებრივად მათი ჯერიც დადგება და ამას რა შეაჩერებს თუ არა მთელი წყობის ძირიან-ფესვიანად დანგრევა?

ეს განუკითხავი და დაუზოგავი ხოცვა-ჟლეტა, მთელს საბჭოთა რუსეთს რომ მოეფინა ამ უკანასკნელ წელს, ყველაზედ მეტად საქართველოში იმძვინვარებს. არსად სხვაგან არ გაუმრთავთ იმოდენა პროცესები, და არსად სხვაგან არ შეხებია ეს ხოცვა - ჟლეტის ტალღა ისე ფართო და მრაველფეროვან წრეებს, როგორც საქართველოში. როგორც მოსკოვიდან იყო დაწყებული, ჯერ მისწვდნენ ქართველ კომუნისტების ძველ კადრებს, შემდეგ საშუალო და დაბალ ფენებზედაც გადავიდნენ. „ტროცკიზმი, შპიონაჟი, საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის ცდა“ იყო მათ წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება. დიწყო პირველ „უკლონისტებიდან“. მათ ხომ საქართველოს

ს ა მ შ ო ბ ლ ო

რუსეთისაგან დაშორების განზრახვის ბრალდებას მამია ორახელაშვილი საჯარო მოხსენებაში უყენებდა ჯერ კიდევ ათი წლის წინეთ. ასეთი დანაშაულისათვის, ეს უკლონისტები საქართველოდან იყვენ განდევნილი. ესლა მათ წინააღმდეგ გაცილებით უფრო მძიმე ბრალდებები იყო წარდგენილი და ისინიც დახვრიტეს. ხოლო ესლა მათ მიაყოლეს თვით მათი ძველი ბრალმდებელი ორახელაშვილიც და მასაც იგივე ბრალდება წაუყენეს. გამწმენდელთა გაწმენდა უკვე დააკანონა ახალმა „კონსტიტუციონალურად“ არჩეულმა მთავრობამ... მსაჯულნი ბრალდებულად გახდენ. ხვალ ახალი მსაჯულები კვლავ ბრალდებულად გახდებიან. ეს კომუნისტური „წმენდა“ ნამდვილ კოლექტიურ ავადმყოფობად იქცა და საშინელი მანიით შეპყრობილი კომუნისტური წრეები გაშმაგებული დაძრწიან და ეძებენ ტროცკისტებს, დივერსანტებს, შპიონებს, მავნებელთ და სხვ. რასაკვირველია, ასეთები მათ ელანდებათ ყველგან, ყოველს წრეში, ყოველს დაწესებულებაში. შვიდი ვეტერინარი დახვრიტეს იმისათვის, რომ ვითომცდა ისინი საქონელს სწამლავდენ და ამას სჩადიდენ, რასაკვირველია, იმისათვის, რომ კომუნისტური ძალა - უფლება ჩამოეგდოთ! ახალგაზრდა მეცნიერი ელიავა დახვრიტეს იმისათვის, რომ ვითომ ის ბაქტერიებს ამზადებდა ხალხის მოსაწამლავად! დახვრიტეს სხვა და სხვა მიმართულების პოლიტიკური მოღვაწენი, რომელნიც უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე სრულიად დაშორებული იყვენ პოლიტიკური მოქმედების ასპარეზს. უკანასკნელს ცნობაში, წინეთ გამოცხადებულებს გარდა, აღნიშნული არიან პროფესორები, მწერლები, ხელოვანი და ტექნიკოსები. მათ შორის აღნიშნულია მიხეილ ჯავახიშვილი, რომელიც ყველაზე დიდ მწერლად ითვლებოდა საქართველოში; ~~ალ.~~ ანბეტელი, რომელიც მიჩნეული იყო უნიჭიერეს რეჟისორად და მის დადგმების შესახებ მოსკოვში, სადაც პირველი ჯილდო მიიღო სრულიად რუსეთის სათეატრო კონკურსზე, მრავალი იწერებოდა ქართულსა და რუსულ გამოცემებში, და ინჟინერი ჭიკინაძე, რომელიც იყო ნამდვილი აღმშენებელი ყველა იმ ზაგესებისა და რიონგესებისა და სხვ. სამრეწველო საქემებისა, რომლითაც მუდამ და ყველგან ამაყობენ ქართველი კომუნისტები.

ესენი რომ არ გახდენ კომუნისტები და წინეთ იყვენ თვალსაჩინო წევრები ეროვნულ - დემოკრატიული პარტიისა, ეს არამც თუ ჩეკისათვის, არამედ არავისათვის ყოფილა საიდუმლო. მაგრამ ასევე ყველასათვის ნათელი იყო, რომ ეს პირები მეტად დიდი ზომის მოღვაწეები შეიქმნენ მწერლობის, სათეატრო ხელოვნებისა და აღმშენებლობის საქმეში, და მას არასოდეს გასცვლიდენ ისეთს პოლიტი-

კურ საქმიანობაზედ, სადაც მრავალი სხვა ჩვეულებრივი მომაკვდა-
ვიც გამოდგებოდა.

ბოლშევიკური ცნობა ამბობს რომ ისინი „გაანადგურეს და მოსპეს“
ჩვენ კიდეც არ გვჯერა, რომ ამ სიტყვებში გამოისახება სიკვდილის
სასჯელი. არ გვჯერა იმიტომ, რომ ეს რაღაც სრულიად გაუგონა-
რი სადიზმი იქნებოდა, ქართული შემოქმედებისა და აზრის მწვერ-
ვლების მოკვეთა სწორედ სულმნათ შოთასა და დიდი ილიასათვის
გამართულ ბრწყინვალე ზემის დროს.

საქართველოში მომხდარ სისხლიან პროცესებში ბრალდებულთ
ვითომდა დაუმტკიცეს ისეთი „დანაშაულებანი“, რომელიც არასო-
რეს ჩაურენია ქართველ ადამიანს — ბავშვებისათვის რძის მოწამ-
ლევა, პირუტყვთა მოწამლევა, მძიმე სნეულებათა ბაცილების მოშე-
ნება ხალხის მოსაწამლავად და სხვ.

ბოლშევიკ მსაჯულებს ან მთელი ქართველი ხალხი მიაჩნიათ
გაგიჟებულად, ან თვით არიან უკვე საფუძვლიანათ შერყეულნი.
ნუ თუ ვერ ხვდებიან, რომ ნორმალურ ადამიანთა წინააღმდეგ ასე-
თი ბრალდებათა წარდგენა არის უდიდესი ბრალდება თვით ბრალ-
მდებლისათვის... მაგრამ ამ ბოროტად და თან მეტად უჭკუოდ შეთხ-
ზულს ამბავთა შორის, პროცესების დროს, შიგა და შიგ გამომჟღა-
ვნდა მოვლენები, რომელნიც ნათელ ყოფენ ჩვენი ერის უფრო აქ-
ტიურ ძალთა სულისკვეთებას და ამის მიხედვით, მის ეხლანდელ
ბატონ - პატრონთა შიშსა და მღელვარებას.

გამომჟღავნდა ის, რომ ქართველი კომუნისტების დიდი უმრავ-
ლესობა ეძებს ქართველ ერთან დაახლოვების გზებს. ისინი უკავში-
რდებიან და უმეგობრდებიან საქართველოს გამანათვისებელ
ბრძოლის პოზიციებზე მყოფ ძალებს. ვინ იცის რა მოხდება ამ სა-
შინელ საერთაშორისო აღრევის დროს, ვინ იცის რა ჯოჯოხეთი
დატრიალდება შინ და გარეთ? ქართველ კომუნისტებს სურთ თა-
ვის დაზღვევა ასეთ საშინელ დროს. კომუნიზმი და სოციალიზმი
მათ დამარცხებულად მიაჩნიათ. საფუძვლიანად გაკოტრებულად.
მაშასადამე საჭიროა ერის ყველა ძალების თანხმობა და ერთობა,
რომ საერთო ძალებით მილაგ მოლაგდეს ძირიან ფესვიანად დანგ-
რეული ხალხის ცხოვრება... ამავე ნიადაგზე აღმოცენდა პირველი
ნაციონალური უკლონიზმი 1921—22წ.წ. საქართველოში. უფრო
დაკვირვებულ ბოლშევიკებს უკვე იმ დროს ჰქონდათ დანახული,
რომ კომუნისტური რევოლუცია ძლიერ მაენე შედეგებს იძლეოდა
და ლენინი ნეპის გეგმებსაც არდგენდა. ქართველი კომუნისტები შე-

ეცადენ ზომიერი გეზის აღებას, ამ მიზნით და ასევე ერის მათდამა მძულვარების იშესანელებლადაც. ბოლშევიკური რუსეთი კიდევ იზოლიაციაში იყო, სრულიად გარიყული და განმარტოებული. შინაური ამბოხებები საბოლოოდ არ იყო ჩაქრობილი. ასეთს პირობებში, ქართველი კომუნისტები მტკიცედ და საიმედოდ ვერ გრძნობდენ თავის თავს თბილისის ტახტზედ. მათ უნდოდათ არა მარტო თავის პიროვნებების, არამედ თავის მეგობარ ამხანაგების გადარჩენაც. თუ საბჭოთა წყობა რაიმე მიზეზით დაემხოდა, მათაც უნდა მიეღოთ სხვა ძალებთან ერთად მონაწილეობა ქვეყნის და ცხოვრების გადარჩენასა და მის მშვიდობიან, ნორმალურ საფუძვლებზე დამყარებაში, რასაკვირველია გარეში ყოველგვარი რევოლუციური კომუნიზმისა და სოციალუზმისა.

ბუღუ მდივანი, საშა გეგეჭკორი, ოკუჯავა და სხვები, დღეს უკვე დახვრეტილნი არ იყვენ მხალნი და ძაბუნნი, და ეს ბერიამ სხვებზე კარგათ უწყის...

ასეთივე გეგმა დასახულა ამჟამად, ამზომად არეულ და ხახიფათო დროს. უკეთუ საბჭოთა რუსეთს ასეთი ხიფათი შეემთხვევოდა, რომლის მოლოდინში ყოფილა, როგორც მოსკოვის პროცესიდან გამოირკვა, კომუნისტური პარტიის და მხედრობის მეთაურობის უმრავლესობა, ქართველ კომუნისტების ერთი ნაწილი ერის სხვა ძალებთან ერთად შეთანხმებულ გეგმას ისახავდა ქვეყნის მოვლისა და პატრონობისათვის. ამ ჟამად ეს გეგმა უფრო შორს წასულა, ვიდრე პირველი უკლონიზმის ხანაში. ხოლო წყობის მხრივ ის კიდევ უფრო შორს წასულა, ვიდრე ეს იყო თვით გამანათვისუფლებელ ბრძოლისათვის შექმნილი დამოუკიდებლობის კომიტეტი და სხვა მისი აპარატები. დამკომში შემავალი პარტიები ქმნიდენ კოალიციონურ ორგანოს და აგრეთვე კოალიცია ჰქონდათ მიღებული საქართველოს განათვისუფლების შემდეგ მთავრობის შესაქმნელად. პროცესების დროს გამორკვეული გეგმების მიხედვით იქმნებოდა არა ასეთი მექანიკური შეერთების, არამედ ორგანიული ერთობის ნიადგზე დიდი ეროვნული დარაზმულობა, **ეროვნული პარტიის** სახელწოდებით.

ამ ეროვნულ პარტიაში შედიოდენ ეროვნულ - დემოკრატები, სოც. დემოკრატები, სოც. ფედერალისტები და კომუნისტურ პარტიის გავლენიანი წევრები. ბუნებრივია, რომ ამ ეროვნულ პარტიის განზრახვებს ვერ შეადგენდა დაცვა კომუნისტურ და სოციალისტურ ექსპერიმენტებისა, რომელნიც ყველგან გაკოტრებული იყვენ უკვე და ვერც ძველი სახით კაპიტალისტური წყობის აღდგენა, რადგან მისი საფუძვლები ძირ ფესვიანად ამოგდებულა საქართველოში და სხვა დიდ ქვეყნებშიაც საგრძნობლად შერყეული. ამ ახალი

დარაზმულობის სოციალურ - ეკონომიური ზრახვები ვერ იქნებოდა სხვა, თუ არა გლეხური საკუთრების, მცირე წარმოებათა, შრომისა და ეკონომიურ მოქმედებათა აშვება და განთავისუფლება. საქართველოს სუვერენობის აღდგენა რასაკვირველია, იქნებოდა მთავარი დებულება ამ გაერთიანებულ ძალთა გეგმებისა.

კატასტროფული ვითარების დროისთვის ასეთი ორგანიული გაერთიანების შექმნა, გადასარჩენად ეროვნულ ღირებულებათა, ხალხის ფიზიკური არსებობისა და თვით ყველა მოქმედების გზებზე დამარცხებულ კომუნისტურ იდეოლოგიას აყოლილ წრეების — ახალ და მშვიდობიან ცხოვრების დასამყარებლად — აი, რა სჩანს პროცესებში. ხოლო სხვა ბრალდებანი ამ წრეებისა, ვითომდა კრიმინალური ნაშრომდარი და განაკეთები, მეტად უქჟუოდ შეთხზულ ამბებს წარმოადგენს. დიდი უგუნურობაა და გაუფრთხილებლობა ასეთი სურვილების დიდ დანაშაულად გამოცხადება და მისთვის მკაცრი სასჯელის მიყენება. დიდი გაუფრთხილებლობაა, რადგან რაც ბუდუ მდივანს, საშა გეგეჭკორს არ მოსვლია სიმხდალით არამედ გართულებულ მდგომარეობაში რეალური ანგარიშით, უთუოდ ასევე იყო დღესაც და უთუოდ ასევე მოუვათ მათ დღევანდელ ბრალმდებელთა და მსაჯულებს. წითელმა მოსკოვმა უკვე გაჟლიტა ერთი წლის მანძილზე, შეიძლება ათჯერ მეტი კომუნისტი, ვიდრე მეფის რუსეთმა მთელი საუკუნის მანძილზე. ტყვილად ჰვიქრობენ ბერია და თვით სტალინიც, რომ ეს მათი მოსკოვი დიდათ საიმედო დასაყრდნობია ვინმესთვის და თუნდაც მათთვის...

ჩვენ მრავალჯერ მიგვიქცევიან ქართული ემიგრაციის ყურადღება იმ უდიდეს ცვლილებაზე, რომელიც მოხდა ქართველს ერში ამ საშინელ წამებათა და სისხლიან ბრძოლების მანძილზე. ეს არის საშინელი ტანჯვა ვაების უამრავი მსხვერპლის საფასურით ეროვნული სულის, ეროვნული აზრისა და ნებისყოფის გაჯანსაღება და გაფოლადება. ერმა ვადიტანა და მოინელა მრავალი ძველი და ახალი სენი და ავადმყოფობანი — სოციალისტური, კომუნისტური, განყენებული ოცნებების სამოსელში გავხეულ და საზოგადოების დამაქვეითებელ დემაგოგიისა, კლასიური, წოდებრივ თუ კუთხურ დაქსაქსულობისა და დანაწილებისა. ერს სწყურთან აღდგენა თავისი ეროვნული მეობის, აღდგენა ქართული ოჯახის, ქართული საყდრის, თავის ღარიბი საკუთრებისა და ქართველ ბუნებისათვის ჩვეული წესრიგისა და მშვიდობიანობისა. ეს არის სანუკვარი მისი საერთო აზრი და სურვილი.

ეს წინეთაც საკმარისად სჩანდა და ეხლა ხომ თვით ბოლშევი-

კური გამოცემებიდანაც სჩანს, რომ ასეთი აზრებით და იდეებით არის გამსჭვალული მთელი ერი და ყველა მისი წინეთ სოციალისტურ თუ ანტისოციალისტურ ნიადაგზე მდგომი ძალები და თვით კომუნისტთა დიდი ნაწილიც. ასეთს ეროვნულ ერთობას დაპირისპირებულია მუდამ მოსკოვის ძალაუფლების გამანადღებელი, რომელთა რიცხვი მცირეა და შემადგენლობაც ცვალებადი.

ქართული ემიგრაციას რომ თავისი ადგილი აქვს ჩვენი ერის ამ მწარე ბედსა, მის მძიმე ბრძოლებსა და მომავლისათვის გზების გაკაფვაში, ეს არავისათვის არ არის სადავო. არც ის არის სადავო ვინმესთვის, რომ ქართველ ემიგრაციას აქვს მრავალი გზა და საშვალეობა თავისუფალი აზრისა და მოქმედებისა, რაც არ მოეპოებათ საქართველოში მებრძოლ ძალებს. ნათელია აგრეთვე ყველასათვის, რომ ქართულ ემიგრაციას ფრიად დიდი როლის თამაში შეუძლიან მოსკოვის მიერ დამონებულ ერთა ბრძოლის ასპარეზზე და ამირანის ერთა შეთანხმებულ და გაერთიანებულ ბრძოლის ნიადაგზე. ყველა წარსულში ხილულ გამანათვისფლებელ ბრძოლათა ბუნების მიხედვით ასევე ნათელი უნდა იყოს ყველასათვის და თან უდავო, რომ ემიგრაციის ასეთს ბრძოლას და მოქმედებას წინ უნდა უძლოდეს როგორც გეგმა და იდეა მხოლოდ ის მთავარი იდეა და საფუძველი, რაც უკვე აქვს დასახული ქართველ ერს თავის ბრძოლისა და თავდადების საგნად და არა ისეთი ამოცანები, რომელიც მხოლოდ განთავისუფლებულ საქართველოს ნიადაგზე წამოიჭრება, დადგინდება და დაკანონდება.

სამწუხაროდ ქართული ემიგრაცია მთლიანად ჯერ კიდევ არ სცნობს თავისთვის სავალდებულოდ ასეთს ქეშმარიტებას. მასში ჯერ კიდევ არიან ძველი და ახალი „იდეოლოგიური ფრონტების“ მოტრფილენი და ისეთი ფრონტების, რომელთა ღირსეულ მონაწილედ ჩვენ ვერც გავხდებით ჩვენი მდგომარეობის მიხედვით. გარა ნათელი არ არის ყველასათვის, რომ ქართველ ემიგრანტ სოციალისტების მონაწილეობა მეორე ინტერნაციონალში ვერ იქნება რეალური და ნამდვილი მონაწილეობა, არამედ მხოლოდ ფიქტიური, ნაძალადევი და ასე ვსთქვათ ფილანტროპიული? კიდევ ნაკლებად არის შესაძლებელი, რომ რომელიმე ქართული ჯგუფი თუ პიროვნება შევიდეს იტალია - იაპონია - გერმანიის ანტიკომუნისტურ ბლოკში. მაგრამ ქართულ ემიგრაციაში მოიპოვებიან აქა იქ ისეთებიც, რომელნიც კიდევ მეორე ინტერნაციონალზე ამყარებენ მთელ თავის იმედებს და ისეთებიც, რომელნიც ჰფიქრობენ, რომ ჩვენ უსათუოდ მუსოლინის და ჰიტლერის უნდა ამოუდგეთ გვერდში, გამოუკითხავად იმისა, ამ თავის გვერდში გვისვამენ თუ არა ეს იტალია და გერმანია.

ფრიად სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომელთაც ვერ აუღეს ალლო ვერც იმას, რაც ხდება მთელს მსოფლიოში და ვერც იმას რაც ხდება ქართველს ერში. ზოგიერთებს კიდევ ჰგონიათ, რომ ბევრი არაფერი შეცვლილა ამ ხუთმეტი წლის მანძილზე ისეთი, რომ ღირდეს შეფარდება ჩვენი აზრისა და მოქმედების. ხოლო არამც თუ შეიცვალა, არამედ ყოველივე ძირიან ფესვიანად გადაბრუნდა და გადმობრუნდა ამ ხნის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს ერში და ასევე სხვაგანაც, მთელს მსოფლიოში.

და არა ასე დიდ მანძილზე, არამედ რა დიდი ცვლილებები მოხდა სულ რამდენიმე თვის სიგრძეზე ფრანგულ პოლიტიკის ასპარეზზე. საფრანგეთი ხომ კარგა ხანია გაყოფილია ასე ესთქვათ ორ იდეოლოგიურ ფრონტად. ერთშია სოციალისტები, კომუნისტები და რადიკალები, ხოლო მეორეში ნაციონალური დაჯგუფებები. სისხლის ღვრამდეც მივიდა მათი ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლა და კინაღამ სამოქალაქო ომამდეც. მაგრამ მსოფლიოში დატრიალდა მეტი გართულებისა და ომის მოახლოების სუნი. და სწორედ ამ დროს სოციალისტების ლიდერი ლეონ ბლიუმი ცდილობს ამ ორი დაპირდაპირებული ფრონტის გაერთიანებას ერთ კოალიციონურ მთავრობის ხელში. მისი წინადადებით რადიკალების მეთაური ერიოუნდა ყოფილიყო ასეთი მთავრობის თავმჯდომარე და არა თვითონ ბლიუმი. ყველა პარტიის ლიდერებმა, მისაღებად მიიჩნიეს ასეთი გეგმა. ხოლო ის არ განაღდა ამ სახით, რადგან თვით ერიომ მიიჩნია ნადრევედ მისი რეალიზაცია — მომენტი რ არის იმდენად რთული, რომ ასეთი ზომის მიღება საჭირო იყო. ასე რომ ერიომ ეს გეგმა გადაიტოვა უფრო მძიმე მომენტისათვის.

ასეთს უკიდურესად დაზავებას ახერხებენ ეს ერები უკიდურესი დაპირდაპირების შემდეგ და ახერხებენ შედარებით არა დიდათ მძიმე დროსაც. ჩვენ კი თავიდანვე უფრო მძიმე მდგომარეობა გვქონდა, შემდეგ მას მოჰყვა ომი, დაპურობა, აჯანყებები და მულმივი ბრძოლები და დღეს გვაქვს საშინელი დევნა და ტერორი სამშობლოში და ამავე დროს საერთაშორისო ქარტეხილის მოახლოება. და თუ ეხლაც მოიძებნებიან ისეთები, რომელნიც ხელს უშლიან ქართული მებრძოლი ძალების ერთობას, ფიზიკურსა და სულიერს, იდეურსა და ზნეობრივს, სხვათა ამბებისა და სხვათა იდეების ხათრით, თუ პიროვნული მიზნებით, პიროვნული განცდებითა და გრძნობებით. ეს სამწუხაროა, მაგრამ ასეთები, ღვთის მადლით მცირე გამონაკლისს შეადგენს იმ დიდს ასპარეზზე, რომელსაც წარმოადგენს საქართველოს გამანთავისუფლებელი ბრძოლა საქართველოს მიწაზე და ყველგან სადაც მისი შეილები განაგრძობენ გამანთავი-

სუფლებელი ბრძოლის საქმეს. მებძოლ ძალთა მაქსიმალური ერთობა — ასეთია ჩვენი ერის გარდაუვალი ნების ყოფა და ყველა მის მიერ ნაწარმოებ ბრძოლების წმინდა ანდერძი. ასეთი წმინდა ერთობის შექმნისათვის საჭიროა ბევრი რამ პიროვნული განცდებისა და გრძნობების დათმობა, თორემ იდეათა და მიზნების სფეროში არავის ექნება რაიმე დასათმობი, რადგან საქართველოს რძოლის მიზანი საერთოა და უდავო ყველა ქართულ ძალებისათვის.

ქართულ ასპარეზზე ეს ადვილად იქმნა მიღწეული, ხოლო ეროვნულ სხეულს მოწვევტილ ემიგრაციაში ეს ძნელდება... მაგრამ აქაც უნდა მივალწიოთ: ჩვენ უნდა გვექნდეს ამის რწმენა, და ჩვენ მას მივალწევთ, რადგან ემიგრაციაში თუ ხშირად მყარდება ავადმყოფური ატმოსფერა, ხშირად ჯანსაღი სიოც შექრილა მასში და იმედია, კვლავაც ასე მოხდება.

ალ. ასათიანი



მ ს ო შ ლ ი ო ს ა ვ კ ა რ ბ ი

ესპანიის ამბები ისენიარათ მიიმართებიან, რომ აქაიქ შიშს გაითქვამენ, ვაი თუ ამ გაცოდვილებულ ქვეყანას ბედათ უწერია ევროპაში ახალი ჩინეთი შემოავლინოს! არ არის გამორიცხული სხვა შიშიც, სახელდობრ ის, რომ პირინეის ნახევარკუნძულის შფოთს განსაზღვრულ პირობებში სულ ადვილათ უძს სხვა დიდ ამბების საბაბათ გადაქცევა.

„სამშობლოს“ წინა ნომრის წერილში გამარჯვებას ევარაუდობდი გენერალი ფრანკოს მხარეზე. სრულ ნახევარ წელიწადმა განვლო მას შემდეგ, ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე, ბევრი რამ ახალი და მოულოდნელი წარმოიშვა ომების ველზედაც და საერთაშორისო მდგომარეობაშიაც საზოგადოთ. შემოჭრილ ფაქტორთა აწონდაწონა მე მაინც მამაგრებს რწმენაში, რომ საბოლოოდ მოგებული გამოვა ესპანია ნაციონალი.

ჯერ კი იმისდამიუხედავათ, რომ ტერიტორიის მომეტებულ ნაწილი ლეგიონერების ხელთ არის, მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობის ცენტრები, ხოლო მათ შორის ისეთი ქალაქები, როგორც ვალენსია, ბარსელონა და თვით სატახტოც ისევ კომუნისტებს უბყრიათ.

მაგრამ სულ უკანასკნელ დროს მომხდარმა ერთმა ფაქტმა სა-

ფიქრებელია მთლიანად შეასხვავფეროს იქაურ ამბავთა ტრიალი: ერთა ლიგის მიტოვებით იტალიას შეეძინა თავისუფლება (ფორმალური მაინც) ეგრეთ წოდებულ ინტერვენციის საკითხში; ამ აქტს ფაშისტური ხელისუფლება ესპანიის სამოქალაქო ომში რა თქმა უნდა გამოიყენებს საკუთარი მიზნებისათვის: პირველი იქნება ის, რომ იტალია გააძლიერებს თავის ამხნობამდიასაც მსურვალესა და აქტიურ მონაწილეობას ამ ომში. ისმის ხმები, რომ იტალიასა და გერმანიას შეთანხმებული ახალი გეგმა აქვთ გამოუმუშავებული ესპანიაში სამხედრო მოქმედების გაგრძობისათვის, თანაც დაიწყო ფაშისტურ მლიციის სახით სპეციალ ნაწილების ხელახალი აჩქარებული გაგზავნა მუნ მყოფთა შესავსებლათა და შესამაგრებლათ.

ახალ ფაქტორთა აღნუსხას რაკი შეუდექი, საჭირო ხდება კიდევ ერთი თვალსაჩინო და — შეიძლება კიდევაც გადამკრელი — მნიშვნელობის საერთაშორისო მოვლენის აღნიშვნაც, რომელსაც ეტუობა მზნათ დასახული აქვს უკიდურესი ზომების მიღებით არსებითად გარდაქმნა თანამედროვე საზოგადოებრივობის მთელი შინაარსის და მსვლელობის. სახეში მაქვს იტალიის მიერთება გერმანიასა და იაპონიის შორის 1935 წელს მიღებულ, კომუნისმის საწინააღმდეგო აქტიურ ბრძოლის ხელშეკრულებაზე. ამ მხრივ იტალიის (ისევე როგორც გერმანიის) ჩაბმა ესპანიის სამოქალაქო ომში უდრის ერთგვარ მისიას, რომლის შესრულებამ, როგორც იმედოვნებენ, ევროპა უნდა იხსნას კომუნისტურ საშიშროებისაგან. ის კია, რომ საკითხი მეორე მხარესაც სწორეთ ასევე აქვს მიხვედრილი და შეფასებული: ისიც ისახავს „სამისიონერო“ მიზნად ფაშისტურ რეჟიმის აშორებით ევროპის ხსნას და ასევე მიჰმართავს სათანადო ზომებს.

ამნაირი სულისკვეთებით მიიმართება ჩვენს თვალწინ საერთაშორისო ურთიერთობა! დროებით ნეიტრალ მაყურებელთა გარეშე სახელმწიფონი უკვე მკაფიოთ განიყენენ ორ მოპირდაპირე ბანაკად: ერთნი ებრძვიან ფაშისმს მის განსახებებითურთ, მეორენი მსვავსათვე რისხვითა და გულისწყრომით უშენენ კომუნისმს და მასთან მიერთებით საზოგადოთ ყველა ჯურის მემარცხენე დაჯგუფებებსა და ორგანიზაციებს, როგორიც არიან: ლიბერალიზმი, პარლამენტარიზმი, დემოკრატიზმი, მარქსიზმი (ყველა ნიუანსებით), მასონიზმი და ეგრევე სხვა.

რომი — ბერლინის ღერძათ წოდებული კავშირი გავრძელდა: ეს ეხლა მიებჯინა უშორეს ტოკიოს, ხოლო უეჭველი ნიშნები ჩნდებიან იმისა, რომ მოკლე ხანში ის სხვა პუნქტებსაც მისწვდება: ამას ამტკიცებენ თუნდაც რუმინეთის ამბები.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მოვლენას უნდა მოველოდეთ პირ

ველყოვლისა შორეულ აღმოსავლეთში: იაპონიის ექსპანსია, ისევე როგორც მისი სხვა სახისა და მიზნის განზრახვები მანჯუ-კოს შექმნით არ შეიზღუდა. ექვსი წლის წინათ ამ სახელმწიფოს დაარსებამ, აამაგრა კონტინენტზე აღმომავალი მზის სამხედრო ძლიერება, რათა მისთვის გაეადვილებინა სხვა ურთულესი ამოცანის განაარსება. ეს გრანდიოზული გეგმა 1938 წლის მიწურულში უკვე აღმოიხატა ვითარცა დიადი და მრისხანე დემონსტრაცია ნიპპონურ სამხედრო გენიისა: თუმცა გასაკეთებელიც და შესასრულებელიც ჯერ კიდევ უამრავია. ელვის სისწრაფით გადადის შიკადოს ძლევა მოსილი მხედრობა ოთხას ორმოც და ათ მილიონიან აკრელებულსა და დაუდგრომელ ჩინეთის კიდით - კიდემდე. მის წინაშე ემხობიან ამერიკული სისტემის მილიონიანი ქალაქები, იმსხვრევიან ციხე - სიმაგრენი იარაღსა ჰყრის მრავალ ასათასიანი ჯარი, დროშასა ჰხრის უხილავ სანახაობით მოჯადოებული რიცხვეუდები ხალხი.

თუ ეთიოპიის ეპოპეიამ სახელი მოუხვეჭა იტალიის იარაღს, რა და უნდა ითქვას ეხლა როცა იაპონიას საქმე აქვს ჩინურ გენერლების ისეთ ჯარებთან, რომლებიც არც შეიარაღებით, არც განწყობილებით და არც ტენიკური შესაძლებლობით ჩამოუვარდებიან იაპონიის მხედრობას: სჩანს ყოფილა ამათ გარეშე სხვა რაღაცა — უწონი და უჩინარი — რაც იაპონიას აქვს იმმანენტურათ, ხოლო ჩინეთსა და მრავალ სხვათაც არა აქვთ! ასეთი მანიფესტაცია მოსალოდნელი იყო მხოლოდ იაპონიის განსაკვიფრებელ შეიარაღებულ ძალისაგან! ეს სატრიუმფო სვლა შეამზადა იაპონიის ერის განსხვავებულმა ბუნებამ, მისმა არაჩვეულებრივმა, გამოუცნობმა თვისებებმა. ევროპიელისათვის მიუწვდომელი არის ამ ხალხის სახე, მისი ფსიქო - ფიზიკური ახატულობა: ერი — მღუმარე, ერი — მოსაქმე! გაგონილა იაპონელი ორატორი? ეს ხალხი სიტყვას იმდენად ჰხარჯავს, რამდენათაც ეს საჭირო და გამოსადეგი არის პრაქტიკულად, საქმისათვის. ჩიქორთული ფრაზები იაპონურ ბუნებას არ ეგუება, არც უხდება! ჩუმია იაპონელი ზეიმსა და ლხინშიაც, გლოვასა და მწუხარებაშიაც! ვინ ჩაუხვდება ხალხს, რომლის საზოგადოებრივ ადათში შემტკიცებული არის „ხარაკირი“?! თუ ძველათ აქაიქ ჩვეულებათ იყო მომკვდარ მეფესთან საფლავში მისი ცოლისა, თუ ცხენის ჩატანება, ჩვენს ხანაში უგანათლებულესი იაპონელი მთავარსარდალი მტკიცე ნებისყოფით ეცლება სიცოცხლეს — მეფის სიკვდილით თავზარდაცემული! ან კიდევ: — გამოინახება სადმე ასეთი ფაქტი? — რუსეთ იაპონიის ომის დროს ბრძოლის ველზე მყოფ იაპონელ ჯარის კაცს „წიგნი“ მოსდის დანიშნულისაგან: უზომოთ შეკვარებულნი არიან ისინი, მაგრამ აი აქ ხდება სწორეთ იაპონური

რამ: ქალის ჰაზრით სამშობლოს სიყვარული უნდა აღემატებოდეს მათ შორის არსებულ გრძნობას და ეს უმეტესად ევალება სამურაების გვირგვინის პატივისა და დაცვისათვის ომით გაქრილ ქვეშევრდომს. გამაორებელი ფიქრები მისგან შორს უნდა იდგნენ, ის მიწყვიტ გამარჯვებაზე უნდა ზრუნავდეს... ქალი თავს იკლავს, საქმროს კი უგზავნის დროშას, რომელზედაც აღმომავალი მზე გამოყვანილი არის მისივე სისხლით!

ყოველი წამოწყება იაპონიისა წინდაწინვე განზომილი არის და გამოანგარიშებული. იაპონიას უცთომელი ინტუიცია აქვს საერთაშორისო პირობების შერჩევისათვის. მან იცის, რომ მტრები ჰყავს, და ბლომათაც, გარნა მოქმედებისა და ყოფაქცევის მთელი „მანერებით“ მტერს უსპობს გამოხმაურების უნარს, აყუჩებს, აზანტებს... ვის არა ახსოვს, რა ზომი ალიაქოთი ასტყდა მანჯუ-კოს დაარსების პირველ ხანებში? მან გამოიწვია —თუ გახსოვთ —ერთა ლიგის საგანგებო კომისიის გაგზავნა ხარბინში, იაპონიის საქციელის „უფლვებრივობის“ გამოსაძიებლად; ამის შედეგი კი იყო იაპონიის გამოსვლა ერთა ლიგიდან. ვინ გაიფიქრებდა მაშინ, რომ მანჯუ-კოს სავსსალო იმპერატორის თავი ექვსი წლის შემდეგ სულ ახლო მიიხრებოდა იმ გვირგვინთან, რომელიც მას —ორი წლის ყრმას ასტაცა ჩინეთის ქარიშხალმა!

მაგრამ ვიკითხოთ, რა ხდება ნამდვილად ჩინეთში? რა მიზანს ემსახურება ზღვით გამოსული ყვითელი ჯარი? ყვითლებსავე რომ მუსრს ავლებს? რისთვის იხარჯება ესოდენი თანხა ამ განცდთა შემთა ბრუნვაში? იქნება მართლაც გამოითვალნენ დღენი ცისქვეშა იმპერიის საუკუნოებრივი თვითმყოფობისა ისევე როგორც აღიხოცა აფრიკის ორმოც საუკუნის დამთვლელი იმპერია?

მრავალი არა იაპონელიც იცავს ჰაზრს, რომ ომი აღმოსავლეთშიარა ჰგულისხმობს არც ჩინეთის დაპყრობას, არც მის რომელიმე ნაწილის ანექსიას. ის, რაცა ხდება ჩინეთის ტერიტორიაზე, არც მოხდებოდა, თუ ამ უზარმაზარ სახელმწიფოს მაჯლაჯუნსავით არ აწევებოდეს ორი ფაქტორი: პირველი ის არის, რომ ჩინეთი აგერ უკვე მეოთხედი საუკუნეა ჩაფლული არის სამოქალაქო ომის კორიანტელში; არსებითად ჩინეთი, ვითარცა იურიდიული სახის სახელმწიფო არც კი არსებობს, რადგანაც ჩინეთი იმდენი ითვლება, რამდენიც არის გენერალი —საკუთარ ნახევარ ყაჩაღურ ჯართა და მიჩემებული ტერიტორიით. მეორე ფაქტორი, უფრო საშიში და აბეზარი— ჩრდილო დასავლეთით ატუზული რუსეთი არის. მისი საქმიანობა აღმოსავლეთის საზღვრებზე ყველასათვის ცნობილია. ამას მტკივნეულათა ჰგრძნობენ იქ —შორეულ აღმოსავლეთში და უწინარეს ყოვ

30755

ლისა იაპონია. რაკი ჩინეთი კისერ მოზნეჭილი უძლებდა კომუნისტურ ექსპერიმენტებს, მეტიც: რაკი ის სავსებით მიჰნებდა საბჭოებს და საყოფელი თვისი მოსკოვის „საცდელ მინდვრათ“ აქცია, ხოლო უკანასკნელ ხანებში შიგა და შიგ შეპარვით თვითონაც ხელი მიჰყო „ტრანზიტულ კულტურტრეგერობას“, მისახვედრია, რომ მოწინავე იმპერია იძულებული შეიქმნებოდა მიეშველებინა სადღეისნევე ციო საშვალეზანი. ეს ერთი. მაგრამ ამითი არ ამოიწურება იქაური პრობლემა: იაპონია საჭიროებს ერთგვარ გაწევე გამოწვევას. თუ საერთაშორისო უფლებრივ თვალსაზრისით დემოგრაფიული ექსპანსია საზოგადოთ შესაწყნარებელი მოვლენა არის, იაპონიას ამგვარ მოძრაობაში პრეტენდენტთა შორის პირველი ადგილი უნდა ეკუთვნოდეს: 43 მილიონიან იტალიამ აფრიკის სივრცეში გადაისროლა ვიწრო „წალაში“ შეხუთული ზედმეტი მოსახლეობა! რალა უნდა ითქვას 70 მილიონიან იაპონელებზე, რომელთაც ბედმა მიუჩინა თევზის მსგავსი, ოკეანეში უმწეოდ მიხლანული მუდამ მტოკავი კუნძულები?!

მაშასადამე არც იმ გარემოებამ უნდა გააოცოს ჩვენი დროის პოლიტიკოსი, თუ იაპონია კონტინენტზე დასაბჯენ პუნქტებს იხაზავს და ამავე დროს სავაჭროსა და საერთოდ ეკონომიურ შეღავათებსა და პრივილეგიებს გამოითხოვს.

ყოველივე ეს როგორცა ვხედავთ, იკვანძება სხვა დიდ პოლიტიკურ საკითხებთან: ერთის მხრითაა ოკეანეს იქითა უძლიერესი დემოკრატია, რომლის ანგარიშებში სრულებით არ შედის უფრო მეტად განდიდებული და მილიტარულათ ხმელეთზედაც მომაგრებული იაპონია. თუმცალა იაპონია ამერიკის ეს ყრუ დავა დღეს არ დაწყებულა, არც ხვალ მოთავდება: ის ხანდასმულია და კიდევ მოუცდის თავის დროს.

გაცილებით მეტი სიმწვავე აქვს იმ პრობლემას, რომელიც ებმება დღევანდელი რუსეთის სოციალ ბუნებას: ბოლშევიკების სავარეო პოლიტიკის უმთავრესი დანიშნულება — ახლა ეს ჩამორჩენილი რევგენის ჭკუასაც მისწვდა — იმითი განიზომება, რომ ყველგან, სადაც კი მოსახერხებელი და შესაძლებელია ახლართ დახლართოს სოციალი და ეკონომიური წყობილება, გაამწვავოს კლასთა ბრძოლა, წაჰკიდოს ერთმანეთს ერის წოდებრივი და სხვა ნაწილებიც და ამგვარად შეამზადოს ნიადაგი კომუნისტურ გადატრიალებასათვის; სხვა სიტყვებითმოსკოვური გულის თქმა ასეც გამოითქმის: ასეთი ამბების ჩანდენი, საკუთარ ქვეყნის დამქცევი და წამქცევი უზომოთ ვაბრიყვებული ხალხი რუსეთის მაჩანჩალათ აქციოს. გარემონგოლეთისა და ჩინეთის ზოგი პროვინციის „გასაბჭოებით“ ბოლშე-

ვიკებმა თავის მიზანს ნაწილობრივად მიახწიეს; რიგში იდგა მხოლოდ კითხვა დასახული გეგმის გაფართოებისა და ინტენსიფიკაციისა. სწორეთ ამ დროს, შეტევის ასე ვსთქვათ დავგვირგვინებისას, მას სარმა წამოსდო დიდი ხნით ჩასაფრებულმა იაპონიამ; წაბორძიკებული რუსეთი შეერთა და შედრკა; ერთხანად მან მოინდომა იარაღის აქლარუნება, გარნა საქმეში ჩახედულებმა მოსკოვს გონიერათ ურჩიეს უჩუმრათა და უძრავათ მდგარიყო. ამასობაში ჩინეთის „კალეიდოსკოპიც“ გასადავდა, გაერთსახიანდა: მოსკოვში კურს დამთავრებულ პროპაგანდისტებმა და სხვა და სხვა საამისო საპეციალობის ლაურეატებმა ისევ მოსკოვს მიაშურეს! ბოლშევიკი გენერლები წითელ „გვარსკვლავის“ ორდენთან ერთად იარაღსაც ჰყრიან, დარეტრანებული ხალხი კი წყალობასა და შეწყალებას ივედრება. ჩინეთი არაფერსა ჰკარგავს: ხანგრძლივი „განსაწმენდელი“ მას გააერთიანებს და გააიშპერებს!

ანტიკომუნისტური პაქტის ერთი კონტრაგენტთაგანი შორეულ აღმოსავლეთში ცეცხლითა და მახვილით ჰფუშავს წითელ მოსკოვის იმ ბუდეს, საიდანაც სრწნა და რღვევა ინდოჩინეთის გაყოლებით სიამსა და ინდოსტას ედებოდა, ხოლო იქიდან მობრუნებული ტიბეთის მწვერვლოებს ებლაუტებოდა: გათვლილ - გამოთვლილი დავთარი აეშალა კომინტერნს!

გადმოვიდეთ ევროპაში: ანტიკომუნისტური პაქტის პრაქტიკული ეფექტები აქ ჯერ კიდევ მყობადის ნისლში მიმკრთალი არის, თუმცა იტალიის მიერთებას, როგორც ზემოთ ვაკვრით აღენიშნე, შესამჩნევი ცვლილება შეაქვს, და არა მარტო ამ სფეროში: მოკლე ხნის წინათ იტალიამ „ფერხნი განიბერტყნა“ ერთა ლიგიდან. ესე იგი, ჩაიღინა ის, რისი საბაბი მეტათ ბევრი იყო აბისინიის ომის განმავალში და ამჟამად კი არ არსებობდა თითქმის! ეს იყო მეგობრებისადმი დაგვიანებული სოლიდარობის გამოძახილი და ცხადია ის რომ საერთაშორისო ცხოვრებაში აღიმართა მეტათ ანგარიშ გასაწევი მოვლენა: სამ უძლიერეს მილიტარ სახელმწიფოს შეთანხმება და შეკავშირება.

ევროპაში შექმნილი საერთო მდგომარეობა მაინც არსებითად განსხვავდება იმისაგან, რაცა ხდება შორეულ აღმოსავლეთში: საკითხი იქ მარტივათა დგა: ჩინეთის გენერლების დარბევით იაპონია გადაკვრით — რა თქმა უნდა — მოსკოვს ეომება. ის ათავისუფლებს ხალხებსა და სახელმწიფოებს!

ევროპის საქმე უფრო რთულია, მრავალფერი, ამიტომაც ძნელათ დასაძლევე. აქ ერთიმეორეს ეჯიბრებიან და ეჯახებიან ინტერესები, რომელთაც ოდნავი კავშირიც არა აქვთ არც კომუნისტთან

და არც პირდაპირ მოსკოვთან. იმისი თქმა მინდა' რომ დასავლეთში კომუნისტური უბედურების გარდა, არსებობენ სხვა მრავალ ჯგუფის სპეციფიური ევროპული უბედურებანი, რომელთა სინოპსიურმა თავმოყრამ ოსვალდ შპენგლერს შემზარავ ფიქრების ამშლელი „საბრალმდებლო აქტი“ დააწერინა... ისე კი ვინ არ იცის, რომ კომუნისტების ხელის ფათურისაგან ევროპა სულაც დაზღვეული არ არის: მაგალითი ჯერ კიდევ თვალწინ გვაქვს.

მაგრამ საბჭოთა რუსეთი ზეიმობს და დღეგრძელობს იმიტომ, რომ ევროპის „მონასტერში“ ძალი პატრონს ველარა სცნობს. ეხლა დარცხენილნი არიან ისინი, ვინც ბოლშევიკებს თავის დროზე ხვეწნითა და მუდარით სათანამშრომლოდ ეპატიებოდნენ! დავიცადოთ, იქნება მწარე გამოცდილება საკეთილოდ გამოადგეთ ახალ კურსის მიმღებთ! გარნა ევროპის პოლიტიკურ თავაზნეულობაზე ჩვენი ყურნალის წინა ნომერში უკვე კმასაყოფელათ ვიბაასე...

ევროპის სახელმწიფოების მიერ წითელი მოსკოვის დაზოგვამ წელთა განმავლობაში, არა ერთი და ორი სიბოროტე აგემა ხალხებს. ეხლა კურსი იცვლება: ურიგო საქმე არ არის! ანტიკომუნისტური ხელშეკრულების მიმღები სახელმწიფონი ფორმალურათ ებრძვიან კომინტერნსა და ყველგან დედა მიწის ზურგზე მიმოზნეულ მის უთვალავ განყოფილებებს, არსებითათ კი ამ პაქტის რეალი შესრულება უნდა ჰკულისხმობდეს შეკავშირებული მოძრაობის დაწყებას კომინტერნის უმადლეს ინსპირატორისა და მასაზრდოებელის — რუსეთის წინააღმდეგ. მასში ჩასახული იდეით, პაქტი თუ გნებავთ, ჯვა როსნობასაც უდრის: თუ დაშორებულ წარსულში „ქრისტეს მიერ დაფლეთილი“ ბერი - პეტრე აცეცხლებული ბაგით აღწუნებულათ მოუწოდებდა კლერმონში რაინდებს გამოეხსნათ ლოდი უფლისა მაჰმადიანთა ტყვეობიდან, — დღეს ნაციონალ სოციალისტური თუ ფაშისტური პროპაგანდისტები არა ნაკლებ მომზიბლავი ჰანგებით იმავე ძველ სიტყვებსა და ლოზუნგებს გამოსთქვამენ! მაშინ მოძრაობა უმაღვე გადიქცა მოქმედებათ, ეხლა კი, როგორცა ვხედავთ, ასეთ ოპერაციებს ბევრი რამ ელობებათ: ურჯულო მოსკოვი უფრო დანდობილია ვიდრე წინასწარმეტყველის ერთგული კოსტანტინოპოლი!

ამ წერილში გამოთქმული ჰაზრთა წყება განზე ვერ დაგვატოვებინებს ერთა ლიგის არსებობისა და მნიშვნელობის საკითხს: უცნაური ბედი ეწვია ამ დაწესებულებას! ამერიკელის მიერ ნაპაზრევი და შექმნილი ლიგა დღესაც უამერიკოთ იღწვის. მაგრამ აი სხვა საოცრებაც: ლიგა თავსუყრიდა პირველ წლებში თითქმის ყველა სახელმწიფოებს, რუსეთის გარდა. ამ უკანასკნელის იმდროინდელი

ს ა მ შ ო ბ ლ ო

კვალიფიკაციით ერთა ლიგა ყოფილა კაპიტალისტებისა, კლერიკალებისა, სოციალ მოღალატეებისა და საზოგადოთ მუშათა კლასის მყვლეფელთა და მტაცებელთა თავშესაფარი. მაგრამ წელთა ქროლვაში მოხდა ისე, რომ ამ არქიბურჟუაზიულ ორგანოში ასი პროცენტით მ უ შ უ რ ი სახელმწიფოც ჩაეწერა. ახლა ამ ამბავმა სამდურავი გამოიწვია ამა თუ იმ მხრიდან, ხოლო მომდურავეს მიეკედლენ ისეთებიც, ვინც ერთხანად ფრიად იღვწოდნენ რუსეთის შეთრევისათვის ლიგაში! მასუკან ნომენკლატურაც იცვლება: ერთა ლიგა უზურში უკვე მასონურ დაწესებულებათ გარდიქმნა, რომელიც თავის წიაღში, თურმე ნუ იტყვოთ, ამზადებს საერთაშორისო არეულობასა და, წარმოიდგინეთ, ომსაც-კი!!!

ორიოდე კვირის წინ ლიგის კარები მოაჯახუნა იტალიამ; მუსოლინმაც რადიოთი უკანასკნელათ „შეუკურთხა“ ლიგას: ამ სინედრონიში იტალიას არაფერი აქვს საკეთებელი! ასე რომ ამოდიქტიკურათ ჟამთა ბრუნვაში ერთა ლიგას ჯერ კიდევ არა ერთი და ორი „ნათლობა მოელის, თუ რომ გასძლო...“

იშვიათად თუ განუცდია ღუნის ასეთნაირი ცვალებადი, დაუდგრომელი, მშფოთარი ხანა! არ არის რწმენა აღარაფერში. არავისა სჯერა მიცემული სიტყვა. არაფრათ ფასდება ვალდებულება. სადღაა ფიცის სიმტიკე? დღეს ერთი ფიქრია, ხვალ მეორე, საწინააღმდეგო. დღევანდელი თეთრი მეორე დღეს შავდება; განწყობილებისა და გარემოების მიხედვით. დღეს ქურუმათ აღმალეებულ ფენომენს, ხვალ შეუბრალებლათ ტალახში აყურყუმელავებენ... წითელ მოსკოვს კი ყველა ამისა გამო სულ აღწუ ეჯდა! კრემლში არხინად ბოლიწოს შეექცეოდნენ და ღიმილით „ჩოქში აგდებდნენ“ პროლეტარულ შეტევის ახალ მიხწევებს დედამიწის ხუთსავე ნაწილში კუნძულების მიმატებით.

აქ უნდა ითქვას აშკარათ ერთი რამ: იმ დროს, როდესაც უილაჯო, დარეტიანებული და იმედმიხდილი ქვეყანა გულხელაკრეფილი მოელოდებოდა პროლეტარიატის მუქარასა და რისხვის აღსრულებას, როდესაც ამყაყებული „სნობური“ ბურჟუაზია თვის ბედთან ერთად „კულტურისა და ცივილიზაციის“ აუცილებელ „ინვოლუციას“ დაჰქვითინებდა, — ჰიტლერის გერმანია პირველი იყო, რომ აღარამი დასძახა, გამოაფხიზლა მთელემარენი, სამოქმედოთ (და არა სალაყბოთ) აღმართა კომუნისმის წინააღმდეგ საბრძოლველი დროშა. გერმანიიდანვე მოდის ის სალი იდეია, რომ „სირაქლემას“ პოლიტიკის მიმდევნი სახელმწიფონიც იმავე შიშის წინაშე დგანან, როგორც დანარჩენნი და მამასადამე, გარანტიების გამოძებნაცა და თავდაცვაც გმონახული უნდა იქმნეს საერთოთა და შემტკიცებით. ასე,

ს ა მ შ ო ბ ლ ო

ჩაიყარა იმ შეთანხმების ჩანასახი, რომელიც შემდგომ გერმანია -ი- პონიის პაქტით იქცა, რომელსაც ეხლა იტალიაც მიუერთდა და რომელიც უეჭველია სხვათაც მიიმხრობს. გერმანიის ცდამ ამრიგათ უმჯობესი საშუალება ჰპოვა კრემლის კედლების შესანგრევათ! წითელ ციტადელში ეს შეიტყეს და შეიგრძნეს: სადღაა ეხლა იქ ძველებური არხინი იმედიანობა ახალ-ახალი „სამრევლოების“ შექმნისა? აღარც თუ სოციალისტურ რევოლუციებზე გაისმის დონჯ-შემოყრილი მასლაათი! ასეთი პერსპექტივები ჩავსვენენ, გაჰქრენ! დაწყებული ბუნებრივი თავდაცვის რეაქცია უცვლელათ განვითარდება და შეიმოსება ძლიერებით იმ დრომდე, ვიდრე სავსებით არ მოიძნობს საზოგადოებრივი უწყსოების მთავარ საყუდელს. საბჭოთა უსტაბაშები შიშსა და ძრწოლას მოუცავს! შინაურ ამბებთან გადამით სანახაობა ერთნაირათ ნაღვლიან სახეს იჩენს...

ზემოაწერილი მოტივებით ჩაჰბარდა კოსმოსს 1937 წელი. ურიგო ანდერძი არ არის! ახალი წელიწადი არ წააგებს ამ მემკვიდრეობით. აქტიური ბალანსი მას პირიქით წაახალისებს ახალ შემატებათათვის.

იქნებ ნაადრევი იყოს იმისი თქმა, რომ ყოველივე ამან ფრთებ უნდა შეგვაბას სიხარულისა, აგვაფრინოს, აგვიტაცოს: საამისო ჯერ არაფერი მომხდარა!

გარნა ეგზომხნით გულშეკრული ქართველობა მცირეთ მომხდარსაც კმაყოფილებით მიიღებს იმ იმედით, რომ ბელტს ბელტი მოჰყვება, ბორცვი გორაკათ იქცევა, მერე წამოვა მთის ტალღა...

რ. ინგილო

1938 წ. იანვარი. რომი.

† სიმონ მდივანი

13 დეკემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქ. სოში, სიმონ მდივანი, ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე და სოც. ფედერალისტების პარტიის ერთ ერთი მეთაური. ეს უთუოდ მნიშვნელოვანი დანაკლისია არა მარტო მისი პარტიისათვის, არამედ საზოგადოთ ქართული საქმის გარშემო მომუშავე ძელებისათვის.

სიმონ მდივანი თვალსაჩინო ფიგურა იყო ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე და მისი მოღვაწეობის ეს გზა, სიყმაწვილიდან დაწყებული, განუწყვეტლივ გრძელდებოდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. სიმონ მდივანი ახალგაზრდობიდანვე მოექცა საუკეთესო

ქართველ საზოგადო მოღვაწეთა წრეში და აქტიური მონაწილე იყო მრავალ მნიშვნელოვან ეროვნული საქმისა და გამოწყობისა. ბუნებრივია, რომ მისი აქტიურობა კიდევ უფრო გაიზარდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. სიმონ მდივანმა დაიკავა დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის ადგილი და ამავე ხანებში ასრულებდა სხვა მალალ სახელმწიფოებრივ თანამდებობებს. უცხოეთში, ემიგრანტულს მძიმე პირობებშიაც სრულიადაც არ შესუსტებულა განსვენებულის დაუღალავი ენერჯია. ვერც უაღრესი ქონებრივი სიძნელენი და ვერც ხშირი ავადმყოფობა ვერ ამარცხებდა განსვენებულის აქტიურ ბუნებას, ეროვნულ ასპარეზზე მოქმედების წყურვილსა და ხალისს, მის განსაცვიფრებელ ოპტიმიზმს. ხანში შესული და უკვე დასნეულებული სუიონ მდივანი ისე მივიდა სამარის კარამდე, რომ არასოდეს გამოთიშვია, არასოდეს ჩამორჩენია ყველაზე უფრო აქტიურ ძალებს, და ეს ყველა საქმეში, სადაც კი განსვენებული იღწვოდა და მოქმედებდა.

სიმონ მდივანის უკანასკნელი საქმე იყო შოთა რუსთაველის იუბილეს მზადება და განსვენებული განსაკუთრებულ ხალისსა და აქტიურობას იჩენდა ამ საქმეში, თითქო გრძნობდა, რომ აქ ეძლეოდა დასასრული მის ხანგრძლივ, მრავალ სიმწარითა და სიძნელით აღვსილს მაგრამ მუდამ პატრიოტული იმედით აღვზნებულ მოღვაწეობას.

განსვენებულის დაკრძალვა მოხდა 18 დეკემბერს, სოფ ლოვილში. საკმაოდ დაშორებულ სოფლის სასაფლაოზე დიდძალმა საზოგადოებამ მოიყარა თავი, თაიგულებით და გვირგვინებით შემკულ სიმონ მდივანის კუბოსთან სიტყვები წარმოსთქვეს: მთავრობისა და ეროვნული ცენტრის სახელით — აკაკი ჩხენკელმა; ნ. ურუშაძემ — სოც. ფედერალისტთა პარტიის სახელით; სამსონ ფირცხალავამ, მირ იაკუბმა — კავკასიის საბჭოს სახელით; კ. ქაოთარაძემ — პარტიათა კოლეგიისაგან; ა. შულგინმა — კავკასიისა და უკრაინის მეგობრ. კომიტეტისაგან; ა. ალიბეკოვმა — აზერბეიჯანის ცენტრისაგან; ა. ხატისოვმა — სომხეთის დელეგაციისაგან და ვ. ლამბაშიძემ — ქართული კოლონიის სახელით.

პანაშვიდი გადაიხადა უკრაინელმა მღვდელმა, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა უკრაინულ ენაზედ. დამკრძალავი კომიტეტის წევრმა ს. მენაღარმა წაიკითხა უცხოეთის ქვეყნებიდან მოსული დებეშები. კუბოს ამკობდა მრავალი გვირგვინი და მათ შორის: ერ. მთავრობის და ცენტრის; კავკასიის საბჭოს; კავკასია უკრაინის კავშირის; აზერბეიჯანის; უკრაინულ ცენტრების; პოლონელ მეგობრების; სოც. ფედერ. ბიუროს; ერ. დემ ბიუროს და „სამშობლოს“ რედაქციის; სოც. დემ პარტიის ბიუროს; „ორიენტალისნ და სხვ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ტ ე რ ი ტ ო რ ი ი ს
ს ა კ ი თ ხ ი

ტერიტორიის მხრივ თანამედროვე საქართველოს არ აქვს სა-
ნუგეშო მდგომარეობა. დამოუკიდებელი საქართველოს ტერიტო-
რია შეიცავდა 85 დან 88 ათას კვადრ. კილომეტრამდე. საქართვე-
ლოს დამპყრობელმა საბჭოთა რუსეთმა დაიწყო საქართველოს ტე-
რიტორიის მარჯვნივ და მარცხნივ უხვად დარიგება: ადერბეიჯანს
დაუთმო ზაქათალის ოლქი — 3,736 კვ. კილომეტრი და ყარაიხის
რაიონი, რომლის ნამდვილი სივრცე არა გვაქვს მაგრამ დაახლოვე-
ბით 1,000 კვ. კილ. შეგვიძლიან ვიანგარიშოთ: სომხეთს დაუთმო
ბორჩალოს მაზრის ნაწილი 3,812 კვ. კილ.; ოსმალეთს დაუთმო 1921
წლის ყარსის ხელშეკრულებით, მარტო საქართველოს ტერიტორი-
იდან არდავანის ოლქი — 5,245 კვ. კილ.; ართვინის ოლქი — 3,067
კვ. კილ. და ბათუმის ოლქის ნაწილი — 1,440 კვ. კილომეტრი. სულ
ოსმალეთს დაუთმო — 9,752 კვ. კილომეტრი, სომხეთს — 3,812 კვ.
კილ. და ადერბეიჯანს დაახლოებით — 4,700 კვ. კილ.; ყველას ერ-
თად-კი 18,400 კვ. კილ.-რი, ე. ი. საქართველოს ტერიტორიის თით-
ქმის ერთი მეოთხედი ნაწილი. დღევანდელ საქართველოს ტერიტო-
რიას ანგარიშობენ 68-დან 70,000 კვ. კილომეტრამდე. საქართვე-
ლომ საბჭოთა რუსეთის შემოსვლით თავისი ტერიტორიის ერთი მე-
ოთხედი დაჰკარგა ნოციერებისა, კულტურისა, ისტორიული ნაშთე-
რებისა და სტრატეგიულის ღირებულების თვალსაზრისით ფრიად მნი-
შვნელოვანი და დაუფასებელი.

ვის უნდა გაუკვირდეს, რომ მომავალმა თავისუფალმა საქარ-
თველომ არა სცნოს რუსეთის მიერ მისი ტერიტორიის დარიგების
აქტი. ქართველი ერი არა სცნობს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლე-
ბას საქართველოზე და არც მის რომელიმე აქტს. ასევე არიან ჩვენ
ნი კავკასიელი მეზობლები — სომხები და ადერბეიჯანელები. არც ეს
ერები სცნობენ მათი დამპყრობელი საბჭოთა რუსეთის ხელისუფ-
ლებას და ლოლიკურია, რომ ამ ხელისუფლების სხვა აქტებიც არ
იციან. როგორ შეუძლია სომხეთის ერს, კანონიერად იცნოს აქტი,
რომლითაც საბჭოთა რუსეთმა მას საქართველოს ტერიტორიის ნა-
წილი — ბორჩალოს მაზრა უბოძა და უკანონოდ იცნოს იმავე მთავ-
რობის მიერ ოსმალეთისადმი ყარსის დათმობის აქტი. კავკასიის მო-
მავალი თავისუფალი ერები მშვიდობიანის გზით გამოძებნიან ამ სა-
დაო ტერიტორიალური ნაწილების საკითხის მოგვარების საშვალე-
ბებს.

ს ა მ შ ო ბ ლ ო

საქართველოს დღევანდელ ფარგლებში დარჩენილს ტერიტორიაზე (70,000 კვ. კილ. მაქსიმუმი) საბჭოთა რუსეთმა 3 ავტონომიური რესპუბლიკა შექმნა: 1. სამხრეთ ოსეთის, რომელიც საქართველოს შუაწელ, ქართლშია გამოჭრილი — 3,708 კვ. კილ. სივრცით. ეს ავტონომიური რესპუბლიკა უშვალათ არის მიკრული საქართველოზე ჩრდილოეთით ჩამოწოლილ ოსეთზე; 2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა — ხულოს, ქოროხის, ქობულეთის, ქედისა და აჭარის წყლის რაიონები, ქალაქ ბათუმით, გურიის საზღვრამდე — 2,577 კვ. კილ. სივრცით; 3. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა — გალის, კოდორის, სოხუმის, გუდაუთისა და გაგრის რაიონები, კავკასიის მთებისა და შავი ზღვის ყურეში მომწყვდეული მთელი ეს ადგილი ანაკლიამდე — 9,111 კვ. კილ. სივრცით. სულ ამ სამი ავტონომიური რესპუბლიკის სივრცე უდრის — 14,396 კვ. კილომეტრს. ამ სივრცის გამოკლებით საქართველოს უშუალო განკარგულებაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, იმყოფება დღეს მხოლოდ 53,700 კვ. კილომეტრის სივრცე. ამ რესპუბლიკების ხელოვნურად გამოჭრით საქართველოს მტრებს გარკვეული მიზანი ჰქონდათ. საქართველოს დანარჩენი ტერიტორია კიდევ დაენაწილებიათ ჯერ ავტონომიური რესპუბლიკების სახით და შემდეგ კი სრულიად მოეგლიჯათ ეს ნაწილები საქართველოს სხეულიდან. ამის ნიშნები უკვე სჩანს: ბამატმა დაიწყო ამ მისიის აღსრულებისათვის მოღვაწეობა ბათუმის საკითხის დაყენებით, და შეიძლება ბამატმავე განახლოს თავისი ძველი მოღვაწეობა, რომელსაც ის ჩვენი დამოუკიდებლობის დროს აფხაზეთში აწარმოებდა ოსმალეთის დავალებით.

ბევრს საქართველო ის უძალლო ქვეყანა ჰგონია, სადაც მის სამტროდ და გასაძარცვავად მთიდან ჩამოსულს ყოველ კუმიკს უჯობოდ გავლა შეეძლოს და ნაძარცვით უკანვე მშვიდობით გაბრუნება. სხვაგვარად ვერ აიხსნება ჩვენი ერისათვის ბევრჯერ მტრად მოვლენილი ვილაც ბამატის თამამი თარეში ქართულ ეროვნულ პოლიტიკის ასპარეზზე.

* * *

საქართველოს ძველი დროის თუ ახლო წარსულის ისტორიას რომ გადახედავთ დაინახავთ, რომ ჩვენი სამხრეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მეზობლები — ზოგნი მშვიდობიანის გზით — ჩვენს განაპირა კუთხეებში მათი ეროვნული ელემენტების სისტემატიური ჩამოსახლებით და ზოგნიც ომებითა და დაპყრობებით, მეთოდურად, თანდათანობით იკავებენ ჩვენი მიწა-წყლის საუკეთესო ნაწილებს, სამხრეთსა და სამხრეთ აღმოსავლეთ საქართველოში. და ამგვარად ტერიტორიალურად და ეროვნულად შემცირებულს ქარ-

ს ა მ შ ო ბ ლ ო

თველ ერს სამხრეთითა და სამხრეთ აღმოსავლეთით ბუნებრივ სიმაგრეთა შემორღვეულს, კავკასიონის ყინულიან და ხრიოკ კალთებზედ დენიან. ჩრდილოეთიდან კი მას თავს წამოდგომია კეებურთელა რუსეთი, რომელმაც ერთხელ კიდევ დაიპყრო ქართველი ერი და მისი სუვერენობა გააუქმა.

ტერიტორია ფუძეა ეროვნული ცხოვრებისა. მხოლოდ საკუთარს ტერიტორიაზედ დასახლებული ერი არის ერი ნამდვილი ამ ცნების მნიშვნელობით. ერის მიერ მისი საკუთარი ტერიტორიის დაკარგვა მისი ეროვნული მეობის დაკარგვას უდრის. ერის არსებობა ან და ეროვნული ცხოვრება ვითარდება და იფურჩქნება დროისა და გარემოს ფარგლებში. სწორედ ეს გარემო არის უფრო ხელშესახებად და ფიზიკურ არსებად რომ გამოითქმის მიწა-წყლის, ტერიტორიის ცნებით. ერი და ტერიტორია ერთი და იგივე არსებაა. მათი ერთი მეორისაგან გაყრა — ეროვნული სიკვდილია, ისევე როგორც სულისა და სხეულის გაყრას ადამიანის სიკვდილი მოსდევს.

საქართველოს მიწა-წყლის აწყო სურათი ამ ჩვენს წერილში რელიეფურად იმიტომ მოვიყვანეთ, რომ ქართველის თვალისა და გონების წინ მთელის არსებით და სიმძიმით დაგვეყენებინა ჩვენი ეროვნული ძირეული საკითხი — ერის ფუძისა, ტერიტორიისა, რომ თანამედროვე ქართველის სინიდისის პასუხისმგებლობა ვამოგვეწვია. პასუხისმგებლობა სამშავი, ქართველი ერის წარსულის, აწმყოსა და მომავლისადმი.

უცხო გონების მიერ, უცხოთა სასარგებლოდ დამუშავებულს, ქართველის გამოწვდილს ენაზედ დაგდებულ აზრს ბევრი ქართველის ავტომატიური ყბა იმეორებს: — საქართველო დამოუკიდებლად ვერ იარსებებს; კავასიის კონფედერაცია უნდა შევქმნათ და რა აზრი აქვს თუ რომელი ტერიტორიით და რომელი საზღვრებით შევა საქართველო ამ კონფედერაციაში. გაერთიანებულს კავასი. აში რაღა საჭირო არის ცალკე ეროვნებათა გარკვეული მიწა-წყალი და საზღვრებო. ასეთ ადამიანებს ყბასთან ერთად გონებაც ავტომატიური აქვთ და პოლიტიკური აზროვნებაც ფანტასტიური. მათთვის თვალეზი ღმერთს მხოლოდ დასახუტავად და ძილისთვის რომ არ მიეცა, დაინახავდნენ, რომ ამ აზრის მათ ენაზე გადმოგდები მეზობლები არავითარ საშუალებას არა ზოგავენ, რომელიმე მოსახლერე რაიონი მოჰვლიჯონ საქართველოს და თავად დაიმკვიდრონ. ქართველი ერი დამოუკიდებლად იარსებებს, თუ კავასიის კონფედერაციაში შევა, მას ორივე შემთხვევაში მისი ეროვნული მეობისათვის საჭირო და შესაფერისი ტერიტორია და საზღვრები უნდა ჰქონდეს, რადგან ის გარკვეული ეროვნული და სახელმწიფოებრი-

ვი ერთეულია. კონფედერაციაში შესვლა სრულიად არ გულისხმობს მის იქ შეღწევ დარჩებას, და რომ ახლო თუ შორეულ მომავალში ქართველმა ერმა ამ კონფედერაციიდან გამოსვლა ამჯერა იბიხოს, და დამოუკიდებელი არსებობა; ამის საშუალებას მას უნდა აძლევდეს მისი ტერიტორია და მისი საზღვრები.

ერის დამოუკიდებელი და თავისუფალი არსებობისათვის აუცილებელი საჭიროა შესაფერი ნოყიერი და ბუნებრივი სიმდიდრით შემკული მიწა-წყალი, რომ ეროვნული მოსახლეობის მატერიალური უზრუნველყოფა შესაძლებელი იქმნას. ერის თავისუფალი არსებობის დასაცავად საჭიროა ეროვნული სახელმწიფო შემოხლულულ იქმნას ბუნებრივად სტრატეგიული სიმაგრეებით, რომ მტერს ქართველ ერზედ თავდასხმა უძნელდებოდეს და ქართველ ერს თავდაცვას უადვილებდეს. მხოლოდ ასეთ ტერიტორიაზე და ასეთ საზღვრებში მყოფ ერს შეუძლია რეალური დამოუკიდებლობის დამკვიდრება და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღორძინება.

არიან კიდევ მეორე სჯულის „კავკასიის პატრიოტები“ ქართველთა შორის, რომელთა პრტყელ ენაზე ჩვენმა მტრებმა კიდევ უფრო ბოროტი და ცხელი აზრი დაავდო. არც მათა სწამთ ცალკე საქართველოს დამოუკიდებლობა მისი სიბატარავისა გამო და მთლიანი კავასიის მასშტაბით მექანიკურად აზროვნებენ. ეს ახალ მოდის პატრიოტები ასეთი უაზრო აზრსაც კი ქადაგებენ: — ოღონდ საქართველოს დამოუკიდებლობა ვინმემ აღგვიდგინოს, და თუ ვინდ ეს მხოლოდ ტფილისის მაზრის ფარგლებში იყოს, დანარჩენი ტერიტორია ვის ხელშიც უნდა იყოს, ამას დღეს მნიშვნელობა არა აქვს. ტფილისის მაზრიდან უნდა დავიწყეთ შემდეგ მთელი საქართველოს განთავისუფლება და აღდგენაო.

ასეთი რამის მქადაგებელნი მხოლოდ მათი გარეგნული ფიზიკური არსებით განსხვავდებიან თუთიყუშისაგან. მათ არ ესმით თუ რა არის ერის დამოუკიდებლობა და თუ რა საშუალებითა და რა ძალებით არის შესაძლებელი ამ დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

რუსეთის იმპერიისადმი მონობიდან ეროვნულად და ტერიტორიალურადაც თითქმის გაერთიანებული და მთლიანი გამოვედით. ასი წლის მძიმე მონობისათვის, რუსეთის უნებლიეთ საგულისხმო ჯილდო მივიღეთ — უცხო მონობის ქვეშ გაერთიანდნენ ქართველი ტომები. რუსეთმა თავისი იმპერიის გაზრდის მიზნით 1828 წელს ოსმალეთს წაართვა და საქართველოს მიწა-წყალს შემოუერთა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. შემდეგ კი ხელახალი ომით რომელიც ბერლინის 1878 წლის კონგრესით დამთავრდა, რუსეთმა საქართველოსვე შემოუერთა ბათუმ - არდაგან - ართვინის ოლქები

და ოლთისი; კავკასიას კი ამ ტერიტორიის გარდა ყარსის ოლქი. აღსრულდა ქართველთა მისწრაფება, ქართველი ერისაგენ ოსმალეთის მიერ მოგლეჯილი და გამუსულმანებული ჩვენი ძმების და მათ მხარეთა საქართველოსათვის კვლავ შემოერთებისადმი. ამ აქტს დიდის აღფრთოვანებით მიეგება ქართველი ერი დიდი ილიას ენით.

დაახლოვებით 40 წლის შემდეგ რუსეთის იმპერია დაინგრა კავკასიის ერები რუსეთს გამოეყენენ და თავისუფალი სახელმწიფო შექმნეს. ოსმალეთმა დრო იხელთა და თავს დაგვესხა 1918 წ. მარტში და ართვინისა და ბათუმის ოლქები მთლიანად დაიკავა. ჩვენდა საბედნიეროდ მსოფლიო ომში დამარცხებული ოსმალეთი აიძულეს მოკავშირეებმა უკან გაეყვანა ჯარები ბათუმისა და ართვინის ოლქებიდან.

3. წლის დამოუკიდებელი არსებობის შემდეგ საბჭოთა რუსეთმა კვლავ დაიპყრო ამიერ კავკასიის რესპუბლიკები. საქართველო საბჭოთა რუსეთთან უსწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული და ბათუმისაკენ უკან იხევდა მისი ჯარები. ოსმალეთმა თითქოს ჩვენს მოსაშველებლად ჯარები შემოიყვანა ბათუმში და შიგ გამავრდა, როგორც გამოირკვა, ბათუმის საქართველოდან ჩამოსაგლეჯად. რუსეთთან ბრძოლაში დამარცხებულმა ქართულმა ჯარებმა ბათუმიდან გამორეკეს ოსმალეთის ჯარები და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნეს.

„ჩვენ, არა მარტო ზედმეტად, არამედ საზიანოთაც მიგვაჩნია ყოველივე დავა ყარსის, არდაგანის, ართვინისა და სპარსეთის ადგილობრივების შესახებ.“

„არავითარი ტერიტორიალური უთანხმოება, არც ოსმალეთთან და არც სპარსეთთან. ჩვენ საბოლოოდ დაუბრუნებლივ ვცნობთ 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით დადებულს კავკასიის საზღვრებს“ ო სწერს ბამატი ჟურნალ „კავკასში“.

ის ამითაც არ კმაყოფილდება და 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა საქართველოს საზღვრებში დატოვებულ ბათუმის საკითხსაც უსინდისოდ აყენებს — „ბათუმისაკენ აქვს გასავალი აგრეთვე ყარსის, არდაგანისა და ართვინის რაიონებს, და მომავალ ნაციონალურ კავკასიას უთუოდ დასჭირდება ოსმალეთთან ისეთი „მოღუს ვივენდის“ გამოწახვა, რომელიც საშვალეობას მისცემს ამ რაიონებს სავაჭრო გასავალი იქონიონ ამ კავკასიის დიდი ნავთსადგურისაკენ“ ო. ასე აგვირგვინებს თავის აზრს საქართველოსა და კავკასიის საზღვრების შესახებ არავისაგან კითხული და „არამკითხედ“ მთიდან ჩამოსული კუმიკი.

საყვალო საქართველო! საუკუნოების განმავლობაში შენი მეფენი და სახელმწიფო კაცნი ხშირად მთელს კავკასიას პატრონობდნენ და პოლიტიკურ გეზს აძლევდნენ. რამდენი სახელმწიფო და საზოგადო დიდი მოღვაწე, რამდენი სამხედრო ხელმძღვანელი მიგიცია რუსეთისათვის, სპარსეთისათვის და ოსმალეთისათვის. დღესაც ხომ შენ მიწაზედ დაბადებული და აღზდილი უძღვებთ ავად თუ კარვად დიდი რუსეთის საბჭოთა იმპერიას და შენი საქმე კი ისე ცუდათ ყოფილა რომ საკუთარი შვილი ვერ გინახავს, რომ შენ საკუთარ საქმეებს გაუძღვეს და მთიდან უჯობით და უსინდისოდ ჩამოსული ვიღაც ბამატი შენი ეროვნული პოლიტიკის სათავეში წამომაჯდარა. და შენი შვილთა მცირე რიცხვი, შენი სახელი რომ მუდამ ტუჩებზედ აკერიათ! და რომელთა რაოდენობა ბამატის მარცხენა ფეხის თითებზედ ჩამოითვლება, მისი მონებად გამხდარან, მისი თარჯიმნებად და უსტავებეგებად დამდგარან!

ბათუმში საქართველოს განუყრელი ნაწილია, საქართველოს უდავო საკუთრებაა, მისი ნავთსადგურია, მისი კარებია დასავლეთი ევროპისაკენ გამოსავალი. მისი ბედიც ქართული ეროვნული პოლიტიკის საქმეა და არა მთიელ კუმიკის ბამატის, რომელსაც ურჩევთ, თავისი საკუთარი ქვეყნის სადაო საზღვრებზედ იფიქროს და იზრუნოს, რომ მოსარჩევბელი ენა მონახოს მის მეზობელ ყაზახთა მომავალ სახელმწიფოსთან. ამ უკულო ხარისათვის არც ბუზების შემოსევა გვიცნობებია და არც მათი მოგერიება გვითხოვნია.

ბამატი უცხო ქვეყნის მთებიდან ჩამონადენი მღვრიე წყლის ტალღებს ჩამოყოლილია და იგივე წყალი წაიღებს მას უცხო ზღვისაკენ. მის მიერ ჩამოტანილი მახინჯი აზრი კი დაილეკა მცხეთის მიდამოებში. ჩვენ ამ საზიანო აზრთანა გვაქვს საქმე და არა იმ ორიოდ მცდარს ქართველ მომაკვდავ ადამიანთან, რომელნიც მუხლებ მოკვეთილნი თუ შემცდარნი ამ დალექილ უცხო აზრის ქვიშაზედ დამჯდარან და მას ქართულ და კავკასიურ პოზიციად აცხადებენ. ჩვენს ორგანოს არა სჩვევია ლანძღვა და გინება ადამიანის პიროვნებისა და მით უფრო ისეთ ქართველთა, რომელთა წარსული დასაგმობი არა ყოფილა, ხოლო დღეს სხვისაგან მიღებული უცხო აზრის ქადაგებითა და შეუფერებელი მოქმედებით, თვით შეურაცკევებს საკუთარი ეროვნული მეობა და ქართველთა გულიდან აღმონახებთქი წყევლა-კრულვაც თავს დაიტეხეს. წამავალ წამომავალნი წყალნი ამათაც წაიღებენ, ხოლო ჩვენი დანიშნულებაა და წმიდავალი, რომ ქართულ ნიდაგზე დარჩენილ ქვიშას გავაცალოთ ეს დალექილი შხამიანი აზრი — ჩვენს აწმყო და მომავალ ეროვნულ სულიერსა და ზნეობრივ მეობას რომ გახრწნას უქადის.

„ეს საზღვრები (1921წ.) უთუოდ უნდა უპასუხებდნენ ოსმალეთის და კავკასიის ანდა რუსეთის წონასწორობის საჭიროებასთ, ამის მაჩვენებელია ამ საზღვრების უცვლელობა 16 წლის განმავლობაში“

„ხშირად იმისი ქართველთა ტირილი მათთვის დაკარგულ ძმების ლაზების შესახებ. ამ ტირილსა და მწუხარებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. უნდა ვაღიაროთ რომ ლაზისტანი ქართული კულტურისა და პოლიტიკის გარეთ დარჩა სრულიად“.

„ლაზისტანი და ის რასაც სამუსულმანო საქართველოს უწოდებენ არასოდეს ყოფილა მიჩნეული საქართველოს ინტეგრალურ ნაწილად.“

„რაც შეეხება ოსმალეთის საქართველოს, მტკვრისა და ჭოროხის სათავეების მიდამოებს, სადაც აუარებელი ძეგლებია დარჩენილი საქართველოს ძველი ცივილიზაციისა — აქ ბევრია სამუშაო ქართველი არქეოლოგთათვის, ისტორიკოსთათვის, ეთნოგრაფთათვის. ხოლო ეგვევ არ შეიძლება ითქვას ქართველ პოლიტიკოსთა შესახებ: არ არის შესაფერი ნიადაგი აქ ქართული „ირედენტისმისათვის“ და არც არის ცნობილი ამ კუთხეებში ასეთი ხასიათის მიდრეკილება.“

„1927 წლ. ოსმალეთის სტატისტიკური ცნობებით ძლიერ მცირედი იყვნენ აქ ქართულ ენაზედ მოლაპარაკენი. მოსახლეობას ოსმალური ენა მიაჩნია მშობლიურ ენათ“ო.

ამ აზრებსა სწერს და ქადაგებს არა ოსმალეთის პატრიოტი, არამედ ქართველი პროფესორი ზურაბ ავალიშვილი, ქართველ პატრიოტად რომ ბევრს გვეჩვენებოდა; მსოფლიო კონგრესებზედ რომ მონაწილეობას ღებულობდა ქართველი ერის სახელით საქართველოს ტერიტორიალური გადამიჯვნის დროს. აი ჩვენი ეროვნული სულიერი ტრალედია! რომელი ფრანგი იფიქრებდა ან დასწერდა ასეთ აზრებს მე 70 წლების შემდეგ ალზას ლორენის შესახებ, მიუხედავად იმისა რომ ფრანგისათვის უფრო ადვილი იყო ასეთი აზრების დასაბუთება.

ასეთი აზრები რომ პოლონელებს ექადაგნათ, ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში, როცა მათი ტერიტორია და მოსახლეობა სამი დიდი, ძლიერი და ეროვნებათა გარდამქმნელ - გარდამხარშველი იმპერიების მონობის ქვეშ იყო და დიდ გადამგვარებელ გავლენას უძლებდა, პოლონეთის ერს აღდგენა აღარ ელირსებოდა. ამ ეროვნულ მორალურსა და მთავარ საკითხში რომ მათ მატერიალურის ანგარიშით ემოქმედნათ ამისი მეტი ობიექტიური და სუბიექტიური პირობები და შესაძლებლობანი ჰქონდათ.

მაგრამ ის, რის თქმაც სხვა ქვეყნებში და სხვა ერებში ეროვნულ დანაშაულად არის მიჩნეული, ჩვენი პატრიოტიზმის ენითაც კი შესაძლებელი ხდება ითქვას. ის რაც სხვაგან გაუგონარია, ჩვენში გასაგონია, და ჩვენი ეროვნული სულის ტრალედიაც ეს არის. პროფესორ ავალიშვილს და მის თანამშრომლებს ვინა სთხოვსთ ან ვინ ეკითხებათ რომ მოსკოვ - ოსმალეთის ხელშეკრულებას პარიზში ხელს აწერენ და ბათუმსაც სადაოდ გვიხდიან. დღეს გამოფიზნებული ქართველი კომუნისტებიც კი არ არიან კმაყოფილნი ამ ხელშეკრულებით და ყოველ შემთხვევაში გააფთრებით იცავენ საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ტერიტორიას. ნუთუ ემიგრაციაში მყოფი პატრიოტისათვის მისაღებია წინააღმდეგი აზრის ქადაგება?

ბატონი ზ. ავალიშვილის აზრით ქართველ ერს არავითარი ეროვნულ - პოლიტიკური ინტერესი არა აქვს სამუსულმანო საქართველოში, ლაზისტანში და მტკვრისა და ჭოროხის სათავეების მიდამოებში. რომელთაც მხოლოდ ჩვენი ძველი კულტურის ნაშთების აღმოსაჩენ ადგილებად აცხადებს. ეროვნული მიზნით წარზიდული დიდი ილია ჭავჭავაძისათვის უფრო პატარა ქვანიც კი ლაღადდნენ, პროფესორ ზ. ავალიშვილისათვის ამ რაიონებში მოსახლე ქართველი და ქართულად მოლაპარაკე ჩვენი ეროვნული ღვიძლი ძმებიც კი ხავს მოკიდებულ ქვებად ქცეულან და ოსმალეთისაკენ დაგორებულან. არამც თუ საქართველოს ამ გამაგრძელებელ ნაწილებში მცხოვრებნი, არამედ ოსმალეთის შუა ანატოლიაში მრავალი საუკუნოების წინ ძალად ჩასახლებული ქართველებიც დღემდე ლაპარაკობენ წმინდა ძველი ქართულის ენით და თავიანთ ეროვნულსა და რასიულ სიწმინდეს ინახავან.

ჩვენი კულტურის ეს ძველი აკვანი, მეოთხე საუკუნიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე ჩვენი მეფეების: მირიანის, ვახტანგ პირველის, აშოთ კურაპალატისა და სხვათა ზრუნვის საგანს რომ შეადგენდა. სადაც გრიგოლ ხანკთელის მეთაურობით ჩვენმა სასულიერო მამებმა თორმეტი დიდი მონასტერი ააშენეს, თურმე საქართველოსთვის არავითარ ცოცხალ ინტერესს აღარ წარმოადგენს. ამ დაკარგულ ძმებზედ ქართველთა ზრუნვა მას უაზრო, უმნიშვნელო ტირილად მიაჩნია და მის მიერ ამ რაიონებზედ საბოლოოდ ხელის აღება კი დიდ ეროვნულ საქმედ. ჩვენი ეროვნული ცხოვრების უდიდესი ვარსკვლავის შოთა რუსთველის დაბადებიდან 750 წლის თავზედ, ჩვენი რუსთველისტი პროფესორი ავალიშვილი შოთა რუსთველის მხარეს „ფეშქეშათ“ ათათურქს სთავაზობს!

**
*

ჩვენი დიდებულნი მეფენი, სახელმწიფო თუ საზოგადო მოღვაწენი, საუკუნოების განმავლობაში იღწვოდნენ და იბრძოდნენ ქართველ ტომთა და კუთხეთა ერთ ეროვნულ სხეულად გამოკვეთისათვის, ამ სხეულში ერთი განუყრელი, ძლიერი სულის ჩაბერვისათვის, ქართული სახელმწიფოს არსებობისათვის საჭირო და აუცილებელი მიწა - წყლის სტრატეგიულ საზღვრებში ჩაყენებისათვის. ამას ერქვა მამულიშვილობა, სამშობლოსა და ერის სიყვარული. ეს ასე იყო ჯერ კიდევ გუშინ, როცა ჩვენი დიდი ეროვნული მოღვაწენი ილია ჭავჭავაძეს მეთაურობით იმავე გზით შევიდნენ ჩვენი ერის შეუწყვეტელ ისტორიაში. ამ უკანასკნელს ხანებში ბევრი ღირებულება გადაფასდა, მრავალ ცნებათა შინაარსი შეიცვალა, მაგრამ ჯერ ქვეყანა ყირაზედ არ შემდგარა და მამულიშვილობას, მამულისა და ერის სიყვარულს ისევ ძველი შინაარსი აქვს და ძველი შემეცნება.

ამ რამდენიმე წლის წინ ერთმა ჩვენმა პროფესორმა დიდის ვაიკვალახით გაერთიანებული ქართველი ერის კუთხეებად კვლავ დანაწილების საკითხი დააყენა ინტეგრალური ქატრიოტიზმის სახელით. დღეს მისი მეორე კოლეგა, პროფ. ზ. ავალიშვილი საქართველოს განაპირა, ძალად გამუსულმანებულ ქართველობას, და მათს მიწა - წყალს დაეტაკა, მათ ქართულ ენას პირიდანა ჰგლეჯს და მათ მიწა- წყალს ოსმალების საბოლოოდ და დაუბრუნებელივსათავაზობს.

ემიგრაციაში მყოფთ ამ ორ პროფესორს პროფესიათ გადაექცათ ჩვენი გაერთიანებული ეროვნული სულის სხეულის, და მიწა-წყლის დაშლა გაჩანაგება- გაფანტვა. სხვა ერების განათლებული ადამიანები და პროფესორები მათი ერის ეროვნულ აღორძინებას, მთლიანობასა და გაძლიერებას ემსახურებიან და არა დაცემა დანაწილებასა და დასუსტებას. ჩვენდა სანუგეშოდ ასე არ ფიქრობს აქ დასმულ საკითხის შესახებ ჩვენ პროფესორთა ცხრა მეათედი. პროფესივ. ჯავახიშვილის დაუშრეტელი წმინდა ქართული გონება ასეთ აზრს არ იწყნარებს, ჩვენი მცხოვანი პროფესორი ექვთიმე თაყაიშვილი, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მოიარა, შეისწავლა და აღწერა სამუსულმანო საქართველო, ბ-ნ ავალიშვილის აზრს არამც თუ არიწყნარებს, ეს ნათქვამი და თეთრზედ დაწერილი, ყურისათვის გაუგონრად და თვალთათვის დაუჯერებლად მიაჩნია. ასევე იყო განსვენებული პრ. ცაგარელი, რომელმაც ღირს შესანიშნავი წერილი უძღვნა 1920 წ. ერთ - ერთ ჩვენს გამოცემის ფურცლებზედ, მაშინაც აქტუალურსამაჰმადიანო საქართველოს საკითხს.

* * *

ბევრი ითქვა: ბევრი დაიწერა. კიდევ ბევრი უნდა ითქვას და ბევრი დაიწეროს მანამ, სანამ ძირშივე არ ჩაკვდება, ვილაც კუმბიკოს მიერ ნაკარნახევი, ქართველის მცდარი გონებისა და ცოდვილი ენის მიერ განმეორებული, მოწამლული კალმით დაწერილი ის მახინჯი აზრი, რომელმაც დასჭრა თანამედროვე ქართველის გული, რომელმაც შეურაცკყო სამშობლოს ძლიერება დიდებისათვის საუკუნოების მანძილზე დაცემულ ქართველთა სულელები, მათს მშობელს ქვეყანასა და ერს რომ წმიდანებათ თავს დასტრიალებენ. თვითეულმა ქართველმა ქალმა თუ კაცმა, ყრმამ: ვაჟაკმა თუ მოხუცმა, ქრისტიანმა, ებრაელმა თუ მაჰმადიანმა—თითო შავი ქვა უნდა ესროლოს ამ მახინჯი აზრის ქვესკნელში გათხრილ უკურთხ სამარეს, რომ ამ დაქოლვილი სამარიდან კვლავ ველარ აბორძიკდეს ეს წაწყმედილი აზრი და რომ ჩვენი ეროვნული სული და მისი მაღალი ზნეობა დაცული იქნეს ყოველივე ბოროტისაგან ამიერიდან უკუნისამდე.

ელ. პატარიძე



პატრიოტობაც ასეთი უნდა!

წლობით დაგროვებულ ტკივილებს, დუმილით გულში ვმარხავდი, სინამდვილეს კიდევ ხელოვნურად ვფარამდი, მაგრამ ბუნება ძლიერი ყოფილა ვიდრე ხელოვნური რამ, და ამისათვის ჩემი მოქნეული შოლტის წვერი ვისაც როგორც მისწვდეს ისე მოხვდეს.

ქართულ ემიგრაციაში ხშირად ისმის „მე შენზე დიდი პატრიოტი ვარო“. სამწუხაროდ ბევრისათვის ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვები ყოფილა, მათში პატრიოტობა მართლა რომ არა სჩანს და მრავალი მათი საქციელი ამის დამადასტურებელია. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველანი ერთი ეროვნული დროშის მატარებელი არიან და ამავე დროს ამ საერთო, ნაკურთხს დროშის ქვეშ, ეს ორი მუჟა ქართველობა ერთმანეთის წინააღმდეგ ისე ირაზმებიან თითქოს მოსისხლე მტრები იყვნენ. განა მათ არ უნდა იცოდნენ რომ არამც თუ ასეთი ბრძოლით არამედ ერთმანეთისაგან გადგომითაც კი სამშობლოს დიდ ზიანს აყენებენ და მტერს კიდევ ახარებენ. საჭიროა ამ სამწუჟა-

რო მოვლენას ანგარიში გაუწიოს ყველამ ვინც მართლა ნამდვილი პატრიოტია, თორემ რომელი პატრიოტობა და რომელი ეროვნული საქმისათვის ბრძოლაა, როდესაც უმნიშვნელო რამესათვის, გინდაც რომ იცოდნენ საერთო საქმისათვის არის მიმართული, უცბათ წამოიბრაწებიან, აიქენჩრებიან ხოლმე ეს ჩვენი მოძმენი პატრიოტები, გადგებიან განზედ და მოჰყვებიან ერთმანეთის დაწიხვლას, დაცინვას, გამასხარავენბას და სხვა.

სამწუხაროთ ჩვენდა ძალიან ხშირია ასეთი რამ ქართველთა ემიგრაციაში. პატარა რამესათვის არ ვარგა ასეთი აპრიალეზა, საჭიროა ხოლმე მოთმინებაც, დათმობაც, რასაც ხშირად სარგებლობა მოუტანია. პატარა იწილო - ბიწილოსათვის, ჩვენს ემიგრაციას ხელოვნურად შლიან და აქუცმაცებენ. სამი - ოთხი კაცი დაჯგუფდება პარტიას დაარქმევს და თავის „ეტიკეტს“ წააკრავს, ამას ეროვნულ გაერთიანებას უწოდებს და ასტეხს ბრძოლის ქარ-ბუქს. ვის უნდა მოუტანოს ამან სარგებლობა თუ არა ჩვენ მტერს! ძალიან დამაფიქრებელია ყოველივე ეს, თუ ახლო მომავალში ბოლო არ მოელო.

4 ქრისტესშობისთვის ბ-ნმა პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა მოკლეთ გაგვაცნო სამუსულმანო საქართველოს ისტორია, შემდეგ მსჯელობაა და ყველა ორატორები ქოლვა-კრულვას უგზავნიან ბ ნ ზ. ავალიშვილს, ჰაიდარ ბამატს და მათ ამხანაგებს. შემდეგ აღის ტრიბუნაზე ყოფილი მინისტრი ბ-ნი მ. არსენიძე, რომელმაც კათედრაზე ასვლისთანავე ერთი მაგარი იფნის სახრე მოუქნია ჩვენ პატრიოტებს და შესძახა: „ეს რომ სოციალისტებს ექნათ, აქაური პატრიოტები ჯვარზე გვაცვამდნენო!“

მართლაც, დარწმუნებული ვართ, რომ ამ იფნის სახრემ მათზედ უნდა იმოქმედოს თუ ისინი მართლა პატრიოტები არიან. მართლაც რომ ღირსნი არიან ეს ვაჟბატონები ასეთი სახრისა და მათრახისაც! როგორ შეიძლება, როგორ ბედამენ ეს ვაჟბატონები ასეო მძიმე საკითხზედ ასე ადვილად ხელის წამოკერას აქ ემიგრაციაში და ისიც ვისი კარნახით და რჩევით, ჰაიდარ ბამატის! რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოს მეგობარი და ეხლა კი ახდლიათ აწარმოებს ჩვენი სამშობლოს საწინააღმდეგო მუშაობას.

ყოველი ქართველი მამულიშვილის გულში, საქართველოს ტერიტორია მუდამ ერთი იყო და ერთი მთლიანი დარჩება. საჭიროა არ არის აქ ისტორიული საბუთების კიდევ მოყვანა, რაც არა ერთხელ თქმულა იქაც და აქაც საქართველოს მთლიანობაზედ. საკმარისი უნდა იყოს ისიც, რომ მუდამ ჩვენ სახელოვან მეფეებს და საუკეთესო მამულიშვილებს ყოველი ერთი გოჯისათვის სისხლი უღვრიათ,

ჩვენამდის მოუტანიათ სამშობლოს მიწა-წყალი და ჩვენც ასეთვე მოვალეობა გვმართებს, გაუფრთხილდეთ და ფაქიზათ მოუაროთ, რომ ჩვენც ისევე მთლიანად გადავსცეთ მომავალს თაობას.

თამარ დედოფლის და დავით აღმაშენებლის დროს რომ დიდი და ფართე ყოფილა საქართველოს ტერიტორია, ჩვენ ამას არ ვებღალუებით, მაგრამ ნუთუ ჩვენ უარი უნდა ვსთქვათ იმაზედაც, რაც გადარჩა საქართველოს მტრებს, გამოვლილ შავბნელ საუკუნეებს და ჩვენამდის მოუღწევია, როგორც საქართველოს უდავო კუთვნილებას?

ჩენი სამშობლოს ტერიტორიის საუკუნეთა მანძილზე ქართველთა სისხლით დაკორღნილი საზღვრები დარჩება და მის დამახინჯებაზედ ქართველობას ხელს ვერავენ მოაწერიანებს, ვერც ბამბა და ვერც მისი დამქაშნი, ორიოდ ქართველი! „ჯერ ჩიტი ნახე და მერე მისი მხარ ბარკალიო“ ნათქვამია. წარმოგიდგენიათ, ჯერ რა გვაქვს დღეს და აქედანაც ვისმეს რამე მოეპრას! სადღაა აქ პატრიოტული სინიდისი, პატრიოტული შეგნება, პატრიოტული ინტერესები და თავმოყვარეობა! მაგრამ რომელი ეროვნული თავმოყვარეობა მოეთხოვება იმ ორიდ ქართველს, რომელნიც კუმიკ ბამბატის ირგვლივ შეკრებილან?!

„მე-16 და მე-17 საუკუნე საქართველოს ბნელი დროა: აღმოსავლეთში ბატონობენ სპარსელები, დასავლეთში თურქები. რამდენიმე მთავარი იძულებული ხდება მაჰმადის სარწმუნოება მიიღოს. გულში კი ეკლესიის ერთგული რჩება. და სულ მოკლე დროში მთელი სამცხე-საერისთავო მაჰმადიანობაზედ გადადის“. (მ. თარხნიშვილი — ქრისტიანობა საქართველოში.) აი, როგორ ამაჰმადიანებდნენ ქართველობას. ამ შავბნელ საუკუნოების მანძილზე, ამასთან ერთად ქართული ენაც დასუსტდა. აქედგან მრავალი ქართველობა გადასახლეს, მათ ადგილზე უცხონი ჩამოასახლეს, მაგრამ მიუხედავად ამისა ქართული ენაც ცოცხლობს ამ ქვეყნებში და ქართული სულიც, ზნე ჩვეულებებიც. დღეს ამ ქართველებს თურქებს სთავაზობენ და მათთან ერთად მთელ მათ მიწა-წყალსაც. ყველამ უნდა იცოდეს, რომ გამაჰმადიანებული ქართველები ჩვენი სისხლით ძმებია და მათი მთა-ხევ-ბარი საქართველოს განუყოფელი ნაწილია. საქართველოს ამ ნაწილის დაცვის მაგიერათ ეს ვაჟბატონები პირიქით, წყალს ამღვრევენ. საქართველოს ანაწილებენ. ერშიც სულიერ ხორციელი განხეთქილება შეაქვთ! ეს ცრუ პატრიოტები კუთხურ სიძულვილს აშკარად ქადაგობენ, ქართველ ტომთა ერთობა და ნათესაობა კი ვერ შეუღნიათ და სხვა ერებთან კავშირს ქადაგობენ! ამაზედ

უთქვამთ: „ძალღი შინ არ ვარგოდა, სანადიროთ ვარბოდაო!“ თავ-
მოსაჭრელი ამბავია! ის ქართველი ქართველი არ არის, რომელიც
თავის ეროვნულ ძმებთან იუღობას ეწევა და უცხო ერებთან მათ ხა-
რჯზე მეგობრობას ეძებს.

სახელი საქართველოსი — სახრავი კი თავიანთი, პირადი ანგა-
რიშების! აქ არც სხვა სარჩულია დადებული და არც სხვაგან მარ-
ხია ძაღლის თავი. რის სამშობლო, რა ერის მთლიანობა და თავისუ-
ფლება, მხოლოდ პირველად ყოველისა თავიანთი თავები! ამაზედ
უთქვამთ ჩვენში: „წარამართ მავალსაო მუცელი ატანს ძალასაო“.
მე ამით ის კი არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ არავითარი კავშირი მეზო-
ბელ სახელმწიფოებთან არ გეჭონდს, მხოლოდ იმ პირობით, რომ
ჯერ შიგნით გამაგრებულნი, შეერთებულნი მჭიდროთ ვიყვნეთ, და
ამის შემდეგ დავმეგობრდეთ მეზობლებთან. პატრიოტობა არ არის
შიგნით მხოლოდ ეკლის თესვა, გარეთ კი ეროვნული ქონების და-
რიგება.

ინტერნაციონალურ აზრების მიმდევართ რომ აეღო ასეთი გეზი
ქართულ ტერიტორიაზე ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, ვინაიდან
ინტერნაციონალურ მიზნების განხორციელებისათვის რა მნიშვნე-
ლობა აქვს ტერიტორიის ამა თუ იმ ნაჭერს, მაგრამ საკვირველოც
ის არის, რომ გამოჩნდნენ ისეთი პატრიოტებიც რომლებიც, საცა სა-
ჭიროება არ მოითხოვს მუდამ პატრიოტობაზე ყვირიან და სადაც
კიდევ საჭიროა იქ პატრიოტულ ინტერესს და მიზანს ღალატობენ და
ძირს უთხრიან.

ქართველი პატრიოტობა იმდენათვე ძველია რამდენათაც თვით
საქართველო, და ასევე ძველითგანვე გამორკვეულია მისი ბუნება
და შინაარსიც.

ყოველი პატრიოტი მოვალეა წარსული ჩვენი ისტორიისადმი
მთლიანად დაიცვას ჩვენი წინაპრების მიერ დატოვებული მემკვი-
დრეობა, ერის ქონებრივი და სულერი დოვლათი.

მრავალ თაობიდგან დაცული, შენახული და გამდიდრებული,
ასევე დაცული და გამდიდრებული უნდა იყოს შემდეგ თაობების
მიერაც. ასეთია პატრიოტული საქმე და მოვალეობა და ვინც ამას
ღალატობს ის პატრიოტი არ არის და „ქართველი დედის ძუძუ წას
შხამდაც შერგებია“.

ბაგ. სამხარაძე

საქართველოს ტერიტორიის საკითხისათვის

1937 წლის დეკემბრის 4-ს მიუხედავად სოსილის დარბაზში შესდგა პარიზის ქართველთა საზოგადოების კრება. კრების დანიშნულება იყო მოესმინა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგის, პროფესორ. ექვთიმე თაყაიშვილის მოხსენება ეგრედ წოდებულ სამუსულმანო საქართველოს შესახებ და გაერჩია ის პოზიცია, რომელიც დაიკავა რუსულმა ჟურნალმა „კავკაზ“მა 1921 წლის ყარსის ხელშეკრულების გამო, როლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთს გადასცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი: ართვინ - არტან - ოლთისის და ბათუმის რაიონები.

ბ. პროფ. ექვთიმე თაყაიშვილმა თავის მოკლე მოხსენებაში მსმენელთ გააცნო სამხრეთ დასავლეთის საქართველოს ისტორიული გეოგრაფია და პოლიტიკურ - კულტურული ისტორია: ეს მხარე ქართულ პოლიტიკურ და ეროვნულ - კულტურულ ისტორიაში უდიდეს როლს თამაშობდა და იგი ყოველთვის ქართულ ტერიტორიად ითვლებოდა.

ბ. ექვ. თაყაიშვილმა, მოხსენების შემდეგ, მოუწოდა კრებას, არ გაემწევაგებინა და დინჯად გაერჩია აღძრული საკითხი, რომლის შესახებ ილაპარაკეს შემდეგმა პირებმა: ბ. ბ. ივ. ზურაბიშვილი (საქართველოს სენატორი), კ. ქავთარაძე (ჟურნალისტი), ალ. ასათიანი (საქ. დამფუძნებელი კრების წევრი, ქართულ ჟურნალ „სამ. შობლოს“ დირექტორი), გ. გვაზავა (დანფ. კრების წევრი, დირექტორი ფრანგულ ჟურნალისა „პრომეთე“), ი. ნუცუბიძე (დამფ. კრ. წევრი), ი. მანწყავა (ჟურნალისტი), რაჭ. არსენიძე (დამფ. კრ. წევრი ყოფ. მინისტრი), ვიკ. ნოზაძე (დირექტორი ჟურნალისა „ქართლოსი“), გ. კერესელიძე (პოლიტიკური მოღვაწე), გ. ჭაჭიაშვილი („კავკაზ“ის თანამშრომელი) და ს. მდივანი (დამფ. კრ. თავმჯდომარის ამხანაგი, ყოფილი ელჩი ოსმალეთში). ორატორები შეეხენ „ჟურნალ „კავკაზ“ის პოზიციას, რომლის მიხედვით ბოლშევიკური ყარსის ხელშეკრულება ჩვენ მიერ უნდა დადასტურდეს და ბათუმის საკითხიც კვლავ დასტულ იქმნას; და უარყოფდენ რა ეროვნული თვალსაზრისით ასეთ პოზიციას, როგორც ყოვლად შეუფერებელს, საქართველოსა და კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მეტად საზიანოს, ჰგომბენ „კავკაზ“ის და მის თანამშრომელთა გამოსვლას. ამა სთან ერთად უდავო ფაქტებით უარყოფილ იქმნა „კავკაზ“ის მიერ თავის გერმანულ გამოცემაში გამოქვეყნებული ყალბი ცნობა, თითქო რუსეთთან ომის დროს ბათუმი საქართველოს მთავრობას ოსმალეთისათვის გადაეცეს.

ამით დამთავრდა კამათი. ამის შემდეგ ბ. ექ. თაყაიშვილმა, დალ

ლილობის გამო, კრება დასტოვა. კრება გაგრძელდა ბ. ს. მდივანის თავმჯდომარეობით და ერთხმად მიღებულ იქმნა შემდეგი რეზოლუცია:

„1937 წლის დეკემბრის 4-ს შემდგარი პარიზის ქართველთა საზოგადოების მრავალრიცხოვანი კრება საქართველოს ტერიტორიას საზღვრების თაობაზე, ადგენს:

„კრება აღშფოთებულია ქურნალ „კავკაზ“-ის და მისი თანამშრომლების მიერ ქართული ტერიტორიის გაცემის მისწრაფებითა და ქადაგებით, მით უმეტეს, რომ ასეთი გაცემა ბ. ბამატის ქურნალ „კავკაზ“-ის ქართველ თანამშრომელთაგანაც გამოდის.

„კრება განსაკუთრებლად მიუღებლად სთვლის იმას, რომ ამ მწერლების აზრით, თითქოს საქართველომ საბოლოოდ უნდა ხელი აიღოს ჩვენს ქვეყანაში შემოსული, მოსკოვის ბოლშევიკურ ხელისუფლების მიერ ყარსის ხელშეკრულებით გაცემულ უდავო ქართულ მიწაწყალზე, და რომ თვით ამ ხელშეკრულებით საქართველოს ფარგლებში დარჩენილ ბათუმის და მის ოლქსაც ახალი დათმობებისა და საექვეო კომბინაციების საგნად აცხადებენ.

„ჩვენ ვაცხადებთ, რომ საქართველოს ყველა პოლიტიკურმა პარტიებმა და საქართველოს პასუხისმგებელმა ორგანოებმა 1921 წელსავე ენერგიული პროტესტი განაცხადეს ეგრედ წოდებული ყარსის ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომლითაც საქართველოს ტერიტორია იქმნა გაცემული.

„ბ. ბამატის „კავკაზ“-ში მოკალათებულ ორიოდე ქართველ თანამშრომელისაგან საქართველოს მიწაწყალზე ასე იოლად ხელის აღება გამოწვეულია იმ ყალბი და სრულიად მიუღებელი, ვითომდა საქმიანი ზაზით, რომლითაც, ნივთიერი თუ სხვა მოსაზრებებით, ქართულ პოლიტიკურ აზრსა და ინტერესებს უქვემდებარებენ საქართველოსათვის საზიანო, უცხო პოლიტიკურ მიზნებსა და ინტერესებს.

„ასეთი პოლიტიკიდან ჩვენ მივიღეთ გაუგონარი და დაუჯერებელი ბოროტება: ცდა ქართული ტერიტორიის გაჩუქებისა თუ გაყიდვისა.

„კრება მიმართულებათა და დაჯგუფებათა განურჩევლად ერთხმად აცხადებს, რომ ქართველი ერი ერთსულოვნად და ურყევად სდგას თავისი ტერიტორიალური მთლიანობის ნიადაგზე და არავის მისი დარჩება - დანაწილების უფლებას არ აძლევს.

„კრება აცხადებს, რომ ქართველი ერი დიდათ აფასებს თურქეთის რესპუბლიკასთან კეთილ - მეზობლურ განწყობილებას და ღრმად დარწმუნებულია, რომ საქართველოს და საერთოდ კავკა-

ლის საქმეს. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ მან განსაკუთრებული ყურადღება მიაჩნ ჰქონ, ქართველებს მოგვაპყრო. მისი აქტივობის ცხრა მეთაფი მან ქართველებს შესწირა — მათს დაეებსა და უთანხმოებებს, არსებულს თუ ყურ მოკრულს, შეთხზულსა და გამოგონილს.

თავის ვიწრო წრეში იგი არც მალავს თავის თავზედ აღებულ ასეთ მისიას და მას საგანგებო იდეოლოგიაც შეუქმნა — საუკუნეების მანძილზე ქართველები მეთაურობდენ კავკასიას და ეხლა ჩვენი ჯერიაო.

რასაკვირვლია ასეთ აზრს არსებითად ვერავინ შეედავება. უკეთუ კავკასიის ერები საერთო საქმეს ემსახურებიან, ბუნებრივია, რომ მისი მეთაურობა გასწიონ სხვა და სხვა დროს ამ ერთაგან გამსულმა მოღვაწეებმა, ქართველები იქნებიან ისინი თუ სხვანი. მაგრამ უღავა ისიც, რომ ქართველებს არასოდეს გაუწევიათ არც კავკასიური და არც ქართული საქმის მეთაურობა ისეთი უარყოფითი, მეტიჩრული, მყვირალა და წკრილმანი პიროვნული ამბიციებით გაქლენთილი მოქმედებით, როგორც ამას ბამატი სცილილობს. უთუოდ ბამატი არ იცნობს კავკასიელთა ბუნებას, რომ ასეთი გზით ჰფიქრობს მისი ბელადობის მიღწევას. ხოლო თუ ის მას იცნობს, მაშინ ნათელია, რომ ის კავკასიელთა გარეშე ეძებს გულუბრიყველობთა და კავკასიურ სინამდვილეში არ ჩახედულთ, რომელნიც მისი აზრით, ადვილათ დაუჯერებენ მას, რომ ასეთი ნაცარ - ქექიაობით შეიძლება კავკასიელ ერთა ბრძოლის გზის შებრუნება და ამ ბრძოლის საქმის ბელადათ ვახლობა.

ბუნებრივია, რომ ასეთი მოქმედების ასპარეზზე ბამატი ვერ ახერხებს რაიმე ორგანიზაციის შექმნას. მართალია მის გამოცემებში მარტო ის არ სწერს. მთავარი მისი საზრუნავი სწორედ ეს არის, რომ გამონახოს თუ ვინმეს რამე აქვს დასაბეჭდი და ასეთების პოვნა არ არის ძნელი საქმე. მაგრამ საყურადღებოა, რომ ასეთი მოღვაწეობის ატმოსფერას ხანგრძლივად ძვირათ თუ ვინმე უძლებს. დასწერენ ერთ-ორს და შემდეგ გარბიან და ბამატს ათასი დიდი დაპირებისა და თამასუქის გაცემა სჭირია, რომ ახალ ახალი თანამშრომელი გამოიხახოს, თუნდაც თითო წერილის დასაწერად, ვინმეს გასათრევედ, გულის მოსაფხანად ან და მისი დიდი დაპირებების განაღდების იმედით. ბამატის ასეთ მოღვაწეობას, რასაკვირველია, ვერ აამაღლებს ის გარემოება, რომ მისთვის ის საღდაც სახსარს შოულობს. ვინ იცის ვისთვის და რისთვის არ უშოვიათ სახსარი ამ საშინელ აღრევის ხანაში?

ბამატისა და მისი „კავკასის“ ასეთი უცნაური მოღვაწეობის

დასახასიათებლად კიდევ სხვა ასეთივე თვისებების აღნიშვნა შეიძლებოდა, მაგრამ ზემოდ მოყვანილიც საკმარისია, დასარწმუნებლად იმაში, რომ ეს საქმე, შესაძლოა კიდევ შეძლებს კავკასიურ წრეებში უსიამოვნების შექმნას, ერთგვარ ნაწყენობასა და გამწვავებას, მაგრამ ამის ასპარეზიც საბოლოოდ შემცირებულია. ვინაიდან „კავკაზის“ ბუნება საკმაოდ ნათელი გახდა ყველასათვის, და არც წვრილმან დავათა და უთანხმოებათა საქურჭლეა უძირო და გამოუღეველი. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენ ვერავე დაგვწამებს, რომ ბამატის მოღვაწეობამ დაგვაშინა და ამის გამო მის წინააღმდეგ შეუზოვარი ბრძოლის ფრონტი გავხსენით. ჩვენ მისთვის ყურადღება არ მიგვიქცევია წინეთაც, როდესაც „კავკაზის“ ბელადი ახლად გამოსული იყო საფალანგოდ და დიდი ქარ - ბუქიც ჰქონდა ატეხილი.

დღევანდელი ჩვენი გამოსვლა გამოწვეულია მხოლოდ იმით, რომ ბამატი, გამოელია რა კავკასიელთა შინაური დავის საკითხები მის საზღვრებს გასცილდა და ლამობს ჩვენ სამხრეთ მეზობლებთან აგვიტეხოს დავა და უთანხმოება. აქ უკვე საჭირო ხდება მის მიერ მზაკვრულად აღძრულ საკითხების ახალი და გარკვეული განმარტება, რომ ბამატის ეს მზაკვრული ზრახვაც დროზედ იქნეს აღკვეთილი და გაბათილებული.

ბამატი მოგვთხოვს ქართველობას საქვეყნოდ განცხადებასა და საშვილიშვილო ანდერძათ დატოვებას, რომ ოსმალეთის სამუდამო კუთვნილებად ვთვლით საქართველოს იმ ოლქებს, რომელნიც საბჭოთა რუსეთმა გადასცა ოსმალეთს, თანახმად ყარსის ხელშეკრულე ბისა. მისი ჟურნალი დიდ საყვედურსაც გვიცხადებს იმისთვისაც, რომ ჩვენ ხელი შეუშალეთ ბრესლიტოვსკის ხელშეკრულების მთლიანად განადგებას და ასევე მოითხოვს ჩვენგან, რომ ვიცნოთ ახალი კონცესიების საჭიროება შესახებ ბათუმისა და მისი ოლქისა. ბამატის ჟურნალი ამას მეცნიერულადაც გვისაბუთებს — ართვინ არღანის და ოლთისის ოლქებში ქართულად მოლაპარაკეც აღარავინ აღმოჩენილა ოსმალეთის 1927 წლის აღწერილობის მიხედვით, და ამ ოლქებს ქართველებისათვის მხოლოდ არქეოლოგიური ინტერესი და შერჩენიათ. ბამატი უთუოდ დარწმუნებულია, რომ ასეთი მანიოვრით მან ქართველობა გამოუსავალ ჩიხში ჩარევა. თუ მივიღებთ მის წინადადებას, მაშინ მორალურად განვაიარაღებთ მებრძოლ ქართველ ერს და მის ძალებს დაექსაქსავთ. ამით ვერც ოსმალეთის ნდობას და სიმპატიას მოვიპოვებთ, რადგან ის არ ჩასთვლის გულწრფელად ჩვენს ასეთ აღსარებას. ხოლო თუ ამას არ მივიღებთ, ამით ოსმალეთისადმი მტრულს განწყობილებას გამოვამჟღავნებთ, და მით მას ავიმხედრებთ. საბედნიეროთ სინამდვილეში ქართველობის წინა-

შე არ დგას არც ერთი ასეთი საშიშროება, და ბამატის მიერ შექმნილ ჩიხში თუ ვინმე მოემწყვდევა, ეს უთუოდ თვითონ ის.

ჩვენთვის საქმარისია კვლავ ვსთქვათ ის, რაც მუდამ გვითქვამს, რაც არის აზრი და შეხედულება, უდავო და ურყევი პოზიცია მთელი ერის, და რაც ბამატზე უკეთ უწყის ოსმალეთმა.

ოსმალეთმა უწყის, რომ ჩვენ არ ვცნობთ და ვერ ვიცნობთ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს მიწა - წყლის დარიგებას. ოსმალეთმა უწყის ასევე კარგათ, რომ ამ ოლქებს საუკუნეთა მანძილზე ფლობდენ მრისხანე სულთნები და იქ ამასაც ვერ აღმოუფხვრია ქართველობა და ქართული ენა. რასაკვირველია ასეთი რამ არ ჩაუდუნია ეხლანდელი ოსმალეთის მთავრობას და ნ წლის მანძილზე არ მოუსპია ის, რაც ვერ მოსპო ძველი ოსმალეთის გავლენამ და მართელობამ ექვსი საუკუნის მანძილზე.

სამოცი წლის წინეთ, როდესაც ეს მიწა წყალი, ოთხი საუკუნით სრულიად დაშორების შემდეგ, კვლავ საქართველოს ფარგლებში მოექცა, დიდი ილია სწერდა: ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვიძინა: „ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლ - ხორცი, ჩვენთან ერთად „მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდელის განათლებისა და სწავლის აკვანი, ჩვენი ძველი საქართველო — დღეს ჩვენ შეგვიერთდა. ამ ომმა საცა ამდენი მსხვერპლი მიიტანა ქართველობამ, ამოდენა ძალა - გული და ვაჟაკობა გამოიჩინა, ამ ომმა ამდენი ხნის დაშორებულნი ძმანი ისევ ერთმანთს შეგვეყარა, ამ დიდ საქმეს ძმათა შეერთებისას ჩვენი საკუთარი სისხლი ზედ გადაესხა. მიიღო კიდე ჩვენმა, სისხლში ამოვლებულმა ბედმა ჩვენი სისხლის შესაწირავი“. ეს სთქვა დიდმა ილიამ სთქვა ის, რასაც მუდამ ამბობდა და ამბობს ქართველი ერი, მთლიანად და ერთსულოვნად, და მასვე ვიმეორებთ დღეს, მისი, ილიას დაბადებიდან ასი წლის თავზე.

ბამატი თავის „კავკასში“ გვარწმუნებს, რომ მას ვილაცანი თურქოფილობას სწამებენ. ხოლო ქართველობისა და მთლიანად კავკასიისათვის, ოსმალეთის სიმპატიების მოსაპოებლად რომ იღწვის, ეს ხომ მას უდავოთ შიანია. ერთი სიტყვით თავის თავს ოსმალეთის არა ოფიციალურ დესპანად აცხადებს. ჩვენთვის რასაკვირველია არ იქნება გასაოცარი, უკეთუ მებრძოლ საქართველოსა და კავკასიას არამცთუ არა ოფიციალური, არამედ ოფიციალური დესპანიც მოევიწყლებოდა და შემდეგს ამცნობს: ოსმალეთისათვის სასიცოცხლო ინტერესს შეიცავს თქვენი საქმის გამარჯვებით დაგვირგვინება. საქართველო და მთელი კავკასია რომ რუსეთს ჩაუვარდა ხელში, ამის დანაშაული უდავოთ დააკისრა ჩვენმა და თქვენმა ისტორიამ ძველი

ოსმალეთისა და სპარსეთის მეთაურთა პოლიტიკას. ეს თვით მათაც შეიგნეს და ალა-მაჰმად ხანის მიერ საქართველოს განადგურების შემდეგ, ოსმალეთის ელჩი წარუდგა ანანურში შეხიზნულ მეფე ირაკლის და მას დაჰპირდა სამცხე საათაბაგოს დაბრუნება დაფინანსიური და სამხედრო დახმარება, უკეთეს ის უარს იტყოდა რუსეთთან და კავშირებაზე, მაგრამ უკვე გვიან იყო. მეფე გიორგი მეცამეტესაც ეახლა შემდეგ ოსმალეთის ელჩი, ტომით ჩერქეზი, ასეთივე წინადადებით და უთხრა: ბატონო მეფე, რომ ალებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთ თვისა დროსა დახმავსა მისსა?“

მაგრამ იმ დროის ოსმალეთს კიდევ არ ჰქონდა სავსებით შეგნებული ის საშიშროება, რომელსაც უმზადებდა მას რუსეთის დამკვიდრება კავკასიაში. რუსეთმა ბრავალჯერ წააყენა ოსმალეთი დედს საფრთხეში, დაასუსტა და დაუძლურა ოსმალეთის ეს დესპანი უთუოდ გაგვახსენებდა ჩვენ, რომ 1917—18 წლებში ოსმალეთი ძლიერ სცდილობდა, რომ საქართველო და მთელი კავკასია დროზე გამოყოფოდა რუსეთს და მით ძლიერი ბარიერი შექმნილიყო მისსა და რუსეთს შორის. გავეიმარტავდა იმასაც, თუ რატომ სცდილობდა ოსმალეთი ამის შემდეგ, არდაგან - ართვინისა და ბათუმის დაკავებას. გვეტყოდა უთუოდ, რომ ოსმალეთს არა ჰქონდა სრული რწმენა, რომ კავკასია მოასწრებდა საჭირო ძალის შექმნას რუსეთის ახალ შემოსევამდე და ამიტომ სცდილობდა სტრატეგიული ადგილების ხელში დაჭერას. გვამცნობდა აგრეთვე, რომ მაშინ თვით ოსმალეთიც განიცდიდა უდიდეს კრიზისს და უდიდეს საფრთხეს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. გვამცნობდა, რომ ამის გამო რუსეთის შემოსევის დროს, 1921 წელს, ოსმალეთი რყევას განიცდიდა და თავის დროზე ვერ გადასწყვეტა საქართველოსა და კავკასიისათვის მხარის დაჭერა. ამის შემდეგ გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, — გვეტყოდა ეს დესპანი, თუ რატომ დაიჭირა კარა ბეჭირ ფაშამ ბათუმი, როდესაც თბილისი დაეცა და საქართველოს გამარჯვების იმედი აღარ იყო. ასევე გასაგებია ჩვენთვის ის, რომ თქვენმა დამარცხებულმა ძალებმა ბათუმიდან განდევნეს კარა ბეჭირ ფაშას რაზმები და ის უკვე რუსეთის მიერ დაპყრობილს, მაგრამ მაინც საერთო ეროვნულ სხეულს შეუერთს. ჩვენ კარგათ უწყობით ვინაობა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა და სარდლებისა, რომელნიც ამ საქმეს მეთაურობდნენ. მათი უმრავლესობა შემდეგ უცხოეთში გაიხიზნა ოსმალეთის გზით და თქვენ კარგად უწყით, რომ მათ ოსმალეთის სტუმართმოყვარეობა არ დაკლებიათ. ახალ ოსმალეთს დიდი პატრიოტები მეთაურობენ და თუ ჩვენ დაინტერესებული ვართ თქვენი სახელმწიფოებრივი აღდგენით, ჩვენ ანგარიშს გაუწევთ

მხოლოდ იმათ, ვინც ღირსეულად იცავს თავისი ერის სასიცოცხლო ანტიერესებს და არა ისეთებს, რომელნიც ყოველივეს გვთავაზობენ და გვპირდებიან, თავისას თუ სხვისას.

დიდი რუსეთის საფრთხე უდიდეს საერთო ანტიერესს ქმნის ჩვენთვის. მარტო ის არის საკმარისი ჩვენი ახალი ურთიერთობის სულ ახალ ნიადაგზე დაფუძნებისათვის. თქვენ უნდა გაიგოთ არდაგანისა და ართვინის უაღრესი სტრატეგიული მნიშვნელობა ჩვენთვის, როდესაც კავკასიაში რუსეთია დამკვიდრებული. მაგრამ ჩვენც უნდა აღვიაროთ თქვენს წინაშე, რომ ამ მიწა - წყლის მნიშვნელობა ჩვენთვის გაცილებით მცირე იქნება, უკეთეს თქვენი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება, და რუსეთის საზღვარი კავკასიის ქედს გადალმა გადაიტანება. რასაკვირველია, ოსმალეთს დარჩება აქ კიდევ სხვა ინტერესები და მათ შორის, ამ ოლქების მოსახლეობას თურქული ნაწილი. მაგრამ ოსმალეთში გვყავს ამათზე გაცილებით მრავალრიცხოვანი ქართველობა. ჩვენ ყოველთვის შეგძლებოდა ამ საკითხის მოგვარებას მოსახლეობათა გაცვლით, რაც ჩვენ დიდს მასშტაბში მოვახდინეთ ჩვენსა და საბერძნეთ შორის. ძლიერი კავკასია ჩვენთვის დიდი პრობლემაა და მისი განაღდებისათვის ფრიად მცირეა ყოველივე ასეთი მსხვერპლი.

ასეთ სიტყვასა და მადგომას მოველით ჩვენ ოსმალეთისაგან, როდესაც დადგება მის წინაშე საქართველოსა და კავკასიის აღდგენის საქმე, როგორც რეალობა. ამის ნაცვლად გვევლინება ბამატი და ვითომდა ოსმალეთის ზრახვათა მესაიდუმლე, გვიყენებს მოთხოვნილებებს, რომელთა შესახებ ოსმალეთს არაფერი გამოუშვლავნებია ქართველობისა და არც სხვებისათვის. ბამატი კიდევაც აკმაყოფილებს მის მიერ წარმოდგენილ მოთხოვნილებებს საქართველოს ხარჯზე, რასაკვირველია, მაგრამ კავკასიის საერთო ინტერესების მიხედვით, როგორც დარაჯი და მოამაგე ამ კავკასიის საერთო ინტერესებისა. და როდესაც ეს ვაჟბატონი ასე მხურვალედ არის მოწადინებული ოსმალეთ საქართველოს შორის სადავო საკითხების გამოძენას და გაცხოველებას, როდესაც რუსეთის კავკასიიდან განდევნისათვის მძიმე ბრძოლაში ჩაბმულ ქართველ ერსა და მის მეზობლებს, ამ მძიმე ბრძოლის პროცესში ის ხელოვნურად უსახავს თვალწინ ოსმალეთის საფრთხეს. ქეშმარიტად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ასეთი სიტყვა და საქმე რუსეთის დესპანსა და მოსაიდუმლეს შეეფერება და არა ოსმალეთისას.

და თუ დღეს ჩვენ აქ საჯაროთ გავწყებალავთ ამ არა მკითხვით და არ ვიცით ვის დესპანს, აზრადაც არავის უნდა მოუვიდეს, რომ ამით

ოსმალეთს ვაყენებთ რაიმე შეურაცყოფას და მით ვაზიანებთ მის ჩვენდამი დამოკიდებულებას.

„კავკასის“ მიერ აღძრულ ტერიტორიალურ საკითხის შესახებ უკვე დღევანდელ კრებამდე ჰქონდა გამოტანილი თავისი ნათელი და გარკვეული აზრი ყველაქართულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს. იგი ერთსულოვანია, ვინაიდან ამ საკითხზე ქართველ ერს საუკუნოთა მანძილზე აქვს გამომუშავებული ერთი უდავო აზრი და შეხედულება.

მაგრამ ამ უწყესოთ აღძრულ საკითხს აქვს მეორე მხარე და ქართული ემიგრაციის მოვალეობაა, რომ მასაც ვასცეს ღირსეული პასუხი. როგორ მოხდა, რომ ვინმე კუმიკი, საკინძებ შეხსნილი შემოიჭრა ჩვენს ქართულ ოჯახში და აქ ასე უტიფრად პარპაშობს? დღეს ეს ბამატმა ჩაიდინა და რით ვართ დაზღვეული რომ ხვალ მეორე ბამატი არ ჩაიდენს ამასე? ყბედი და თავხედი არ გამოიღვე და საჭიროა, რომ ჩვენი ქართული ოჯახის კარებს მათ წინააღმდეგ ურდულები ჰქონდეს ჩამოკიდებული. ქართველი ერი რომ საერთო კავკასიურ ასპარეზზე იბრძვის, სრულებითაც არ ჰგულისხმობს, რომ მან ყველა კარები გაუღოს ყველა გამველელ გამომველს და მოკავშირედ და თანამებრძოლად დასახოს ყველა ვინც ვითომდა კავკასიის სახელით ვინ იცის ვისთვის რას აკეთებს. საზოგადოთ საჭიროა რომ ქართული ძალები არ კადრულობდნენ დაკავშირებას ისეთ ელემენტებთან, რომელთაც არ მოეპოვებათ სათანადო მინიმუმი არც კავკასიური იდეებისა და არც მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნებისა და ღირსებისა, მეზობლურ კეთილ - განწყობილებისა და ლოიალობისა.

მეორეს მხრივ საჭიროა ჩვენი ქართული უთანხმოებათა და თანხმობათა ბუნების უფრო გარკვევა და ნათელ ყოფა, ვინაიდან ამას ბევრი შეჰყავს შეცდომაში შინ და გარეთ, და მით ჩვენი ქართული ოჯახის კარებს ფართედ უღებს ასეთ მოვლენებს.

უნდა ხედავდეს ყველა შინ და გარეთ, რომ მებრძოლ ქართველ ერს და მის ემიგრაციას აქვს ერთი და ყველასათვის სავალდებულოდ მიჩნეული პოლიტიკური პლატფორმა — ესაა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენობის აღდგენა საქართველოს ტერიტორიაზედ. უნდა ხედავდეს ყველა, რომ ამ მიზნის მისაღწევად მებრძოლ ერს აქვს ერთი ეროვნული ფრონტი, ერთად დაღვრილი სახლით, საერთო საფლავებით, საერთო თავდადებითა და თავგანწირვით.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მრავალი დავა და უთანხმოება, მაგრამ ყველა ისინი მეტად უმნიშვნელო არიან და ზედაპირული

ამ საერთო საფუძვლებთან შედარებით. გვყავს პოლიტიკური დაჯგუფებანი, რომელნიც არ არიან შეთანხმებულნი წარსულის აწმყოს თუ მომავლის მრავალ საკითხებზე. მაგრამ ეს საკითხები არც შეადგენენ ჩვენი განმათავისუფლებელი ბრძოლის საგანს და ეს დავებიც თითქმის სავსებით ემგრაციის ფარგლებით არიან შემოზღუდულნი. სამწუხაროდ ასეთ უთანხმოებათა სრული ლიკვიდაცია ფრიად ძნელი ხდება უკეთეს პირობებშიაც, ვიდრე იმყოფება ემიგრაცია, დაშორებული და მოწყვეტილი თავის ეროვნულ სხეულს. მაგრამ თუ სრული მისი ლიკვიდაცია შეუძლებელია, ფრიად შესაძლებელია მისი ნათელ ყოფა ისე, როგორც ის არის. დავა და უთანხმოება მყვირალაა და გამოჩენილი; ხოლო ერთობა და თანხმობა უფრო მორიდებული და დაფარული. ამის გამო წერილმან დავათა ხმაური ხშირად ჰფარავს დიდი ერთობისა და მთლიანობის ნიადაგს. უნდა დავერიდოთ ამ ერთობისა და უთანხმოების ასპარეზთა ერთმანეთში არევის. ჯგუფური, იდეური და ორგანიზაციული დაშორება არ უნდა დავსახოთ ფრონტებათ და მით არ უნდა შევქმნათ შთაბეჭდილება, რომ ჩვენ გვაქვს არა სხვა და სხვა დაჯგუფებანი ერთს ეროვნულს ფრონტზე, არამედ სხვა და სხვა ფრონტი. ყველას უნდა სწამდეს შინ და გარეთ, რომ გადამწყვეტს მომენტში ეს დაჯგუფებები დადგებიან საერთო ბრძოლის პოზიციებზე, ვით ერთი კაცი. ასევე უნდა სწამდეს ყველას, რომ მიუხედავად ჩვენი დავებისა მრავალს საკითხზე, ერთად ვიქნებით ყოველთვის, როდესაც წამოვრება, როგორც დღეს საკითხი საერთო ეროვნული ინტერესის, ეროვნული ღირსებისა და თავმოყვარეობის. მებრძოლ საქართველოს ახალი ბრწყინვალე ფურცლები შეაქვს თავის სახელოვანს მატთანეში. ქართულ ემიგრაციასაც აქვს იქ თავისი ფურცელი და ჩვენი ეროვნული მოვალეობაა, რომ ეს ფურცელი შავი ლაქებით არ იყოს დაფარული.

ძირეულ ერთობის ხარჯზე ზედაპირულ, წარსულისა თუ მომავლის გეგმებსა და საკითხებზე დავათა და უთანხმოებების ზომამდე გადაცილებაში ყველას გვიდევს წილი. ასევე ყველანი ვართ მოვალენი ვიზრუნოთ მისი განულებისა და შემოფარგვლისათვის. ამ მეორე ხარისხიდან უთანხმოებებში ერთმანეთის დათმობა და შეგუება ემსახურება საერთო ეროვნულ ნიადაგის განმტკიცებას და ვინც მტრს მსხვერპლს გაიღებს ამ შიმართულებით, ის უფრო მიუახლოვდება ეროვნული ბრძოლის სრულ ყოფილ ბუნებას, ეროვნული ბრძოლის იდეალს.

ქართველი ერის ბრძოლის საქმე სწრაფის ნაბიჯით უახლოვდება გადამწყვეტ მიჯნას. ეს მოითხოვს ჩვენგან ყველა ქართულ ძა-

ლები მტკიცედ გაერთიანების დაჩქარებას, მაგრამ ჩვენ თუ დღეს
კიდევ არა ვართ მზათ, შესაქმნელად ისეთი ორგანოსი, რომელიც
თავს მოუყრის ყველა ჩვენს ძალებს შინ და გარეთ. ის მაინც უნდა
შევძლოთ, რომ შევექმნათ ორგანო, რომელიც დაიწყებს ამის შე-
ზადებას და ამასთანავე დარაჯად დაუდგება ჩვენს უდავოდ საერ-
თო ეროვნულს ინტერესებსა და ამოცანებს, ეროვნულ მორალსა
და ღირსებას, რომლის ერთი მაგალითი დღეს ჩვენ გავვიხიდა საჯა-
რო განხილვისა და დაფასების საგნად.

ასეთია ჩვენი გარდაუვალი მოვალეობა ერისა და ისტორიის
წინაშე.



ი ლ ი ა ზ ა ვ ზ ა ვ ა ძ ი

(მოგონებათა ნაწყვეტები)

მამა ჩემი თვითონაც შიწის მუშა იყო და სურდა მისი შვილიც
მიწას არ მოსწყვეტოდა. მე არაფერი მკითხა და 1893 წელს წინამძ-
ღვარიანთ კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაში მიმაბარა. მანამდის
ეხლანდელ ლორის რაიონში ხუთი წელიწადი დავყავი რუსულ სკო-
ლებში და დედა-ენა საყველბუროდლა მახსოვდა. წინამძღვარიანთ
კარის სკოლაში-კი ყველა საგანს ქართულად ასწავლიდნენ. ზოგი
საგანი იქაურ კურს დამთავრებულებზე უფრო უკეთაც ვიცოდი
(რუსული, გეოგრაფია და სხ.), მაგრამ ვინაიდან ქართული და სპე-
ციალური საგნები არ მესწავლა, ამიტომ მესამე კლასში მიმიღეს და
საგანგებოდ ქართული ენის მასწავლებელი დ. დავითაშვილი მიმი-
ჩინეს. ერთი წლის შემდეგ ჩემ ტოლებს დავეწიე, მაგრამ ენა საბო-
ლოვოდ ვერ გავიტეხე, ქართულ მახვილს თავის ალაგი ვერ ვუბოვე.

14 წლის ყმაწვილმა უკვე ვიცოდი ვინაობა და რაობა იმ საუ-
კუნის კლასიკოსებისა. ისიც ვიცოდი, რომ ყველაზე დიდ მწერლად,
მოღვაწედ და ქართველთა მოურნედ ილია ჭავჭავაძე ითვლებოდა.
იმ ერთ წელიწადში ზებირად მასწავლეს მისი რამდენიმე ლექსი და
ჩვენი სკოლის გახსნის გამო მის მიერ ნათქვამი სიტყვაც, რომელიც
ქართული ორატორული ოსტატობის ერთერთ საუკეთესო ნიმუშად
მიმაჩნია.

სკოლისათვის ტრადიციად იყო გადაქცეული, რომ სკოლის
უკანასკნელი კლასების მოწაფენი ილიას დღეობას (20 ივლისს) აუ-
ცილებლივ უნდა დასწრობოდნენ. იმ დღეს დილით გალობაში ერთ-

ხელ კიდევ ვივარჯიშეთ, სუფთად ჩავიცვით და საგურამოსკენ გავ-
წიეთ. ილია ჭავჭავაძესთან გადაღებული ფოტოსურათი ეხლა წინ
მიდევს. სურათზე სულ 32 მოწაფე დავითვალე.

წინ მასწავლებელი თედო მეგრელიშვილი მიგვიძღვის. მას მომ-
ღერალთა გუნდი მისდევს. ხუთიოდე კილომეტრი გავიარეთ და
ილიას სახლს რომ მიუახლოვდით, მგზავრულის კილოზე მისივე ლე-
ქსი დავძახებთ:

„ქართველო ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა“)

წინ ილია გამოგვეგება. გარს შემოვეხვეით და სიმღერა დავა-
სრულებთ. ილიას გაოცებული შეეცქეროდით. მეგონა ახოვანი ჩოხო-
სანი ან ქულაჯოსანი იქნებოდა, ნამდვილად კი ჩვენს წინაშე შუა-
ტანის 57 წლის კაცი იდგა — სრული პირსასვე, ჭალარა შერეული.
ილია გვიღიმოდა, გვეალერსებოდა, ვინაობას გვეკითხებოდა. მერმე
წინ გაგვიძღვა და ხალხით სავსე ეზოში შეგვიყვანა. ჩვენი გამოკით-
ხვა დიდ ხანს გაგრძელდა. რიგი ჩემზე მოვიდა. იმ სკოლაში ბორჩა-
ლოელი ჩემს მეტი ჯერ არავინ ყოფილიყო. ეს ილიას გაუკვირდა
და გაეხარა. მასწავლებელმა მეგრელიშვილმა შემარცხვინა: ილიას
ჩემი ნაკლი წასჩუროხულა.

— აბა ბარათაშვილის ლექსი წამიკითხე, — მითხრა ილიამ.
მეტი გზა არ იყო. წინდაწინვე გავწითლდი და დავიწყე:
მორბის არაგვი არაგვიანი,
თან მოსძახიან მთანი ტყიანი.

მახვილი ისევ ნამდვილი რუსული წესით ვიხმარე: ილიამ გაა-
ცინა. არც სხვები ჩამორჩენილან. მე მეწყინა და მაშინვე გავჩუმდი.
ილიამ თავზე ხელი გადამისვა და დამაწყნარა. ვილაცამ უთხრა ჩე-
მზე: ჯერ ქართული გამოთქმა არ ეხერხება, საშაგიეროდ მწერლო-
ბას ისე ბეჯითად სწავლობს და ისე სწერს თხზულებას, რომ მწერა-
ლი უნდა გამოვიდესო.

— მართლა? აბა შენ იცი. — მითხრა ილიამ, — ვინძლო არ შე-
გვარცხვინო.

იმ ვილაცას ენამ უყვილა, თორემ მაშინ მწერლობა აზრადაც
არ გამივლია.

*) ილიას დღეობაში ზედიზედ ოთხჯერ ვიყავი. 1896 და 1897
წელს ჩვენს გუნდს ორდენოსანი სანდრო კავსაძე ხელმძღვანელო-
ბდა, მე პირველ ხმას ვამბობდით. ის-კი მოძახილს.

ილიას უბრალო სახლში გამოაცა. ბორჩალოელი დიდი თავადების სახლები მქონდა ნახული და მეგონა, ილიას სახლი ყველას უნდა სჯობდეს მეთქი. რამოდენიმე წლის შემდეგ ილიამ ჩემ თვალწინ ახალი სამსართულიანი სახლი აიშნა. მშენიერი იყო მისი ბაღი, ზვარი აუზი, ყვავილნარი, ეზო, წყარო, ვეება ქვის მაგიდები, თავკარვიანი კაკალი, მუხებისა და ცაცხვების რიგი, რომელნიც იმ კარ მიდამოს ეხლაც ამშვენებენ. ყველაზე მეტად მარანმა გამაკვირვა. მისი მსგავსი ქართული სტილის სამოქალაქო ძველი შენობა აქამდის არ მინახავს. რასაკვირველია, რომ სიძველეთა დამცველ კომიტეტს ის შენობა არ აურთიხავს და არ დაუცავს.

აღარ მახსოვს ილიას დღეობაში ვინ რომელ წელს ენახე. ის კი მახსოვს, რომ პირველად იქ დავინახე პეტრე უმიკაშვილი, ნიკო ხუანაიშვილი, გიგა ყიფშიძე, დავით მიქელაძე, დამა უორდროზი, არტურ ლეისტი, გრიგოლ აბაშიძე, კიტა აბაშიძე, ვალერიან გუნია, რაფიელ ერისთავი, გრ. ვოლსკი, ზდანოვიჩი, ნატო გაბუნია და ბევრი სხვა მოღვაწე და მწერალი. მოწაფეებში ვილაც სტუმარი ჩაგვევრია და მათს ვინაობას გვისახელებდა. მე ჩემი თავი ოლიმპზე მეგონა. მას მხოლოდ ვაჟა და აკაკი აკლდა.

ხალხი თანდათან მატულობს. გლეხები გუნდ-გუნდით მოდიან, მებაღეებს არაგვიდან ორაგული მოაქვთ. მებაღეთა ჯგუფმა ნობათად ილიას უამრავი ხილი მოართვა. მონადირეს შველი ჩამოუტანია, ორმა მეცხვარემ ბატკნები მორეკეს. ჩრდილში ორპირად მეტად გრძელი სუფრა იშლება. მე არა მჯეროდა, რომ ამოდენა ხალხის და პურება ერთ რიგზე მოხერხებულყო, მაგრამ თადარიგი სწორედ დაუჭირათ, ყველაფერი უნაგარიშიათ. კაკლის ქვეშ ინტელიგენცია და ილიას ნათესავები დაეტივნენ. სუფრის ბოლოს მოწაფენი დავსხედით, იმავე მწკრივში და ქვემოთ შორს საბძლამდის ლურჯ სუფრებს გლეხობა შემოუხსნდა. საკმელ - სასმელი თავსაყრელია.

თამადათ კოლა ერისთავია. სვამს და სხვასაც ასმევს, თან ენამკვევრობს, დროგამოშვებით ილიას ლექსებს ამბობს და სხვებსაც ათქმევინებს. ილიას მეუღლის ოლღას სადღეგრძელოს რომ გამოაცხადებდა, უეჭველად „განდეგილის“ ნაწყვეტსაც იტყოდა ხოლმე. ილია მასპინძლობს: სუფრას ხშირად ჩაჰყვება, ყველას დახედავს, ალხენს და თვითონაც ილხენს. განთქმული მომღერალი ყარალაშვილი თარს უკრავს და მღერის. ჩვენმა გუნდმა უამრავი სიმღერა იცოდა: „გუშინ შვიდნი გურჯანელნი“, „გაფრინდი ჩემო მერცხალო“, „მურმანო“, „თამარის დროშა გაშალეს“, „წაიყვანეს თამარ ქალი“, „აღსდექ გმირთ გმირნო“, „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“ და მრავალნაირი „მრავალეამიერი“. ვულგარულ „შენი ჭირიმეს“ და რატლის

კილოებს ილიას ხალხური სიმღერა ერჩინა. ეს ჩვენც ვიცოდით და თითქმის მარტო ლადო აღნიაშვილის რეპერტუარს ვიყენებდით. ილია ბანს გვეუბნებოდა, მაგრამ სმენა არ უვარგოდა და ამიტომ მისი ხმა დისონანსად ისმოდა. ჩვენ, რა თქმა უნდა ვერაფერს ვუბედავდით: სამაგიეროდ ერთმა ხნიერმა გლეხმა შეუბედა და გააჩუმა. „ბერი კაცი ვარ ნუ მომკლავ“ ილიას გაგიჟებით უყვარდა. ეს სიმღერა ჩვენი გუნდის შემდეგ გლეხებმა დაიწყეს. ილია მაშინვე იქ გაჩნდა, ორ გლეხს მხრებზე მოეხვია და ბანი მიაყოლა. მეც იქ გავჩნდი და ერთი მოკლე დიალოგი კარგად გავიგონე.

—ილიავ გაჩუმდი. —უთხრა გლეხმა.

—ვერ გავჩუმდები. —მიუგო ილიამ. —ეგ სიმღერა ძლიერ მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო.

—ილია, გაჩუმდი თორემ ჩვენ გავჩუმდებით.

—ქარგი, ისევ მე გავჩუმდები, — უთხრა ილიამ და ის სიმღერა ხანგამომშვებით სამჯერ - ოთხჯერ ათქმევინა.

ღვინო თავისას იქმს. სუფრა ირევა. სიმღერა რამდენიმე ალაგას ისმის, აქა-იქ ლეკური და დავლური გაჩნდა. ილია ოდნავ შეზარბოშდა. მხოლოდ დაძმა უორდრობი, ლეისტი და ებისკოპოსი ალექსანდრე გადარჩნენ. მოწაფენიც ფხიზლები ვართ. გლეხები ფხიზლებიც რომ ყოფილიყვნენ ერთ საათსაც ვერ მოითმენდნენ, რომ ჭიდაობა არ გაემართათ. ილიას ჭიდაობაც ძლიერ უყვარდა. მაგრამ იგი უჩხუბრად იშვიათად თავდებოდა. წრეში ხელჯოხოსნებს შეიყვანდა, თვითონაც დადიოდა და გლეხებს ეხვეწებოდა:

—ჩხუბი არ გაბედოთ. დღეობა არ ჩამიმწაროთ.

არ ჩაუმწარეს. იმ ხანებში ყველაზე უფრო განთქმული მოჭიდავე იმერეთიდან გადმოსახლებული მებაღე ვინმე „ქორია“ იყო. მისი გვარი არავინ იცოდა. ერთ დროს ის ილიას მებაღედ იყო. ქორია ორ-სამ მოჭიდავეს წააქცევდა და ილიას აამებდა ხოლმე.

—ყოჩაღ! ისევ მასახლე, — უთხრა ილიამ მას შემდეგ, როცა ქორიამ ერთი სახელოვანი მოჭიდავეც წააქცია. —ხვალ მოდი და ერთი საჩოხე წაიღე.

მოწაფეები შებინდებისას ვიშლებოდით. ილიას ზოგი ნათესავ მეგობარიც მიდიოდა, ხოლო დანარჩენნი მეორე - მესამე დღემდის რჩებოდნენ. მანსვეტაშვილი სწერს, ილიას სამოცი ხელი ლოგინი ჰქონდაო. შემცდარია მისივე აზრი, თითქოს იმ დღეობაში საქართველოს ყველა კუთხიდან იმოდენა ხალხი საქეიფოდ მოდენილიყო. ერთი-ორი დღის სავალზე საქეიფოდ ვინ მივიდოდა! საგურამო ხატი ხომ არ იყო, რომ მანძილს არ დაზარებოდნენ. ილიაობა ეროვნუ-

ლი დღეობა იყო და იმოდენა ხალხი იმიტომ იყრიდა იქ თავს. მოწაფეებსაც ამგვარად გვექონდა შესმენილი.

ილიას მამულში მოწაფეები რამდენჯერმე ჩავედით სამეურნეო ევროპული იარაღების სანახავად და სავარჯიშოდ. ერთი მოზრდილი ფარდული ამ იარაღებით იყო სავსე. ილია დაჟინებით ლამობდა თავისი თეორია საქმედ ექცა — საქართველოში ევროპული მეურნეობის პაწია კუთხე გაეჩინა. მაგრამ ამან მაშინდელ პირობებში ნაყოფი ვერ გამოიღო. მანქანები ხშირად ემტრებოდა. იქაური ხელოსნები ვერ ამთვლებდნენ, ხოლო სულ უბრალო რამისთვის მანქანების თრევა ქალაქში და უკანვე ატანა მეტად ძვირად უჯდებოდა. ამის გამო ვილაც სტუმარი კაკლის ქვეშ წყაროსთან ცხარედ ეკამთებოდა ილიას და ფანტაზიორსუწოდებდა. ბოლოს ილიამ მოუჭრა:

—კაცო, გაიგე: მარტო წაგება - მოგებისათვის ხომ არა ვცხოვრობთ. ამგვარ მანქანებს ადრე თუ გვიან გლახებიც შეეჩვევიან, შეიძინენ და ჩვენს ქვეყანას წინ წასწევენ.

1901 წელს ყირიმის სკოლას თავი დავანებე და ტფილისს დავბრუნდი. ილია წინამძღვრიშვილს უნდოდა ის სკოლა დამემთავრებინა და თავის სკოლაში მასწავლებლად მივეწვიე.

რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების ასი წლის თავის შესრულების გამო თავად აზნაურობას დიდუბეში გამოფენა გაემართა და მეც იმის სანახავად მივედი. —იქაურობა ხალხით იყო გაჭედილი. მეფის დესპანს — ვილაც დიდ მთავარს— აქაური მთავარმართველი და დიდრონ მოხელეთა ამაღა დასდევდა. უცებ ორ ილიას — ჭავჭავაძესა და წინამძღვრიშვილს წაეაწყდი. ეს ის წინამძღვრიშვილია, რომელიც 60-იან წლებში ჭავჭავაძეს შეიარაღებული მცველად დასდევდა, როცა მას ზოგი ქარაფშუტა თავადი თუ აზნაური მოკვლას ემუქრებოდა. ორივენი თითქო შეფიცული მეგობრები იყვნენ და უერთმანეთოდ დიდხანს ვერა სძლებდნენ. წინამძღვრიშვილიც შესანიშნავი მოღვაწე იყო. მთელი სიცოცხლე თავის სკოლას შესწირა.

ორივენი სუფრაზე ისხდნენ და საგრილებელ რამე სასმელს სვამდნენ. მე ვცადე ილია წინამძღვრიშვილისათვის თავი მომერიდებინა, მაგრამ დამინახა, დამიძახა, დამსვა და მისალმების შემდეგ წკითხა, ამ დროს აქ რა გინდაო. როცა გაიგო, რომ სწავლას თავი მივანებე, ძლიერ გაწყრა და საყვედურით ამავსო.

—ეხლა რას აპირებ, რით გინდა იცხოვრო?

—მინდა მხატვრობა შევისწავლო.

წინამძღვრიშვილი უარესად გამიწყრა, კიდევ დამცინა. ჭავჭავაძემ მიცნო.

—ეს ის ყმაწვილი ხომ არ არის, მწერალი რომ უნდა გამოსულიყო? — ჰკითხა მან წინამძღვრიშვილს.

—ის არის, მაგრამ მწერალი კი არა... —და ჩემს გაწბილებას დასასრული აღარ უჩანდა. ბოლოს მკითხა, მამაშენი ნაწყენი არ არისო?

— დედ-მამა დამეხოცა. —უპასუხე მე.

წინამძღვრიშვილი უცებ მოლბა. კილო გამოიცვალა, მანუგეშა, მომეალერსა. მე ჩემი დედისა და დის მოკვლის ამბავი ვუამბე. ორივენი გაცოდნენ, ნუგეშის ცემას უმატეს. ამ დროს სუფრას მეფის კარის კაცის მუნდირით გამოწყობილი თავად - აზნაურთა წინამძღვრი დავით მელიქიშვილი მოუჯდა. ის ჩემი ბორჩალოელი მეზობელი იყო და ერთმანეთს უწინაც ვიცნობდით. ამ სამარცხენო იუბილეს ინიციატორი და მეთაური ის იყო. სალამ მოკითხვის შემდეგ მარშალმა და ჰავეკავაძემ საუბარი გააბეს. მას დროგამომშვებით ცხარე კამათის იერი ეძლეოდა. ეს ბაასი სიტყვა სიტყვით აღარ მიჩხოვს, ხოლო მისი შინაარსი კარგად დამახსოვდა. მელიქიშვილმა ჰავეკავაძეს უსაყვედურა, თავდაზნაურთა საკრებულოს იშვიათად ეკარები, ხოლო იუბილეს მტრულად შეხვდით.

—სასიხარულო არაფერია. — მიუგო ჰავეკავაძემ. — საქვეყნოდ თავი მოგვეჭირით. თავიდანვე გითხარით მე ჩემი გზა მაქვს მეთქი.

—ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს.— გაიხსენა წინამძღვრიშვილმა ჰავეკავაძის გზა, რომელიც მელიქიშვილის გზას თავიდანვე გაეყარა.

—გარდა ამისა, —სთქვა ჰავეკავაძემ, — ამ იუბილემ ქართველი ხალხი ორ ბანაკად გაარღვია. თქვენ, ერთი მუჭა ჩინოსანი, გაღმა დგებართ, ხოლო ხალხი გამოღმა დარჩა. მაგრამ ზოგი ჭირი მარგებელია: ამ იუბილეს წყალობით ხალხი მტერ-მოყვარეს გარჩევას ისწავლის და მისი ეროვნული შეგნება საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

ორი წლის შემდეგ მე მართლა შევეუდექი მწერლობას, ხოლო 1904 წელს „ივერიის“ ფაქტიური რედაქტორი გავხდი. ოფიციალური რედაქტორი გ. ყიფშიძე ბანკში მუშაობდა და თავის გაზეთს უკვე დაბეჭდილს კითხულობდა. იმავე წლის დამლევს გაზეთს ფ. გოგიჩაიშვილი ჩაუდგა სათავეში. იმ ორ წელიწადში ჰავეკავაძეს რამდენჯერმე შეეხვდი.

1906 წლის გაზაფხულზე ავადმყოფ ილია წინამძღვრიშვილის სანახავად მივედი. მალე ი. ჰავეკავაძეც შემოვიდა ავადმყოფი მოკითხა და საუბარი გააბა. შავბნელი აზრებით იყო შეპყრობილი. ჯერ „ივერიის“ ბედი გაიხსენა. ეს გაზეთი მისი ნაშვილევი იყო. იგი რამოდენიმე ათეულ წელიწადს ზიდა, მერე თავის ერთგულ ა. სარაჯიშვილს გადასცა, მან ილიას გზით მავალ ყიფშიძეს ჩააბარა, ამან

კი ამ ახალგაზრდას გადაულოცაო — სთქვა ილიამ ჩემზე — და შებდეგ გოგიჩაიშვილსაო.

ილია ქვეჭავჭავაძის საჯარო ლაპარაკი რამდენჯერმე მოვისმინე. საოცარი ორატორი იყო. არ აღელდებოდა, კილოს არ აუწყევდა. თავი რკინის ძველსავე ეჭირა. მოპირდაპირეს იშვიათად შეაწყვეტიანებდა და თუ რამდენიმე სიტყვას მიაწოდებდა, მისი რეპლიკა მუდამ მომაკვდინებელი იყო. ხმა ძლიერი ჰქონდა. ლოლიკის ძალა უნაკლო, დაუნდობარი, რკინისებური; ლაპარაკის მანერა - ბოლომდის დინჯი, მაგრამ შეუბრალებელი, მკვეთრი გამგმირავი, ზოგჯერ ზომიერად ირონიული; მაგრამ მუდამ ზრდილობიანი, დარბაისლური. მოპირდაპირის სუსტ ადგილებს ფოლადის მარწუხივით დასწვდებოდა და ჰგლეჯდა, ათრევდა და მანამდის სთელავდა, სანამ საბოლოოდ არ მოსპობდა. ეს მანერა პოლემიკისა ილიას წერილებსაც აშკარად ეტყობა. მტრებსაც ნაწვენევი ჰქონდათ და ძლიერ ეშინოდათ, შებმას იშვიათად უბედავდნენ. არა თუ ილიას ტოლი, მისი ტიპის ორატორიც აღარ მოიხსენია.

ჯერჯერობით აქ ვსვამ წერტილს. მკვლევლობის ამბავი 1936 წ. 18 ივლისის „ლიტერატურულ საქართველოში“ მაქვს ნაამბობი.

გაზ. „კომუნისტიდან“

მიხეილ ჯავახიშვილი

თურქი მოღვაწე კავკასიაში

ერთი კუმიკი, გვარად ბამატი კარგა ხანია გვაცნობს და გვიხსნის ოსმალეთის პოლიტიკასა და ზრახვებს, არამც თუ წარსულსა და აწმყოს, არამედ მომავალსაც. ბამატის მიერ დაკანონებული ეს ოსმალური პოლიტიკა კავკასიის შესახებ ყველას მოეჩვენა, როგორც ოსმალეთის საფრთხის ჩამოქანდაკება კავკასიელ ერთა წინაშე და ბუნებრივად ყველას ერთი და იგივე კითხვა ებადება — ვისთვის არის სასარგებლო მძიმე ბრძოლაში ჩაბმულ ერების დაშინება ოსმალეთით? ამ კითხვაზე ასევე ბუნებრივად ყველანი ასეთ პასუხს იძლევიან — ოსმალეთით დაშინება, ეს რუსეთისაკენ მიმავალი გზის ჩვენებაა და ვისთვის არის ეს საინტერესო, ეს უკვე ნათელია თავის თავად.

მაგრამ თუ „კავკაზი“ ჩვენ გვაბრუებს ბამატის ბოროტი ფანტაზიებით შესახებ თურქთა ცუდი ზრახვებისა კავკასიის მიმართ,

არსებობს მეორე ჟურნალი „სევერნი კავკაზ“, სადაც ხშირად მოიპოება მასალები ამავე საგანზედ. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ბამატის კავკაზი ბამატის ნაბოდილებს ასაღებს თურქულ აზრად, ხოლო „სევ. კავკაზს“ მუდამ მოჰყავს თურქთა პასუხისმგებელ წრეთა წარმომადგენლების ნაწერი და ნათქვამი.

„სევ. კავკაზში“ (№43) მოთავსებულია თარგმანი რამოდენიმე წერილისა, რომელნიც მუხიდინ ბირგენმა დასტამბა სტამბოლელ სონ-ფოსტაში. ავტორი ცნობილი მოღვაწეა ერთობის და პროგრესის პარტიისა, რომელიც შემდეგ ქემალისტურ, სახალხო პარტიად გადაიქცა. მუხიდინი რედაქტორი იყო ამ პარტიის უმთავრეს ორგანო „ტანინ“-ის. ნათელია რომ ასეთი პირი საკმაოდ ჩახედული იქნება ოსმალეთის პოლიტიკაში უკანასკნელი ოცდა ხუთი წლის მანძილზე. მუხიდინ ბირგენმა 1921—23 წლები გაატარა კავკასიაში და ერთხანად პროფესორადაც იყო მიწვეული ბაქოში. აზერბეიჯანზე და საზოგადოთ კავკასიაზე მან 40 ფელეტონი დასტამბა სტამბოლის გაზეთში და „სევ. კავკაზს“ მოჰყავს რამოდენიმე მისი წერილის თარგმანი.

მუხიდინის აზრით აზერბეიჯანის პრობლემა მტკიცედ არის გადაბმული კავკასიურ პრობლემასთან, ხოლო კავკასია წარმოდგენს ერთ ერთ უმნიშვნელოვანეს ყელს მთელს მსოფლიოში. მუხიდინის აზრით სპარსეთის აზერბეიჯანსაც აქვს თავისი პოლიტიკური შემეცნება, მაგრამ კავკასიის აზერბეიჯანში იგი განვითარდა სულ სხვა მიმართულებით. პოლიტიკური კულტურის ევოლუციამ, რომელიც სწარმოებდა სამს სხვა და სხვა პირობებში, წარმოშვა სამი განსხვავებული პოლიტიკური შემეცნება.

თანამედროვე კულტურა აზერბეიჯანმა რუსეთიდან მიიღო. ეს იქ საკმაოდ ძლიერია. განსაკუთრებულად ძლიერია მათში სოციალურ პოლიტიკური კულტურა. ამ მხრივ აზერბეიჯანის ინტელიგენცია უფრო განვითარებულია ვიდრე თურქული. ამის გამო მას მეტად ცუდი შთაბეჭდილება დაუტოვა ჩვენი ოკუპაციის ხანამ. სამწუხაროდ ჩვენ აქ მივედით დამპყრობელთა სახით. თურქთა სარდლობამ მრავალი და მძიმე შეცდომა დაუშვა აქ და სტამბოლი უგუნურად აწარმოებდა კავკასიურ პოლიტიკას. მუხიდინი მკაცრად გმობს თავის მოძმეების მოღვაწეობას აზერბეიჯანში და საერთოდ კავკასიაში და ზოგიერთებზე სწერს:

„ეს უმადურნი და უზნეონი, ავანტიურისტ ხალილ ფაშას მეთაურობით, თამაშობდნენ ბინძურ როლს რუს ბოლშევიკების ფართულ მუშაობაში, აზერბეიჯანის წაქცევასა და სოვეტიზაციისათვის წარმოებულში“

მუხიდინი ამართლებს აზერბეიჯანის და სხვა კავკასიელ ერე-

ბის იმ დროის „ანგლოფილობას“ თავის ქვეყნის გადარჩენის მიზნით. თურქ მოღვაწეთა ცუდ პოლიტიკის აღნუსხვას მუხიდინი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: — როგორც თურქის ინტელიგენტმა მე გადავწყვიტე მოვიხადო ჩემი მორალური მოვალეობა აზერბეიჯანის წინაშე და ყოველივე ვსთქვა საჯაროდ. ისტორიამ უნდა უწყიდეს ყოველივე ეს. ამასთან ერთად თურქულ ნაციონალიზმის სახელით უცხადებ აზერბეიჯანლებს მხურვალე თანაგრძნობას და საქვეყნოდ ვთხოვ მათ პატივებას იმ ტანჯვისათვის, რომელსაც ისინი განიცდიან ჩვენი თანამემამულეთა მეოხებით.“

მუხიდინი თავს ინუგეშებს იმით, რომ ოსმალეთი ვერ ჩაითვლება პასუხისმგებლად ამ პოლიტიკან ავანტიურისტთა მცირე ჯგუფის მოქმედებისათვის და რომ ახალი ქემალისტური ოსმალეთი სრულიად განთავისუფლებულია ასეთი უპასუხისმგებლო ავანტიურისტულ მეთოდებისაგან.

მუხიდინი ამტკიცებს, რომ აზერბეიჯანელთა მცირე ჯგუფი, კომუნისტები მომხრე არიან რუსეთთან კავშირის, ხოლო დანარჩენი ხალხი გამსჭვალულია ეროვნული სულისკვეთებით და მომხრე დამოუკიდებლობის. მიუხედავად გულწრფელი სიმპატიისა ოსმალეთისადმი, აზერბეიჯანს არ სურს პოლიტიკურად მასთან გაერთიანება. მე შემთხვევა მქონდა მესაუბრა ინტიმურ პირობებში თითქმის ყველა ლიდერთან, რომელნიც სრულიად გულწრფელად გამოსთქვამენ ოსმალეთთან შეერთების საწინააღმდეგო შეხედულებას. მუხიდინი სავსებით ამართლებს ასეთ შეხედულებას. ასეთ პოზიციას ამართლებს აზერბეიჯანის სულიერი და მატერიალური პირობები და კავკასიის გეოპოლიტიკა. პირობები რომლებიც ეწინააღმდეგებოდა აზერბეიჯანის გაერთიანებას ოსმალეთთან, მუხიდინის აზრით სამნაირია:

„აზერბეიჯანში უფრო ღრმად და ფართედ არის ფეხ გადგმული თანამედროვე კულტურა. მეორეს მხრივ აზერბეიჯანი საუკუნეთა მანძილზე იმყოფებოდა სულ სხვა ისტორიულ პირობებში, ვიდრე თურქეთი, რამაც შეუქმნა მას განსხვავებული ეკონომიური და სულიერი ცხოვრება და ინტერესები. ამას გარდა აზერბეიჯანის ცხოვრება მტკიცედ არის გადაბმული ჩრდილო კავკასიასთან და საქართველოსთან. აზერბეიჯანმა ანგარიში უნდა გაუწიოს საქართველოს პოლიტიკურ განწყობილებას. საქართველო რომელიც შემორტყმულია სხვა ერებით, თავის ეროვნული არსებობის დაცვაში იჩენს დიდს მგრძობიარობას. აზერბეიჯანი უნდა იყოს თანხმობასა და კავშირში საქართველოსთან. საქართველო კი არ არის თურქული ქვეყანა და ამიტომ ბუნებრივია, ოსმალეთთან შეერთებას არ ისურვებს. ასეთია აზერბეიჯანის აზრი, მაგრამ როგორია თურქეთის დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

ნუხედინ. ბირგენი იძლევა ამ საკითხზე საცხებით გარკვეულ პასუხს: რომ თურქები და აზერბეიჯანელები მონათესავე ერებია, ეს დღეს ყველამ უწყის ოსმალეთში, მაგრამ ოსმალეთმა კარგად იცის ისიც, რომ პოლიტიკური გაერთიანება აზერბეიჯანის თურქეთთან შეუძლებელია. ეს იქნებოდა უგნური აქტი. ასეთს შეგნებას აქვს მრავალი საფუძვლები. ოსმალეთმა მოახდინა მთელს მსოფლიოში ყველაზე უფრო ნაყოფიერი რევოლუცია და გამოაცხადა თავი საერთაშორისო იმპერიალიზმის მტრად. რისთვის დასთესა ატატურკმა ჩვენს გულში იმპერიალიზმისადმი მტრობა? პასუხი ნათელია— ახალი ოსმალეთი იშვა იმპერიალიზმთან ბრძოლის პროცესში. თავის მიმართ უარყოფა იმპერიალიზმისა და სხვათა მიმართ მისი მიღება შეუძლებელია. ეს იქნებოდა ყოველგვარ საზღვარს გადასული ცბიერობა და გაიძვერობა. ეს პრინციპი, როგორც სხვა, ატატურკის რკინის ხელით მტკიცედ არის დამკვიდრებული ოსმალეთში. თურქული ნაციონალიზმი შემოზღუდულია აქტუალურ პოლიტიკურ საზღვრებით. ჩვენს ახალ პოლიტიკურ ლექსიკონში ტერმინ „ნაციონალიზმი“ აქვს სრულიად სხვა მნიშვნელობა, ვიდრე ევროპიულს ენებში. ევროპიული ნაციონალიზმი აგრესიულია, ხოლო ჩვენი — თავდაცვითი. ჩვენთვის ნაციონალიზმი, ეს თურქული სულის გაძლიერებაა, მისი გაწმენდა უცხო ელემენტებისაგან. ესაა ნაციონალურ-ეკონომიური აღორძინება. ესაა სამრეწველო აღორძინება. ესაა ნაციონალიზმი ანტი იმპერიალესტური: მასში არაფერია საერთო ევროპიულ აგრესიულ იმპერიალიზმთან. ოსმალეთის ახალი იდეალებია — სიყვარული სამშობლოსადმი გარკვეულ, ისტორიულად დამკვიდრებულს საზღვრებში. ეს არის ამავე დროს რეაქცია ძველ კოსმოპოლიტურ იდეალებისადმი, ოტომანიზმისადმი, რომელიც გზას უხშობდა თურქულ სახელმწიფოს იდეას.

ყოველივე ამის მიხედვით ოსმალეთში არ არსებობს რაიმე იმპერიალისტური ზრახვა და აზრი აზერბეიჯანის მიმართ. ოსმალეთში — ამბობს მუხიდინი, მე ვითვლები ერთ ერთ კარგ მკოდნეთ აზერბეიჯანისა. ვწერ საცხებით გულწრფელად: არავითარი კავშირი არ მიმაჩნია ჩვენს შორის სასურველად, გარდა ძმური და მეგობრულისა. ვინაიდან აზერბეიჯანის ისტორიული მსვლელობა, მისი გეოგრაფიული და ეკონომიური პირობები არ აძლევენ მას ოსმალეთთან გაერთიანების საშვალებას. ყველაზედ მეტი რაც ჩვენ შეგვიძლიან უსურვოთ მას, რომ ის იყოს დაცული, როგორც თურქული ქვეყანა და იცხოვროს საკუთარი მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრებით.

მაგრამ შეიძლება ვინმემ გაიფიქროს — კარგათ ვალობთ, მაგრამ საბჭოთა რუსეთის ძლიერების გამო ხომ არ ხდება ესაო? არა.

—უბასუხებს მუხილდინი. —ჩვენ ხომ ასეთსავე პოლიტიკას ვაწარმოებთ სპარსულ აზერბეიჯანის მიმართ და სპარსეთთან შედარებით ჩვენ ხომ სუსტნი არა ვართ“ო.



ჰაიდარ ჯანის უამონება

ეს დიდი ლაშქრობა გამოიწვია იმ ეჭვებმა, რომელიც დაბადვია კუმიკთა ბელადს, ჰაიდარ ბამატს — საქართველოს გულში აქვს ანთიენ-არდაგანის კვლავ დაბრუნება და არ სურს ბათუმის გადაცემა ოსმალეთისათვისო. ქართველობამ ბევრი იფიცა და ამტკიცა: ხმა არ ამოგვიღია ამ მიწებზე, არ ვაპირებთ ოსმალეთთან ომსა და სისხლის ღვრას, ყოველივე მშვიდობიანი გზით გვინდა მოვაგვაროთ მომავალშიო, მაგრამ ყოველივე ასეთი რწმუნება უქმი გამოდგა. მრისხანე ყაენი შეესია საქართველოს თავის ლაშქრით, რომლის ნაიბებათ მას დანიშნული ჰყავდა რამდენიმე ქართველი, წინასწარ გაკუმიკებული და მუნ დასაჭურისებული. ყაენმა სასტიკად მიარბია - მოარბია ჩვენი ქვეყანა. შემდეგ მრისხანე ყაენი მიადგა აზერბეიჯანის საზღვარს და მასაც სასტიკი დარბევით დაემუქრა — თქვენ არ ამხელთ მაგრამ ვიცი გულში გაქვთ სპარსეთიდან ერთი კარგი ნაჭერის წაგლეჯაო! აზერბეიჯანელებმაც ფიცი და მტკიცე უთხრეს, ასეთი რამ არასოდეს მოგვსლია აზრად, ამის მსგავსი ჩვენს ენას არასოდეს უთქვამსო. საეჭვოა, რომ ასეთმა ფიცმა დააკმაყოფილოს მრისხანე ყაენი, მაგრამ შესაძლოა ეს ბედშავი კავკასიელები სასწაულმა გადაარჩინოს ამ საშინელ რისხვისაგან.

კუმიკთა ბელადს ზურგში გაუჩნდა გართულება — ოსმალეთიდან, რომლის მოკავშირედ, ერთგულ მეგობრად, და თვით ქემალ ფაშის სურვილების გამტარებლად მოჰქონდა თავი, როდესაც კავკასიას ტუქსავდა და სჯიდა.

ჩვენს ჟურნალში მოგვყავს ცნობილი ოსმალთა ჟურნალისტის მუხილდინ ბირგენის წერილები კავკასიაზე. მკითხველი დაინახავს იქ, რომ ოსმალეთი სრულიად არ მოგვთხოვს ქრთამსა და ხარკს თავის „სიმპატიაში“. ესიმპატია დიდის გულთბილობით აქვს გამოთქმული ცნობილ თურქ ჟურნალისტს მთელი თურქულ ინტელიგენციის სახელით. ერთი სიტყვით სრულიად საწინააღმდეგო სულია ამ წერილებში, ვიდრე ბამატის წერილებში, ოსმალეთის საფრთხეს რომ გვისახავდა და მით გვემუქრებოდა. ჩვენ თავიდანვე გამო-

ესტკეით ის აზრი, რომ ოსმალეთის შეურაწყოვა იქნებოდა ჩვენის მხრივ, უკეთეს ბამატს მივიჩნევდით ოსმალეთის აზრის გამოძახებულად. ჩვენ იქვე არ გვაქვს, რომ ნუხილინ ბირგინის წერილები გამოწვეულია ბამატის მიერ შექმნილი ცუდ შთაბეჭდილების გაფანტვის სურვილით. ამიტომაც რომ ბამატი მეტად მწარე კილოთი ეკა მათება მუხილინ ბირგინს, თუმცა არ უარყოფს, რომ ეს დიდი ჟურნალისტიკა და მარტო პირადი აზრის გამოძახებულად არ ჩაითვლება.

ბამატი მოგვთხოვდა, რომ ჩვენ შეგვექო ყოველივე, რაც თურქეთმა მოიმოქმედა კავკასიელთა მიმართ და დაგვეგმო ყოველივე ჩვენი განაკეთები. თურქი ჟურნალისტი, წინააღმდეგ ამისა მეტად მკაცრად ჰგმობს თურქეთის წარსულ პოლიტიკას კავკასიის მიმართ და დიდს თანაგრძნობით იხსენიებს კავკასიელ ერთა მუშაობას თავის ცხოვრების მოწყობისათვის.

ბ. ბირგენი ძლიერ ენერგიულად ასაბუთებს, რომ ოსმალეთს საცესებით შეგნებულად და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თურქეთის მოწყობა მის საზღვრებში. ბირგენი ძლიერ ბეჯითად აცხადებს რომ ოსმალეთი არ თანაუგრძნობს და იქვის თვალთ უყურებს მრავალ პანთურანულ და პანთურქულ მუშაობას, რომელიც სწარმოებს თურქეთის გარეშე, ოსმალეთისათვის გარეშე ელემენტებისაგან, თურქიზმისა და ხშირად ოსმალეთის სახელითაცო. ბირგენი ასახელებს სხვა და სხვა ასეთ მუშაობას და ბოლოს სწერს:

„არის ერთი კიდევ ასეთი ბუნების მიმართულება პარიზში, რომელიც ღირსია განსაკუთრებულის ყურადღების, და გვეჩვენება ჩვენ, როგორც ერთ ერთი გამოსახულება თეთრი რუსული მოძრაობისა. ისიც საეჭვო ბუნებისაა და ალბად, საფრანგეთის რომელიმე კლასის და ჯგუფის საქმეა, ან საზოგადოთ რომელიმე ჯგუფის, რომელიც დაინტერესებულია თეთრი რუსული მოძრაობით.“

ბამატის „კავკაზ“ის და მისი ლაშქრის ასეთი დახასიათებისათვის, ბ. ბირგენს საყვედურის წერილები მისვლია ბამატის შეგობრებისაგან და ამის შემდეგ ბირგენი კვლავ იმეორებს თავის აზრს ამ საქმის შესახებ და დასძინს: მე გამოვსთქვი ჩემი აზრი და შეხედულება. კიდევაც რომ დამეშვა შეცდომა ამ დახასიათებაში, ეს ვერ დაამცირებს ჩემს გულწრფელობასო“

ყველაზედ უფრო კუროიზული ამ საქმეში ის არის, რომ ბამატის ჟურნალი შავი ასოებით აწყობს ბირგენის შეხედულებას ბამატთა მუშაობის შესახებ. მაგრამ ესეც გასაგებია. „კავკაზ“ის თურქოფილობა, ირანოფილობა და ამ ქვეყნების მოსაიდუმლოება გამოდგა შანტაჟი და ხლესტაკოვის საქმე. ეს დღეს ნათლად გამოამჟღავნეს თვით თურქებმა. ამის შემდეგ თუ ცნობილი ჟურნალისტი

მათ რუსოფილურ და რუსულ ლსაქმის ნაკადთ მიიჩნევს, და ისიც თეთრ რუსულ საქმის, ესეც სარფაა ასეთი მარცხების შემდეგ.

დიდი სახელმწიფოებთან კავშირებზე ქლაპრების გავრცელების შემდეგ, „კავკასს“ გამოეყო ეს სამხრეთის სახელმწიფოები, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ უმთავრესი დასაყრდნობი ბამატის ლაშქრობისათვის. ასეთი მარცხის შემდეგ დიდ სახელმწიფოებთან კავშირის ზლაპრებს აღარავინ დაიჯერებს და „კავკასი“ თვითონვე აწყობს შავი ასობით, რომ ის არის თეთრი რუსულ ემიგრაციას საქმე. ესეც სარფაა, ოღონდ უარესი არ გამოდგესო, ალბად ფიქრობენ „კავკასის“ ბურჯები.

ნამი



ქარიშხლის მოლოდინში

ის განუწყვეტელი წმედა და ხოცვა-ყლეტა, რომელზეც სწარმოებს ე. წ. საბჭოთა კავშირში, დღეს ურწმუნო აომებსაც კი არწმუნებს, რომ საბჭოთა სისტემა, რევოლუციის ოცი წლის შემდეგ იდეურად საბოლოოდ გაკოტრებულია და მისი ბელადი სტალინი გამოუვალ ჩიხში არის მომწყვდეული.

ის სახელმწიფოები და მნიშვნელოვანი პოლიტიკური წრეები, რომლებმაც საბჭოთა კავშირი, ხალხთა ლიგაში წამოასკუბეს და სხვა და სხვა მოსაზრებებით ახლანდელ ანუ მომავალ მოკავშირეთ უნდოდათ დაესახათ, დღეს მისგან თანდათან იმიჯნებიან. მათ რუსეთის ამბებმა დაანახვეს, რომ რუსეთზე არასოდეს, არავითარი იმედების დამყარება არ შეიძლება.

ისედაც დაშინებული და დაბეჩავებული საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქე ამდენი მუდმივი წმედისა და დაუზოგავი ხვრეტის შემდეგ, კიდევ უფრო მეტ შიშში და პანიკაში ვარდება. „ვისი რიგია ხვალ?“ არ შეიძლება არ იკითხოს „ყველაზე ბედნიერი სახელმწიფოს, უბედნიერესმა მოქალაქემ“. ამის შედეგი არის, რომ მლიქვნელობას და ფარისევლობას სტალინისა და მისი „ობრიჩნიკების“ მიმართ ბოლო აღარ უჩანს. საჭირო ხდება სულ ახალ ახალი ეპიტეტების გამოძებნა, სტალინის ხსენების დროს — მშობლიური, მზიური, გენიალური და სხვა უკვე საკმარისი აღარ არის, ესენი უკვე ითქვა. (სტალინს უწოდებდნენ „ღვთიურსაც“ ღემრთს, რომ ქონდეს დაფასება საბჭოთა კავშირში.) შეუძლებელია ნორმალურ პირობებში მყოფმა, ნორმალურმა ადამიანმა წარმოიდგინოს მთელი ის სისულე-

ლე, რომელიც სტალინის განდიდების მიზნით იქ ითხზება და იწერება. განა ეს არ ნიშნავს თვით სტალინის მორალურ სიკვდილს? მაშ, რომ არ სურდეს მის შესახებ ამდენი აბღა-უბღის წერას ხომ ვერა-ვინ გაბედავდა?

მთელი ეს სისხლიანი ამბები, რომლებიც იქ ხდება, ამტიკებენ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის ყველა ნაწილების უაღრესად გახრწნას. ამ მხრით დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა მეტად წაავსებს იმპერატორის რუსეთის მდგომარეობას 1917 წლის (თებერვლის) რევოლუციის წინა თვეებში. მაშინაც, როგორც ახლა სახელმწიფო აპარატი, მეფის სასახლიდან უბრალო „პრისტავამდის“ გახრწნილი იყო. იმპერატორის რუსეთმა ომის სიმძიმეს სამი წელი გაუძლო, დღევანდელი რუსეთი კი ომს სამ თვესაც ვერ გაუძლებს; რადგან დღეს ხალხის, შინაგან ყრუ აღშფოთება მეტია და ომის დაწყებისთანავე ის აღმოხეთქს. ეს კარგათ ესმით იმ სახელმწიფოთა მესვეურთ, რომლებმაც თავის მოვალეობად და მიზნათ, ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და რუსეთის თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩაყენება დაისახეს.

ეს კარგათ ესმის თვით სტალინს და მის კამარილიას და მათ იპყრობს შიშის ზარი, რომლის დაფარვას სცდილობენ ტრაბახობით და ბაქი-ბუქობით. მთელი მათი სიძლიერე პრაქტიკაში ამ ბაქი-ბუქობას ვერა სცილდება. მაგ. როდესაც ამ რამდენიმე თვის წინათ მდინარე ამურზე იაპონიამ რუსეთის კუთვნილი კუნძულები დაისაკუთრა, საიდანაც ბოლშევიკები იარაღით გარეკა, სტალინმა და მისმა ძლევამოსილმა წითელმა ჯარმა ეს ძალდატანება მშვენივრათ აიტანა და ომის შიშით თავის მიწა-წყლის იარაღითვე უკან დაბრუნება არც კი უცდია. აღმოსავლეთში ისე როგორც დასავლეთით ომის საფრთხე რუსეთისათვის დღითი დღე იზრდება. „მარშალი“ ვოროშილოვი ერთ ერთ თავის უკანასკნელ სიტყვაში, წითელ ჯარს ეუბნება: „ომი, არასოდეს ჩვენთვის ისე ახლოს არ ყოფილა, როგორც დღეს არისო“.

გრძნობს რა გარედან ომის მოახლოებას, შიგნით კი ხალხის საშინელ სიძულვილს და აღშფოთებას, სტალინი სცდილობს, ხალხი სისხლიანი ტერორით მოდრიკოს და ყველას (თვით კომუნისტურ ზედა ფენებსაც) სიკვდილის შიშის ქვეშ აკეთებინოს ის, რაც მას სურს და ომის დროს აომოს კიდევ. ის შეიძლება მართალია რუსეთის ერისადმი ასეთ მიდგომაში. ის ერი, რომელიც 20 წლის განმავლობაში ითმენს ქედმოხრილი ერთი მუჟა საერთაშორისო ბოროტმოქმედთა და არამზადების უსაზღვრო, მსოფლიოში ჯერ არ ნახულ ბოროტებას, მართლაც რომ იძლევა ასეთი მასზე მიდგომის გამართლე-

ბას. მაგრამ სტალინი სასტიკათ სცდება, როდესაც საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ არა რუს ერებსაც რუსული საზომით უღდება.

კერძოთ საქართველოში, უკანასკნელ თვეებში ჩატარებული პროცესები, რომლებსაც ბოლშევიკური პრესა უწოდებს **კონტრრევოლუციონურ, დივერსიულ-მავნებლურ-ტერორისტულ-ჯაშუშურ** ორგანიზაციების პროცესებს, და შემდეგ დახვრეტები, ამტკიცებენ, რომ თვით თავიდან ჭკუა აბნეული, სამშობლოს მოღალატეებათ გამხდარი ქართველი კომუნისტებიც კი ამჩნევენ ოკუპაციონური ძალაუფლების საქმიანობის საზიზღროებას და მისი აღსასრულის მოახლოებას, ცდილობენ ქართველ პატრიოტებთან კავშირის დაკავებას და სტალინის აღმაშფოთებელი პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველ ერთან ერთად ბრძოლას.

ამ პროცესებში ყველგან, (თბილისში, სიღნაღში, ბათუმში, სოხუმში) კომუნისტებთან ერთად საბრალმდებლო სკამზე სხედან და იქიდან სასაკლაოზე მიდიან ნამდვილი ქართველი პატრიოტებიც.

თბილისში ამ გასამართლებას დახურულ კარებში ატარებენ (ალბათ არავითარ გასამართლებას არა აქვს ადგილი) პერიფერიების პროცესებიდან კი (რომლებზედაც ბოლშევიკური პრესა ძღვევა ცნობებს) ბევრი რამ ახალი და კერძოთ ემიგრაციისათვის ჯერ უცნობი ამბავი ირკვევა. მაგ. სოხუმის პროცესში გამოიჩინა, რომ 1931 წელში აფხაზეთში ყოფილა შეიარაღებული აჯანყება, რომელსაც თანაუგრძნობდნენ ადგილობრივი კომუნისტები — როგორც სჩანს აჯანყება ყოფილა მასიური. გუდაუთის რაიონში, აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მოსახლეობისათვის ჩამოურთმევიათ 1500 თოფი. იქვე აფხაზეთში, ოთხჯერ თუ ხუთჯერ განუზრახავთ და მოუმზადებიათ სტალინის და ბერიას მოკვლა. იქ რომ ვერაფერს გამხდარან თბილისში და მოსკოვში გაუგზავნიათ სანდო კაცები ამ განზრახვის შესასრულებლათ. დამახასიათებელია ისიც, რომ ყელა ამ პროცესების (აჭარის, აფხაზეთის, კახეთის;) მთავარ ბრალდებულებს კავშირი ქონიათ ქართველ კომუნისტების ზოგიერთ ბელადებთან, საბჭოთა მმართველობის უმადლეს მოხელეებთან.

მრავალ იმ ბრალდებათაგან რომლებსაც გაცოფებული ხელისუფლება ბრალდებულებს უყენებს და რომლების ჩადენაშიც თვით ბრალდებულები (იგივე საბჭოთა პრესის ცნობით) თავიანთ თავს დამნაშავედ სცნობენ, კომუნისტური ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფია. მთავარია ის რომ ეს ბრალდებულები არიან წარმომადგენლები უკმაყოფილო, სტალინის და ბერიას მოქმედებით აღშფოთებულ კომუნისტების, რომლებიც ეძებენ გამოსავალს, უნდათ რუსეთიდან თავის დახწევა, —ამსათვის სტალინი მათ სპობ.

დახვრეტა მოსკოვში ჩვენთვის კარგათ ცნობილი **ა. ენუქიძის**

და შულავერის მანიფესტის გმირის მამია ორახელაშვილის, მოწმობენ იმას, რომ ეს ჯანყი და გამოსავლის ძებნა ქართველი კომუნისტების ყველა ფენებშია და კვლავ მრავალი ქართველი მოღალატე დაინახავს თავის გზის სიმახინჯეს და მოინდომებს, შეეცდება სწორ გზაზე დადგომას.

1917 წლის რევოლუციის პირველსავე თვეებში რუსეთის იმპერიამ იწყო ნგრევა. „ხალხთა საპრობილეში“ მომწყვედელმა დაჩაგრულმა ერებმა, თავიანთი მიმქრალი ეროვნული კერა გააღვივეს და თავისუფალი ცხოვრება იწყეს.

რუსული ბრბოს ბნელი ინსტიქტების გაღვიძების საშუალებით გამარჯვებულმა, ახალმა კან შეცვლილმა რუსულმა იმპერიალიზმმა, ბოლშევიზმის და ინტერნაციონალიზმის ნიღაბ ქვეშ, კვლავ უხეში ძალით შესძლო ზოგიერთი განთავისუფლებული ერების გათოკა და მოსკოვის ტანტთან მიყვანა. დღეს ჩვენ არ ვიცით, ბოლშევიზმი ღუპავს რუსეთს თუ რუსეთი ბოლშევიზმს. ერთი კი ცხადია, ორივე უფსკრულსაკენ მიეჭანება. მათი ბედი სიამის ტყუპებივით ერთმანეთზეა გადაბმული. ერთი მათგანის სიკვდილი იწვევს მეორეს ავტომატიურ აღსასრულს.

ძალიან კარგათ ხედავენ ამას თვით რუსული ემიგრანტული წრეები, ე. წ. „ობორონცები“ და სტეხენ განგაშს, რუსეთის სახელმწიფოებრივობის დაღუპვის შესაძლებლობაზე. მაგ. მილიუკოვი თავის გაზეთის მეთაურში სწერს რომ „სტალინის პოლიტიკის დამღუპველი შედეგები გამოჩნდება მეტათ საპასუხისმგებლო წუთებში, მაშინ როდესაც დაისმება საკითხი თვით რუსეთის სახელმწიფოს სიკვდილის ცხლისა“.

ამრიგათ დღეს, პოლიტიკური ბარომეტრი გვიჩვენებს, რომ ახლო მომავალში რუსეთზე უნდა გადასაროს ქარიშხალმა და ჩაგრული ერების, რომლებშიც დღეს ეროვნული თვით შეგნება კიდევ უფრო გაკაეებულა ვიდრე 1917 წელში, განთავისუფლების ქამი მოახლოვებულა. ქართული ეროვნული ძალების და ცალკე პარტიოტების მოვალეობაა მზად იყვნენ ამ მომენტისათვის.

რაში გამოიხატება ჩვენი მზად ყოფნა?

ჩვენ ვიცით თუ რა ზიანი მოაქვს ქვეყნისათვის ნაციონალისტური ძალების დაქსაქსვას და ერთი მეორეს დაპირისპირებას. ამის ილუსტრაციისათვის, შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია, ისპანის და თუ გნებავთ საფრანგეთის მაგალითებიც. ორივე ქვეყანაში ნაციონალისტური პარტიების შეუთანხმებლობამ, ერთმანეთთან ქიშპობამ და დაპირისპირებამ გააძლიერა ექსტრემისტული ელემენტები. ისპანიაში უკვე წელიწად ნახევარია, რაც ძმათა სისხლი უხვად იღვრება; ეხლა იქ ნაციონალისტები გაერთიანებული არიან და ერთად

იბრძვიან, მაგრამ უკვე გვიან არის. საფრანგეთში მადლობა ღმერთს, საქმე სისხლის ღვრამდე არ მისულა მაგრამ მემარცხენე ელემენტების გაძლიერების გამო ქვეყანა ყოველგვარი მოულოდნელობის წინაშე სდგას. პირიქით, ნაციონალისტურ კონსტრუქტიული ძალების შეთანხმებული, ერთად, ჰარმონიული მუშაობა იწვევს ქვეყნის კეთილდღეობას. მაგ. ინგლისში ნაციონალისტური ძალებით წმინდა „ნაციონალისტიური“ მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დამყარდა ე. წ. „პროსპერიტის“ პერიოდი, რომელმაც შესცვალა ინგლისში დიდი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების ხანა.

საქართველოს ეროვნულმა კონსტრუქტიულმა ძალებმა ეს გარემოება გაითვალისწინეს და 1920 წლის ბოლოში გაერთიანდნენ ერთ „გაერთიანებულ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიაში“. მტერმა არ აცალა ქართველ ერს ამ გაერთიანების ნაყოფი ეგემნა. ასეთი გაერთიანება ეროვნული ძალებისა საჭიროა და სასარგებლო ყველასათვის, მაგრამ განსაკუთრებულად ისეთი ბრძოლის დროს, რომელშიაც არის ჩაბმული ჩვენი ერი.

დღეს ჩვენი სამშობლოს ბედის გადამწყვეტი მოვლენების განვითარების მოლოდინში, ქართული ემიგრანტული კონსტრუქტიული ძალები უნდა იყვნენ შეთანხმებულნი და დაკავშირებულნი. ეს უნდა მოხდეს დაჩქარებით და ეს აღარც წარმოადგენს დიდ სიძნელეს.

ცხოვრებამ უკვე წაშალა და წააღწია მრავალი სადავო საკითხი და მით დაამტკიცა, რომ ისინი იყვნენ წარმავალი და წვრილმანი იმ ამოცანებთან შედარებით, რომელნიც უცვლელად და ურყევად რჩებიან ჩვენს წინაშე, და რომელთა შესახებ დავა და უთანხმოება ჩვენი შორის არასოდეს ყოფილა და არც ეხლა არსებობს. მართალია კიდევ მოიპოვებიან ისეთები, რომელნიც ხელს უშლიან ყოველგვარ ასეთი გაერთიანების საქმეს და უკვე არა რეალობაში არსებულ უთანხმოებათა მიხედვით, არამედ წარსულის უთანხმოებათა მოგონების, თუ მომავლისათვის თვითონვე შეთხზულის ნიადაგზე, მაგრამ ასეთები თითებზე ჩამოითვლებიან და ამ საქმეს ვეღარ დააპროკლებენ. ქართულ ემიგრაციაში უნდა დაიწყოს ეს მძლავრი შებრუნება — დაქსაქსულობიდან საღ ეროვნულ ძალთა გაერთიანებისაკენ!

გრ. აბულაძე

წითელი არმიის კონცერტები პარიზში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, სამხატვრო თეატრის შემდეგ, გამოამგზავრა პარიზში კონცერტების გასამართავად, ეგრედ წოდებული წითელრაზმელთა ანსამბლი მომღერლების, მოცეკვავეების და დამკ-

ვრელების, სულ 185 კაცი, პროფ. ალექსანდროვის „უუმადლეს“ ლოტბარობით.

ექვს გარეშეა, ამ კონცერტების ინიციატორებს დასახული ჰქონდათ მიზნათ საბჭოთა „მშენებლობის“ პროპაგანდა და არა ის ცნობილი პრინციპი — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელზედაც დაყრდნობილი იყო უძველესი კულტურა, და ახლაც ცნობენ მას, როგორც კულტურის სიმბოლოს, ბოლშევიზმს გადარჩენილი ქვეყნები. ამ პრინციპს საფუძვლად უდევს „ფორმალიზმი“, რომელიც უკუ ავდო მარქსის დიალექტიურმა მატერიალიზმმა, არ სცნო იმით, რომ ყოველი კულტურული მოვლენა ყოველგან და ყოველთვის არის შეუთრგებელი მტერი კომუნიზმის აღვირ ახსნილ „სოციალისტურ რეალიზმისა..“

კერძოდ საქართველოში, კულტურულ „ფორმალიზმს“ და კომუნისტურ „რეალიზმს“ ხელოვნების დარგში, აქვს თავისი ისტორია. ამ ორ მიმართულებათა შორის სწარმოებდა და ახლაც სწარმოებს კამათი და შეჯახება ყველგან, სადაც ერის და მისი შემოქმედების ყოფნა არ ყოფნის საკითხებია დასმული. შარშან კრემლის ვაგნერბმა და რემბრანტებმა წინადადება მისცეს, სხვათა შორის, ქართველ კომპოზიტორებსაც, რათა გადაესინჯათ ძირიანად „ფორმალიზმის“ დებულებები ქართულ ხელოვნებაში და შესაფერის კონფერენციაზე განეკიცხათ ერთხელ და სამუდამოთ და განედევნათ პრაქტიკიდან ეს არა სასურველი და უარყოფითი მოვლენა. „სოციალისტური რეალიზმი“, — აი რა გზით უნდა იაროს ხელოვნებამ ერის ცხოვრებაშიო. — ლაღადებენ ლენინ-სტალინის უვიცი დედინაცლები კულტურულ ხელოვნებისა. მუსიკას, სიმღერას, მხატვრობას, ქანდაკებას, ყოველისფერს უნდა მიეცეს სოციალისტური, კერძოდ პროლეტარული სახე და შინაარსიო ამიტომ დასაშვებია გადაკეთება ოპერისა, სიმღერისა, პიესისა, ოლონდ იქმნას მიღწეული მიზანი „რეალიზმის“ მოთხოვნილების განსაზოციელებლად. და თუ ადამიანი შესძლებს ყირამალა ჭერზე სიარულს, ესეც სოციალიზმის მიღწევა იქნებაო და არა აკრობატიკაში. ისე მოხდა, რომ ქართველმა კომპოზიტორებმა თბილისის კონფერენციაზე წარგზავნეს მომხსენებლად მომხრე „ფორმალიზმისა“ და ვინაიდან ყოველად მოსალოდნელი იყო რომ ეს ქართველი კაცი მოხსენებას გააკეთებდა ქართულ ხელოვნების ინტერესების მიხედვით, ისიც ეროვნულის თვალსაზრისით, და ასე თუ ისე გაახსენებდა საზოგადოებას, ცოტაოდნათ მაინც, იმ გავლენაზე, რომელიც იქონია ქართულმა ხელოვნებამ შუა ხმელეთის ზღვის ხალხთა კულტურაზე. საბჭოთა მთავრობამ კონფერენცია მოხსნა. თბილისმა უარყო მოსკოვის წინადადება, რომელსაც აზრა-

თა ჰქონდა ქართულ ხელოვნების წაბილწვა, გადაგვარებას მოსურნეთა ყაიდაზე. ეს ამბავი მოთხრობილი იყო თავის დროზე გაზეთ „პრაედაში“

რა შედეგი მოჰყვა „სოციალისტურ რეალიზმს“ თვით რუსეთში? ის, რაც ჩვენ ვნახეთ წითელ არმიელების კონცერტებზე: ხელოვნების ნგრევა და მისი გადაკეთება აკრობატიზმის გეგმით: სიყალბე აღსრულებაში სიმღერისა იმდენად, რომ მას ეკარგება თავისი ბუნებრივი სახე. 185 კაცი მიღწეოდა სულ ბევრი სამოცი, დანარჩენები ტუჩებს აცმატუნებდნენ. გუნდს გვერდში ედგა და მსვლელობდა მასთან „სოციალისტურ რეალისტური“ ორკესტრი, შემადგენლობით: ათამდის ნაძალადევის გარმონიები, სოფლის ბალალაიკები, იტალიური ბანჯოები, დომბრა და თითბრის საყვირი საკრავები თავის დაფებით, ფანფარებით და ეყენებით— ასე რო ვსთქვათ — დემაგოგიური შინაარსისა პროლეტ - კულტის სახით. ორკესტრის გრიალი წითელარმიელების ხელში ტერრორის შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო — უკვე ოცი წელიწადია, რაც მოსკოვმა კრემლის ზარებს და სიმფონიურ ორკესტრებს სისხლი და მონობა ანაცვალა. „ინტერნაციონალის“ შესრულების დროს ეს 185 კაცი გაცოფდა და ხუთი წუთის განმავლობაში სცენა წარმოადგენდა ტარტაროზის საშინელებას — წყევლა კულტურის, გინება ცივილიზაციის, მუქარა ევროპისადმი და არსებულ წყობილზე ბათა მიმართ, — ყოველისფერი აირია: კრიჭა შეკრული მსმენელი ღელავს და უცდის, როდის გათავდება სულთა მხუთავთა საზეიმო ჰიმნი, დაწერილი საფრანგეთში ფრანგის მიერ. რუსებს თავის ჰიმნი არასოდეს არ ჰქონიათ. უკანასკნელ მეფეთა ჰიმნი: „ბოჟე ცარია ხრანი“ მოპარულია კომპოზიტორ ლვოვის მიერ მე-70 წლებში გასული საუკუნისა ჰოლანდიის ეკლესიის საგალობელთა კრებულიდან. ამ მუსიკას ჰოლანდიელები ასრულებენ წელიწადში ერთხელ (აღდგომის დამეს). პლაგიატი გამომჟღავნა ვინმე პალიცინმა (გაზეთი „რუსკია ვედომოსტი“ მოსკოვში), მაგრამ მეფის ჟანდარმებმა დროზე პირი აუბეს მას და ამგვარად თავიდან აიციდნეს ეროვნული სკანდალი. არა ნაკლებ აკრობატიულად იქმნა შესრულებული უკრაინელების ცნობილი ეროვნული სიმღერა „ზაკუვალა ტა სივა“, მოწყვეტილი თავის ბუნებრივ რომანტიკას და მელიოდურ აკორდებს ლოტბარის მეოხებით. მაგრამ, როგორც ამბობს „რეალიზმი“, ყოველისფერში თავისებურება უნდა გამოსჭვიოდესო, ალბათ ლოტბარი სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა, როდესაც ავტორის „მოდერატო“ გადაჰყავდა „ვივატ“ზე და აკორდებს ავადმყოფი სისწრაფითა ჰკრეჭდა. კულტურული „ფორმალიზმი“ კი ამბობს: „ლო-

ტბარი ვასაკიცხია, თუ უკიდურესი თავისებურება შეაქვს მუსიკა-
ლურ ნაწარმოების აღსრულებაში და ნებით თუ უნებლიეთ ასახი-
ჩრებს ხალხის თუ კომპოზიტორის ქმნილებას.“ (ვეინგარტენერი.)

„სუსტ მომღერალს შეუძლიან წაახდინოს მხოლოდ თავისი პა-
რტია; ანჩხლი და თავის ნათქვამი ლოტბარი წაახდენს მთელს ნაწა-
რმოებს“. (ბერლიოზი). ამ ორი მთავარი დებულებისა პროფ. ალექ-
სანდროვს არა სწამს რა. იგი რუსეთის რევოლუციის ნიადაგზე აღმო-
ცენილი, სოციალისტური რეალიზმის ყურ მოჭრილი მონა - ყმაა.
პროგრამის გარეშე შესრულებულ იქმნა ცნობილი ქართული (ქუჩუ-
რჩ)სიმღერა „სულეკო“, რუსული სიტყვებით და ინტერპრეტაციით.
ახირებულ და მხიარულ სამ ხმოვან სიმღერას ლოტბარმა დაურთო
ოკტავა; ისე რო თავის გაორკეცებული მინორით მხიარულ ქალაქე-
ლის საყვარელი სიმღერა მიცვალებულის ჰიმნს მოაგონებდა მსმე-
ნელს. პროგრამას შეადგენდა უმთავრესად „სალდათური“ სიმღერე-
ბი თავის ტრადიციული სტვენით. „სტვენა ეშმაკისაა, სიმღერა —
ღვთისაო“, ასე ვამბობთ ქართველები. რუსეთის თანამედროვე მუ-
სიკაში სტვენას საპატიო ადგილი უჭირავს. საფრანგეთშიაც უსტვენ-
ენ, მხოლოდ კერძო ცხოვრებაში — მკის დროს, ურემზე, ჰაერობ-
ლანზე, საზოგადოთ, მუშაობის დროს და სხვ. ნებაოლიდან გენუამ-
დის, ქუჩაში და სახლში, პირიქით, მესმოდა შეუწყვეტელი მუსიკა
და სიმღერა ყოველ ჟამს, — სტვენაზე იტალიაში წარმოდგენაც არა
აქვთ. შეკითხულმა იტალიელმა მიპასუხა, — ხალხი რომელიც უსტ-
ვენს დაღუპულიაო! და ამ სტვენამ, შეტანილმა საბჭოთა მუსიკაში
როგორც რეალისტური ელემენტი, დიდი „შთაბეჭდილება“ მოახდი-
ნა დამსწრე საზოგადოებაზე და ვაშას ძახილით დააჯილდოვა ლოტ-
ბარი და გუნდი, უმთავრესად უკრაინელების ეროვნული ცეკვას
„გოპაკის“ შესრულების დროს. სტვენაზე გამოვარდა ხუთმეტამდის
მოცეკვავე ქალი და ვაჟი და ყვირილსა და სტვენის ქვეშ დაიწყეს
ცეკვა. ეს იყო უკრაინელების ესტეტიკის მასხარად აგდება; ერის შე-
მოქმედების დაგინება, ველურთა ცეკვა ბოროდინის ოპერადან, კა-
ციკამიების უსწორმასწორო ხტუნვა ვახშამის წინ. 15 წუთის განმა-
ვლობაში დარბოდა ეს გაგიჟებული ხალხი და რაღაცას გაჰკიოდა
საზიზღრად ბუქნავდა, ერთი ერთმანეთს თავზე ახტებოდა, ყირამა-
ლა გადადიოდა და „გრან - გინიოლის“ სტვენით ცამდე აჰყავდა ბე-
ღლამის გოდოლი.

მაშხალა ვარდება იატაკზე, არა ადამიანურად ილიმება, წამოხტე-
ბა და კმაყოფილი, რომ მან სინიდისიერად შეასრულა მოსკოვის და-
ვალებანი, სტენის უკან გარბის და იმალება. მაგრამ აი შემთხვევა,
როდესაც ხალხი თეატრიდან გაქცეულა „რეალიზმის“ წარმოდგენის

დროს. ამ ორი წლის წინად ბელორუსიის ცნობილმა პოეტმა იანკა კუპალომ დასწერა პოემა „ორესეს მდინარეზე“. არა ნაკლებ ცნობილმა კომპოზიტორმა ალიაღოვმა, „რეალიზმის“ მიმდევარმა, ისკუპა და ეს მშვენიერი პოემა რეალისტურ აკორდებზე აკინძა და სოციალისტურ ფარგლებში მოათავსა. და აი რა მოხდა პირველ კონცერტზე. სიმფონიის დაწყებისთანავე, ათიოდე ფარდის შემდეგ კუპალომ დარბაზიდან მოჰკურცხლა. საზოგადოებამ მეტი დისციპლინა იხმარა, თავდაქერით უსმენდა „ახალ“ სიმფონიას, და მინამ ალიაღოვი თავის ნაწარმოებს გაათავებდა; დარბაზში არც ერთი კაცი აღარ იყარ; ყველანი გაქცეულიყვნენ. თურმე ალიაღოვს სიმფონიის ლეიტმოტივით აეღო ის მუსიკალური აკრობატიზმი, რომლით გვესტუმრენ პარიზში წითელარმიელები: სტვენა, ტრაქტორების ჩახა - ჩუხი, ქარხნის მანქანების რახა- რუხი, გარეულების შესაზარი ყვირილი და ყოველისფერი თავასატკივარი ხმაურობა, რომელსაც ასე გულმრღვინეთ ებრძვის პარიზის ადმინისტრაცია. როგორც აუწყებენ გაზეთები, მსოფლიოს გამოფენაზე, ლექტორი არაგონი, სტალინისტი სულით და გულით, წაიკითხავს ახლო მომავალში მოხსენებას „სოც. რეალიზმის“ შესახებ. ხუთი წელიწადია, რაც მოსკოვის თეორეტიკოსები კედელს თავს ახლიან და აქამდის ვერ გამოურკვევიათ, რას წარმოადგენს ეს მიმართულება საბჭოთა ხელოვნებაში, — სინამდვილეს, თუ მორიგე სიცრუეს და სიყალბეს. წითელარმიელების კონცერტებმა ამაზე თვალი აგვიხილა ყველას; ვისაც სწამს თანამედროვე კულტურა და ცივილიზაცია. კონცერტის დაწყებამდის სცენიდან აცხადებდნენ, რომ საჯარო გამოსვლისთვის ანსამბლი მზადებაში ათი წელიწადი იყო.

ვაი იმ დახარჯულ ფულს, შრომას და ენერჯიას, — ათ წელიწადში ხომ ქვეყანაც აშენდებოდა, მამალს რომ არ ეყივლა და ძალღრც თავის ადგილზე გდებულიყო.

პავლე მოსულიშვილი



**ორიოდე სიტყვა საქართველოს
სასოფლო მეურნეობაზე**

საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარებიდან ჩვენმა სასოფლო მეურნეობამ დიდი ევოლუცია განიცადა. ევოლუციათჟო ვამბობ, რადგან მხედველობაში მხოლოდ მიწის დამუშავების, საკითხი მაქვს. ცნობილია, რომ რიგიან დამუშავებაზე, მის რაც:

ს ა მ შ ო ბ ლ ო

იონალურ ექსპლოატაციასზეა დამყარებული გლეხობის და მასთან მთელი ერის ეკონომიური სიძლიერე, მით უმეტეს ისეთ სამეურნეო ქვეყანაში, როგორცაა საქართველო. მაშასადამე ზედმეტი არ იქნე ბოდა თვალი გადაგვევლო თუ რა გაკეთდა ამ მხრივ ჩვენში.

საკითხის უფრო მარტივად და იოლად გათვალისწინებისათვის დავდგეთ ერთეულ მეურნის ინტერესების თვალსაზრისზე და ვიკითხოთ თუ რა შეადგენს მის უმთავრეს მიზანს. პასუხი თავის თავად ცხადია: 1) რაც შეიძლება ნაკლები შრომით და ხარჯით მეტი მოსავლისა და ნაყოფის მოკრეფა. 2) ნიადაგის სისტემატიური განოყიერება - გაუმჯობესება. ეს მიზანი უცვლელია მიუხედავად იმისა კერძო პიროვნება ამუშავებს მიწას, კოლექტივი თუ სახელმწიფო.

რა საშვალელები არსებობენ ამ მიზნის მისაღწევად?

—სამეურნეო იარაღების და ნიადაგის გასანოყიერებელ ნივთიერებათა შექმნა თუ წარმოება, მორწყვა, დრენაჟი დასხვ. ემსახურებიან თუ არა ამ მიზნებს ჩვენი დღევანდელი მეურნეობის ხელმძღვანელები და თუ ემსახურებიან რა საშვალეებით?

უნდა ითქვას, რომ სამეურნეო იარაღები, თუმცა არა საკმაოდ მაგრამ მაინც შემოიტანა ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ საქართველოში და მაშასადამე შრომის შემსუბუქებაც უნდა მოყოლოდა ამ ზომას. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესად საპრობაგანდო ხასიათისაა ბოლშევიკების მიერ ნამოწყალეები იარაღები. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი ისაა, რომ „კოლხოზს“ რომელსაც არც სათიბი, არც სათესი მანქანა და უბრალო რკინის ფარცხიცი კი არა ჰქონდა, ტრაქტორს დიდს „პომპით“ მიაართმევდნენ. მერე არის კი ეს ტრაქტორი ანგარიშისანი? ამ საკითხზე სასარგებლო იქნება თვალი გადავავლოთ საფრანგეთის მეურნეობას, რადგან ფრანგებს ანგარიშისანი ბაზაში ვერავინ დასძრახავს. იშვიათია საფრანგეთში ოდნავ მოზრდილი ფერმა, რომ იქ ტრაქტორი არ იყოს, მაგრამ იშვიათია ისეთი ფერმა, რომ ტრაქტორით ზენისათვის სარგებლობდეს და თუ სარგებლობს, ეს მაშინ, როდესაც რაიმე მიზეზის გამო მუშაობას ჩამორჩენილია და დანიშნული ნაჭერი მიწის დახვნას ცხენითა თუ ხარით ვეღარ ასწრებს და ტრაქტორსაც იშველიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა ფრანგის მეურნემ კარგად იცის, რომ ტრაქტორით მიწის ხენა მეტად ძვირი ჯდება და მაშასადამე საზარალოა. ტრაქტორს იგი ხმარობს სამეკლად, რადგან ჭირნახულის მიღვირდან მოკრეფა მეტად საჩქარო საქმეა, მაგრამ ტრაქტორთან ერთად ცხენებსაც ამუშავებს. გარდა სიძვირისა ტრაქტორს ის ნაკლიცა აქვს, რომ მეურნეობიდან მუშა საქონელს დევნის და ამ უკანასკნელის მოსპობა ან ძალზე შემცირება კი მთელს მეურნეობას და სახელმწიფოს ცხოვრებასაც დიდ კრიზისს უმზადებს. საქმე იმაშია, რომ პირუტყვს

მოაქვს ნაკელი, რომელიც ეგზომ აუცილებელია მიწის დასანოციერებად, მოაქვს ხორცი და ტყავი, რომლის ნაკლებობაც სახელმწიფოსთვის არაფერი სახიერია. ბოლშევიკურ გაზეთებში უკვე ხშირად შეხედებით გოდებას პირუტყვის შემცირების შესახებ. ამრიგად ტრაქტორების გამრავლებით, უკეთ რომ ესთქვით მათი არა რაციონალური გამოყენებით, ბოლშევიკებმა დათვური სამსახური გაუწიეს, როგორც სასოფლო მეურნეობას ისე თავიანთ სახელმწიფოსაც, მაგრამ ისე როგორც მრავალი სხვა რამ, ესეც საჭირო იყო კომუნისტური პროპაგანდისათვის.

ზემო ნათქვამიდან თავის თავად გამომდინარეობს, რომ ნიადაგის განოციერების საქმე არამც თუ გაუმჯობესდა, არამედ გაუარესდა კიდევ (მეუა საქონლის შემცირების გამო). მართალია რამდენიმე სარწყავი არხი იქმნა გაყვანილი, რამდენიმე პატარა ქაობიც ამოშრობილი, მაგრამ არც ერთი ქიმიური სასუქის ქარხანა არ აშენებულა და ჩვენს გლეხს დღემდე წარმოდგენაც კი არა აქვს თუ მიწს დაპატივება შეიძლება ქიმიური საშუალებით.

მიწის სივიწროვის გამო ქართველი გლეხობა ერთმიდვრიან სისტემას მისდევს: იქ სადაც შარშან სიმინდი ან პური ეთესა, წელსაც იგივე უთესია, გაისათაც იმასვე დასთესს და ასე. ამით კი ნიადაგუ ძალზე იღლება და რამოდენიმე წლის შემდეგ სავესებით იფიტება რაც იწვევს მოსავლიანობის შემცირებას. ჩვენ ხაზს უსვამთ იმ მდგომარეობას, რომ ნიადაგის განოციერება მიზანი უნდა იყოს ყოველი მეურნისა, რადგან ეს არის უმთავრესი საშუალება პროდუქციის ზრდისათვის, ეს არის ზრუნვა მომავალზე, ზრუნვა ზვალინდელ დღეზე. ამ მხრით ჩვენი ქვეყანა ქეშმარიტად უნუგეშო სურათს წარმოადგენს, მით უმეტეს რომ ვერ ვხედავთ ამ საქმეზე ვინმე ზრუნვებს.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის საფუძვლიანი შესწავლა და განხილვა მიუწვდომელია ჩვენს პირობებში მრავალი მიზეზების გამო და ამის პრეტენზია არცა გვაქვს, მით უმეტეს რომ ასეთი საკითხები ემიგრაციაში დიდ ინტერესსაც არ იწვევენ, მხოლოდ ზედმეტად არ მოგვაჩნია ქართულ ემიგრაციას ზერელე წარმოდგენა მაინც ქონდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის ვითარებაზე და ამ საკითხებზე დრო გამოშვებით ცოტა რამ მაინც იწერებოდეს. ყოველ შემთხვევაში ერთმანეთის ლანძღვა - თათხვაზე უფრო სასარგებლო ეს იქნებოდა.

დ. უგრეხელიძე

**საქართველოს ეროვნულ - დემოკრატიული
პარტიის საზღვარ გარეთის ორგანიზაციათა
ქ რ ი ლ ო ბ ა**

ეროვნულ - დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობიდან ოცი წლის თავის აღსანიშნავად მოწვეული ყრილობა შესდგა პარიზში 1937 წ. 21—22 აგვისტოს, დარბაზ „ვოლტერში“

ვინაიდან ყრილობის უმთავრესი დანიშნულება იყო პარტიისათვის ამ მნიშვნელოვანი დატის აღნიშვნა და ამასთან დაკავშირებით ახალი დემონსტრაცია და ახალი აღიარება პარტიის იმ ძირეულ იდეალებისა, რომელთა შესახებ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წრეებში არასოდეს ყოფილა და არც ეხლა არსებობს აზრთა სხვა და სხვაობა და უთანხმოება, კონფერენციაზე მოწვეულ იყვნენ თანაბარი უფლებით, ეროვნულ-დემოკრატიული დაჯგუფებანი განურჩევლად მათი პოზიციისა მეორეხარისხოვან, ტაქტიკურს და ორგანიზაციულს საკითხებზე. თვით საზეიმო სხდომაზე კი მოწვეულნი იყვნენ საზოგადოთ ყველა ქართული პოლიტიკური დაჯგუფებათა წარმომადგენელნი.

ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ყრილობის მონაწილეთა უმრავლესობა ჩამოსული იყო მეტად მოშორებული ადგილებიდან და აგრეთვე ისიც რომ მიუხედავად მისი მოქარბებულად ახალგაზღვრი შემადგენლობისა, ყრილობის მუშაობა ჩატარდა ფრიად დინჯსა და დარბაისელს ფარგლებში.

კონფერენციაზედ წაკითხული მოხსენებანი და მათი განხილვის ოქმი ამჟამად არ დაიბეჭდება. ჩვენ აქ მხოლოდ მოკლედ აღვსუსთავთ უმთავრეს მომენტებს.

21-ს, შაბათს დილით შესდგა პირველი საორგანიზაციო სხდომა ყრილობისა. დამტკიცებულ იქმნა ყრილობის შემადგენლობა, მისი პრეზიდიუმი და მუშაობის შემდეგი წესრიგი: 4 საათზე საზეიმო სხდომა, კვირას დილით ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის, პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს წევრის იოსებ დადიანის და დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის და დამოუკიდებლობის კომიტეტის მთავარი რწმუნებულის კარლო ჩხეიძის საფლავების ნახვა და კვირას ნაშუადღევს 3 საათიდან დახურული სხდომები, კონფერენციის წესრიგში მოთავსებული საკითხების განსახილველად.

საზეიმო სხდომას ყრილობის წევრთა გარდა დაესწრო სხვა პოლიტიკურ პარტიათა და დაჯგუფებათა წარმომადგენელნი. დარბაზის ერთი კედელი საესებით დაფარული იყო ეროვნული დროშებით, ყვავილებითა და დაფნის გრეხილებით, რომელთა შორის მოთავსებული იყო ეროვნული ღერბი, დიდი ილიას, ნიკო ნიკოლაძის, კო

ნსტანტინე აფხაზის და ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათები. სურათების გარშემო კედელი მოფენილი იყო მესამოციანთა მოღვაწეთა და შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გამოცემებით. აქ იყო „ცისკარი“ და „საქართველოს მოამბე“, „იმედი“ და „დროება“, „ივერია“, „მწყემის“, და „ჯვარი ვახისა“, „ერი“, „საქართველო“, „ნიშადური“, „თემი“, „კლდე“, საზღვარ გაოთხელი „თავისუფალი საქართველო“, „იმერეთი“, „თემი“, „საქართველო“, „სახალხო ფლო ვახუა“ და ჩვენი დროის ემიგრაციის ეროვნულ-დემოკრატიული გამოცემები.

საზეიმო სხდომა გაიხსნა 4 ნახევარ საათზე **ექიმ ვახტანგ ღამბაშიძის** თავმჯდომარეობით. ბ. პავლე მოსულიშვილის ხელმძღვანელობით გუნდი ასრულებს ეროვნულ ჰიმნს.

თავმჯდომარე მოუწოდებს კრებას ფეხზე ადგომით პატივი სცეს ეროვნულ ბრძოლებში დაღუპულთა და გარდაცვალებულს პარტიის წევრებს. წაკითხულ იქმნა „სამშობლოში“ მოთავსებული სა მგლოვიარო სია, რომლის შემდეგ გუნდი კვლავ ასრულებს დიდებას.

პირველი მისაღმების სიტყვით მიჰმართავს ყრილობას პარტიის ცენტ. ბიუროს მთავარი მდივანი ალ. ასათიანი.

ალ. ასათიანის სიტყვა:

„ჩვენ აქ შევეყრილვართ საქართველოს ერ. დემ. პარტიის დაბრუნების ოცი წლის თავზედ. სამშობლოს სხეულს ხორციელად მოწყვეტილთა ეს გუნდი მხოლოდ მცირე გამოსახულებაა იმ დიდი შეყრილობისა, რომელსაც ვმართავთ უხილავის სულიერის კავშირით ყველანი ჩვენ, აქ შეკრებილნი, სამშობლო მიწა წყალზე მყოფნი მრავალ ბრძოლას გადახდილნი და კვლავ განმათავისუფლებელ ბრძოლის დროშის ქვეშ მდგომნი, საპურობილეში ჩამწყვდეულნი, ცივს ქვეყნებში გადაკარგულნი, ცოცხალნი და თვით ბრძოლაში და მუშაობაში აღსრულებულნი. ყველანი ვინც გაშალა ჩვენი მიმართულების დროშა და ვინც იბრძოლა და იღვაწა მისი მიზნების განხორციელებისა და დამკვიდრებისათვის. მიცვალეულთ საუკუნო და სამარადისო ხსოვნა და ცოცხალთ მხნეობა, სიმტკიცე და გამარჯვება!

ეს ჩვენი მიმართულება და პოლიტიკური დარაზმულობა არ ისახავს რაიმე სხვა მიზანსა და ამოცანას, თვინიერ მშობელ ერისა და სამშობლო მიწა-წყლისა. მთლიანად და ერთობლივად ერის სულიერ და ხორციელ კაცობის დაცვა, განმტკიცება, მისი ამაღლება და განდიდება შეადგენს ერთად ერთს მიზანს მისი ბრძოლისა და მშვიდობიანი მოქმედებისა. მის მიერ ამ ეროვნულ ბრძოლის ასპარეზზე განვლილი გზა აღავსებს და შემოსავს ამ დარაზმულობას კიდევ ახალი

ძალით, ახალი რწმენითა და ცხოველმყოფელი იმედით მშობლიურ ერისადმი, რომელმაც განვლო და გადიტანა მრავალ საუკუნეთა მანძილზე არსად ხილული შემოსევანი და რბევანი, ტყვეობანი და დაპყრობანი, სისხლიანი ომები და მუდმივი ჯვარცმა, და კვლავ ცოცხლობს, კვლავ არსებობს ვით ერი მტკიცე, უტეხი, შეუპოვრად მებრძოლი კვლავ განთავისუფლებისათვის, კვლავ აღდგენისათვის, აღორძინებისა და განდიდებისათვის. გამარჯვება მას და დიდება საქართველოს!

მშობლიურ სხეულს მოწყვეტილნი, მაგრამ სულიერად მისგან განუყრელნი, მისი მიზნებით ანთებულნი და მის მიერ გაშლილ ბრძოლის დროშის ქვეშ კვლავ მტკიცედ მდგომნი, ჩვენ აქ შევეყრილეთ ერთ უცხოთა შორის, უცხო მიწა-წყალზე. მაგრამ ამ მიწაზე აღმოცენებულა მრავალი კეთილშობილური და ჰუმანიური აზრი და საქმე. ამ ქვეყანაში აღიმართა ერთა თავისუფლების დროშა და ამ ქვეყანაში პოულობდა სათავეს მრავალ დამონებულ ერთა თანაგრძნობისა და დანაშარების საქმე. მართალია ჩვენი ერის ახალი მწარე ბედის წერა შეხვდა ისეთს დროს, როდესაც დასავლეთის ერები განაცდიან ყოველისმხრივს და ყველაზედ მეტად ზნეობრივ დებრესიას. მათში შესუსტდა ჰუმანიური იდეალიზმი და გამძლავრდა ეგოიზმი და მატერიალიზმი. ის ვერ ხედავს და ჯეროვანად ვერ აფასებს მრავალტანჯულ საქართველოსადმი თავის საკუთარს მოვალეობას. იან სობესკის პოლონეთმა რომ ერთხელ გადაარჩინა დასავლეთი აღმოსავლეთიდან მოზღვავებულ შემოსევიდან, რომელიც მას განადგურებით ემუქრებოდა, როგორი იყო როლი საქართველოსი, რომელიც მრავალ საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა დასავლეთისათვის მუდმივ ჯებირსა და კედელს, მრავალ ასეთ მძლავრ შემოსევათა შემკავებელს? და როგორი იქნებოდა ევროპის პოლიტიკური რუქა, უკეთუ ეს მუდმივი ჯებირი არ აღმართულიყო დასავლეთსა და აღმოსავლეთის მიჯნაზე? მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ დასავლეთი გადაიტანს ამ ზნეობრივ დებრესიის ხანას და კვლავ ააცოცხლებს ჰუმანიურ იდეალიზმის სულს. მიუხედავად ასეთი ყოფისა, საფრანგეთში და დასავლეთის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში ჩვენ ვპოულობთ სტუმართ მოყვარეობას და მრავალ თანამგრძნობთა და შეგობრებს. უმადურობა ჩვენს ერს არ სჩვევია, ის მცირე თანაგრძნობასაც აფასებს და არასოდეს ივიწყებს.

ჩვენი ერი არ არის მარტო რუსეთის უღლის გადაგდებისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ის მტკიცედ დადგა დიდი ილიასა და მის თანამებრძოლთა მიერ 70 წლის წინეთ აღმართულ კავკასიის ერთობის დროშის ქვეშ. ეს ერთობა მან გაანაღდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებსა და ბრძოლებში. ამ ბრძოლებში კავკა

სიელ ერთა ერთობა და კავშირი მოუშაადებს მტკიცე ნიადაგს მათ მომავალს სახელმწიფოებრივ კავშირს, დასაცავდ და განსამტკიცებლად საკუთარ ეროვნულ არსებობისა. ამ ბრძოლებში კავკასიის ერები შეკავშირებული არიან უკრაინასა, თურქესტანსა, ყაზახობასა და ყველა სხვა რუსეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ერებთან. სალამი ყველა მათ და გამარჯვება მათს საერთო ბრძოლის საქმეს!

ჩვენ აქ შევყრილვართ ერთი ქართული პოლიტიკური დარაზმულობის ოცი წლის თავის აღსანიშნავად. მაგრამ ჩვენ აქ ვხედავთ სხვა პოლიტიკურ დაჯგუფებათა წარმომადგენლებს. მე მათ არ მოვხსენებ მადლობას, ვინაიდან ეს არ არის მათის მხრივ მხოლოდ ჩვე უღებრივი ზრდილობა და ჩვენთვის პატივის დადება. ეს არის მხოლოდ მცირე გამოსახულება იმ დიდი ერთმანეთისადმი საერთო მოვალეობისა, რომელიც გვაწევს ყველა ჩვენ, ვინც ვდგავართ საერთო ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე და საერთო სამფეროვანი დროშის ქვეშ. ამ სისხლიანს ბრძოლებში მრავალ თაობათა წმინდა სისხლით გაპოხიერებულს ჩვენ მშობლიურ მიწა-წყალზე დამყარებულია დიდი ერთობა, მთელი ერის, ყველა შემადგენელ ნაწილების, ყველა მდგომარეობის, სქესისა და თაობის. ამ ბრძოლამ გააერთიანა ბრძოლაში დაღვრილი სისხლი და ვერავინ გამოყოფს თავიანთთა სისხლს სხვათაგან; გაერთიანებულია საფლავები და ვერავინ გამოარჩევს თავისიანებს ამ საერთო ეროვნულს სასაფლაოზე. გაერთიანებულია ციხე, დევნილობა; გაერთიანებულია მონობის უღლის სიმძიმე, ცხოვრების სიმწარე, ერის ჭირი და ვარამი. დიდება ამ დიდს ეროვნულ ერთობას, სალამი ყველას ვინც მტკიცედ დგას მის ნიადაგზედ და გამარჯვება მის წმინდა მიზანს!

მაგრამ გამანთავისუფლებელი ბრძოლის ხანის ეროვნულ ერთობას წინ უძღოდა ათეული წლები, როდესაც ქართული ძალები იყვნენ დაყოფილი და ერთმანეთის წინააღმდეგ დარაზმულნი. ჩვენ არ გვაშინებს ამის აღნიშვნა და არც იმის კიდევ, რომ მისი გამოძახილი ჯერ კიდევ არ არის სავსებით დაძლეული ჩვენი ეროვნული სინამდვილის ყველა ასპარეზზე. არ გვაშინებს და წინააღმდეგ ამისა კიდევაც გვაძხვნივებს და გვაიმედებს, ვინაიდან ამ დაპირდაპირებათა დასაყრდნობი ნიადაგის უმთავრესი ნაწილი აწუხვე აღმოფხვრილია საქართველოს სინამდვილიდან და მისი მასაზრდოებელი ფესვები გადაჭრილი და ამოგდებული.

წარსულის უთანხმოებათა გამოძახილის შენელებას, ამ ხანადაც დარჩენილ დავათა გვერდის ახვევას და ჩვენი აზრის, ჩვენი ფიქრის, ჩვენი მოქმედებისა და ბრძოლის დამყარებას იმაზედ, რაც არის მთავარი და ძირეული და ამასთანავე საერთო და უდავო, გვავალებს

ჩვენ ეროვნულ დემოკრატიული იდეა და მრწამსი, ჩვენი პარტიის სასახელო წინამორბედთა და მისი იდეურ და პრაქტიკულ პოლიტიკის შემქმნელთა სიტყვა და საქმე, და ყველაზედ მეტად დიდი ილიას დიდი მოძღვრება, დიდი საქმე და დიდი მორალი. რამდენიმე თაობამ მტკიცედ იზრომა, იზრძოლა, ოფლი და სისხლი დაღვარა ამ დიდს ეროვნულ ასპარეზზე. მე მტკიცედ მწამს, რომ ყველანი ჩვენი თანამებრძოლნი და განსაკუთრებით უკვე ეროვნულ ბრძოლის ცეცხლში გავლილი ჩვენი ახალგაზრდობა, ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ოცი წლის თავზედ ისევე სიმტკიცითა და მხნეობით განაგრძობენ ბრძოლისა და მოქმედების ახალ გზას, როგორც ეს ახასიათებს ჩვენი მიმართულების და პარტიის ყველა თაობებს, ყველა ასაკს და ყველა ფენებს.

ელისე პატარიძე — აღნიშნავს, რომ ერ. დემ. პარტია დაეყრდნო დიდი ილიას და მესამოციანეთა ეროვნულ მოღვაწე - მოაზროვნეთა მიერ დამუშავებულს ეროვნულსა და სახელმწიფოებრივ იდეებს და ქართველი ერის მიერ საუკუნოებით შექმნილ ტრადიციებს. ქართველი ერისა და სახელმწიფოს სუვერენობის აღდგენა და მისი ისტორიულ ტერიტორიალურ ფარგლებში ჩაყენება — ეს ის უკვდავი და მარადიული იდეა, რომლითაც ეზიარა ერ. დემ. პარტია და რომელმაც სამსხვერპლოდ მიიზიდა პატრიოტული ახალგაზრდობა მონობაში დაბადებული, მაგრამ მონადვე სიკვდილის არა მსურველი. ჯერ კიდევ პარტიის ოფიციალურ დაარსებამდე არსებობდნენ ტფილისში და ქუთაისში ეროვნულ დემოკ. მიმართულების ახალგაზრდობის ორგანიზაციები. პარტიის დაარსებიდან ამ ორგანიზაციებში იდეურად და პოლიტიკურად გაწვრთნილი ახალგაზრდობა გახდა პარტიის იდეების ხალხში გამტანი, პარტიის ორგანიზატორი, და ცოცხალი მებრძოლი ძალა. თუ პარტიამ მისი არსებობის სულ მოკლე პერიოდში დიდს შედეგს მიახწია, ეს იმიტომაც, რომ ის დაარსებიდანვე დაეყრდნო უკვე გაწვრთნილ ახალგაზრდობას, რაც ძნელი გასაბედი იყო პარტიის უფროსი, პასუხისმგებელი თაობისათვის. ის უფრო იოლი გასაბედი იყო ეროვნული ცეცხლით ანთებული ახალგაზრდობისათვის. ამით აიხსნება, რომ პირველი ეროვნული დროშა რევოლუციის პირველ დღეებშივე ქუთაისის ახალგაზრდობამ გააკეთა და ზედ გაბედულად წააწერა: „დიდება სამშობლოს, გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“.

ორატორი გადადის თანამედრონე საკითხებზედ და აღნიშნავს, რომ არსებობენ პრინციპიალური ეროვნული საკითხები, რომელნიც ურყევენი არიან დროისა და გარემოების მიუხედავად. ასეთ დიდ საკითხთა რიგს ეკუთვნის საქართველოს ეროვნული და ტერიტორიალური მთლიანობა. ქართველი მამულიშვილის თვალნი მიპყრო-

ბილნი უნდა იყვეს დავით აღმაშენებლისა და თამარ დედოფლის ძლიერი საქართველოს უმაღლეს მწვერვალებსაკენ. თუ ჩვენ დღეს არა გვაქვს საშვალება აღვადგინოთ იმ ოქროს ხანის ტერიტორიის სრულყოფილება, იმის საშვალება მაინც გვაქვს, რომ წინაპართაგან გადმოცემული ეს დიდი იდეა, და მიზანი შეუბღალავად აზროვნებაში და გულში ვატაროთ და მომავალ თაობებს უანდერძოთ, როგორც მათი ზრუნვის მიზანი.

ვლ. ემუხვარი — თავის სიტყვაში მოიგონებს ზოგიერთ მომენტს კოტე აფხაზის მოღვაწეობიდან, სადაც გამოძეულა ან დიდი ქართველის დიდი სახელმწიფოებრივი ბუნება და შემდეგ ახასიათებს მდგომარეობას, რომელიც დამყარდა აფხაზეთში საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაში. აქ მეტად აქტიურ მუშაობას აწარმოებდნენ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის და ოსმალეთის აგენტები. ამ უკანასკნელთა მეთაური იყო **ჰაიდარ ბამატი** და მისი მოღალატეობრივი მუშაობა საქართველოს მმართველებმა მეტად გვიან გაიგეს, ან შეიძლება ბოლომდის ვერ გაიგეს, რადგან ის თავის აგენტად და თანამშრომელად მჩაჩნდათ და დიდ დახმარებასაც უწევდნენ. ამთ წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე დატყდა აფხაზეთის ეროვნულ დემოკრატებს, რომელთაც დიდი მოღვაწეები მეთაურობდნენ, და მათ შორის ყველაზედ მნიშვნელოვანი იყო როლი თავად ჯოტო შარვაშიძის და ასტამურ ინალიპასი, როგორც აფხაზების. ეს შეუპოვარი ბრძოლა საქართველოს მტრების წინააღმდეგ მეტად აზიანებდა ჯოტო შარვაშიძის პირად ინტერესებს, როგორც მსხვილი მრეწველის და მემამულის, მაგრამ განსვენებულმა ჯოტომ საყვებით დაუმორჩილა საკუთარი ინტერესები საერთო ეროვნულს. მისი ღვაწლი საქართველოს წინაშე მეტად დიდია*).

სევერიან კირაქაძე — ახასიათებს იმ მძიმე პირობებს, რომელშიდაც მოუხდა ეროვნულ - დემოკრატიულ მიმართულების წარმომადგენლებს ორგანიზაციული მუშაობის დაწყება და შემდეგ პარტიის დაფუძნება. ათეულ წელთა მანძილზე წარმოებულ სოციალისტურ პრობაგანდამ და სოციალისტების ორგანიზაციულ მუშაობამ ჩაითრია მთელი თაობები. ამას დაემატა კიდევ 1905 და შემდეგ 1917 წლის რევოლუციების გავლენა, რამაც ბუნებრივად დაამყარა ხალხში რევოლუციური ატმოსფერა და სულისკვეთება. ყოველივე ეს, რასაკვირველია ამაგრებდა სოციალისტურ პარტიებს და მეტად

*) უკანასკნელად ბ. ემუხვარმა გადალაზა ამ დიდი აფხაზების ტრადიციული გზა, ქართული საზოგადოებრივობა მკვდრათ გამოაცხადა და მის მიერ ასე „ნაქებ“ ბამატს აეკიდა, რის შემდეგ ის აღარ ირიცხება ჩვენს წრეში.

მძიმე პირობებს უქმნიდა არა სოციალისტურ დაჯგუფების მუშაობას. მაგრამ მიუხედავად ამისა, ეროვნულ - დემოკრატიული მუშაობა თავიდანვე დიდს გამოძახილს ჰპოულობდა ერში. ცხოვრების ზედა პირი მისთვის ცუდს პირობებს წარმოადგენდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უფრო ღრმად, ერის გულის სიღრმეში ამ მიმართულებას მოეპოვება საუკეთესო ნიადაგი. სოფელი და ქალაქი და თვით ისეთი მივარდნილი კუთხეებიც, როგორც არიან აჭარა, ფშავ - ხევსურეთი და სვანეთი მხურვალედ გამოეხმაურენ დაწყებულ საქმეს. ამის დიდი მანიფესტაცია იყო უკვე პირველი ყრილობა ერ. დემ. პარტიისა, მაგრამ ყველაზე დიდი რასავირკველია კვლავ შემოჭრილ რუსეთის წინააღმდეგ თავგანწირული ბრძოლები და აჯანყებები, სადაც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ ერის საუკეთესო აქტიური ძალები დარაზმა და გამოიყვანა განმათავისუფლებელი ბრძოლის ასპარეზზე.

ბ. ნიკო ურუშაძე — საქართველოს სოც. ფედერალისტთა პარტიის სახელით შემდეგი სიტყვით მიმართავს ყრილობას:

„ საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის 20 წლის არსებობის დღესასწაულს ჩვენ, საქ. სოც. ფედერ-ისტები, განსაკუთრებულის თანაგრძნობით ვეგებებით. ჩვენს ორს პარტიას უეჭველად მჭიდროდ აკავშირებდა თავიდანვე გარკვეული ეროვნული იდეალი, ბრძოლა ქართველ ერის ნაციონალურ მეობის აღდგენისა და განთავისუფლებისათვის. ჩვენ, ორივენი ერთად ვიბრძოდით ამ იდეალისათვის ჯერ კიდევ იმ მეტად მძიმე პირობებში, როცა საქართველოს მომავალი ბედი ბევრისათვის ნათელი არ იყო, არც იმედით და რწმენით მოსილი.

მაგრამ დღევანდელ საზეიმო დღეს ს. ფედ-ბს არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ ისიც, რომ ბევრმა პირველმა მეთაურმა და შემდეგში პირველ რიგებში მებრძოლმა ეროვნულ დემოკრატებმა თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა დაიწყო სოც. ფედ. პარტიაში, იქ დაეწაფა პირველად ეროვნულ მისწრაფებებს და შეიცნო ქართველი ერის აღდგენის გარდაუვალობა.

ვიგონებთ ყველაფერს ამას მხოლოდ იმ ერთად ერთის მიზნით რომ ხაზი გავუსვათ, თუ რამდენად უნდა გავიაღვილოს ამან ორივე პარტიას ერთმანეთის გაგება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს დღეს ჩვენი ორი პარტიის განსხვავებულს ერთობას. ქართველი ერის წინააღმდეგ ნაციონალურ იდეისათვის დღეს მთელი საქართველო, ყველა პარტია და ჯგუფი თავგამოდებით და ურყევად იბრძვის.

დღეს ყველა ქართველს ერთი მიზანი ასულდგმულებს — დაკარგულ თავისუფლების დაბრუნება, სამშობლოს აღდგენა და აქ, ყველას გვმართებს ერთად ყოფნა, ერთი მჭიდრო კავშირი, ერთმა-

ნეთის მიყოლა და გულითადი პირდაპირი, აშკარა ძმობა და თანხმობა.

ეროვნულ - დემოკრატიულმა პარტიამ საპატიო როლი ითამაშა ქართველ ერის ნაციონალურ თვითშეგნების საქმეში, მან ბევრი დაუეწიარო მსხვერპლი შესწირა სამშობლოს თავისუფლებას. ამის გახსენება უეჭველად გაამხნევეს და განამტკიცებს თქვენს სულიერ განწყობილებას და მოგმატებთ ძალას და ენერგიას კვლავ განაგრძოთ სხვებთან ერთად მუშაობა და ბრძოლა ჩვენი ქვეყნის თავისუფლების და ბედნიერების დასამკვიდრებლად.

გისურვებთ წარმატებას და თქვენი მიმართულების ყველა დაჯგუფებათა გაერთიანებას.

დასასრულს, ყრილობის თავმჯდომარე **ბ-ნი ვახტანგ დამბაშიძე**, ახასიათებს იმ საშინელ და ვერაგულ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის მთავრობა ყველა რუსეთის მონობის ქვეშ მოქცეულ ერების წინააღმდეგ და რა მძიმე და მოწამლულ ატმოსფერას ამყარებდა ასეთი პოლიტიკა ჩვენს სამშობლოში.. მას საინტერესო ეპიზოდები მოჰყავს თავის მოწაფეობისა და სტუდენტობის ხანიდან და მით ნათელ ჰყოფს იმ უდიდეს წინსვლას, რომელიც გააკეთა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ და საქმემ უკანასკნელ ნახევარი საუკუნის მანძილზე, მიუხედავად ყველა სიძნელისა და მძიმე დარკოლებისა.

თავმჯდომარე მოუწოდებს ყრილობას სიმტკიცისათვის და გამოსთქვამს სრულს რწმენას, რომ საქართველოს განთავისუფლების ეამი შორს არ არის.

მორე დღეს, კვირას დილით ყრილობის წევრებმა ინახულეს და ყვავილებით შეამკეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის, იოსებ დადიანის და კარლო ჩხეიძის საფლავები. ახლად გარდაცვალებულ იოსებ დადიანის საფლავზედ, განსვენებულის ოჯახის წევრების თანდასწრებით, ყრილობის სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოთქვა ელისე პატარიძემ.

ამავე დღის 3 საათზე გაიხსნა ყრილობის დახურული სხდომა. ბ. ალ. ასათიანმა გააკეთა მოხსენება შესახებ ცენტრ. ორგანოების მუშაობისა, რომლებშიაც, მომხსენებელს გათვალისწინებული აქვს მნიშვნელოვანი ცვლილებათა მოხდენის საჭიროება, მათი მოქმედებისათვის პირობების გამოცვლის გამო. ორგანიზაციული და პრაქტიკული მუშაობის საკითხების გარშემო მსჯელობაში მონაწილეობას ლებულობენ: ს. ზალდასტანიშვილი, ე. პატარიძე, ა. აბაშიძე, ი. ზოჭოლავა, ალ. ფაშალიშვილი, დ. უგრეხელიძე, ხ. ქოჩაქიძე, გ. ინჯია, ნ. ერისთავი და სხვ.

ყრილობამ დაადგინა, რომ ხელმძღვანელი ორგანო, საბჭო შეს-

დგეს ახალ ნიადაგზე. მასში მარტო ცენტრში მყოფნი არ უნდა იჩეოდნენ. არამედ პროვინციებიდანაც. ხოლო საჭიროა, რომ საბჭოს აღმასრულებელ ორგანოში იმყოფებოდნენ ცენტრში მობინადრენი. ს. ზალდასტანიშვილის წინადადების თანახმად აღმასრულებელ ორგანოს ევალება წვერთა ახალი რეგისტრაციის მოხდენა და ახალი რეგლამენტისა და წესდების შემუშავება.

დემ. კიბარეშვილი — მოახსენებს კრებას შესახებ პოზიციისა, რომელიც დაიკავა საქართველოს მიმართ ჰაიდარ ბამატმა და მისმა ჟურნალმა „კავკაზ“მა. მომხსენებელი მოიგონებს ბამატის მოღვაწეობას ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში და ჰეჭროს, რო ეხლანდელი მისი მუშაობა კიდევ უფრო მავნეა და სახიფათო ჩვენთვის. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიას მოეთხოვება ყველა სხვებზე უფრო მტკიცედ დაიცვას საქართველოს ტერიტორიალური მთლიანობა და ჟურნალში მოთავსებული წერილი არ არის საკმარისი. საჭიროა სერიოზული კომპანიის წარმოება ასეთი ბოროტი საქმის წინააღმდეგ.

ელიხე პატარიძე — აკეთებს მოხსენებას „დემოკრატიზმი და პარლამენტარიზმი“. მოხსენებამ ცხოველი აზრთა გაზიარება გამოიწვია. გამოითქვა სურვილი, რომ მოხსენებაში აღძრული საკითხებ-თვისების სახით გაეცნოს პარტიულ წრეებს და შემდეგ გახდეს ფართო მსჯელობის საგნად. საზოგადოთ მიჩნეულ იქმნა საჭიროდ განმარტებების გაკეთება და ახსნა გაშუქება პარტიის ძირეული შეხედულებისა ამ საკითხზე, რათა ყველასათვის ნათელი გახდეს, რომ ჩვენი პარტია არასოდეს იზიარებდა დემოკრატიის ვიწრო, დემაგოგიურ და სოციალისტურ გაგებას.

ნიკ. ერისთავი — ჰკითხულობს მოხსენებას საქართველოს მომავლისათვის საურველ წყობილების შესახებ. მომხსენებლის აზრით ჩვენ ეხლა ვერ შევიმუშავებთ დეტალურ გეგმას ამ საკითხზე. ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა, ქართველი ხალხის ბუნებისა და თვისებათა მიხედვით, ჩვენი ხალხური მაგრამ ნაციონალური იდეოლოგია ადვილად გამონახავს საქართველოსათვის სასურველს და მოხდენილს წყობილებას.

ამი შემდეგ არჩეულ იქმნა ფარული კენჭის ყრით 15 წევრისაგან შემდგარი ერ. დემ. პარტიის საზღვარ გარეთის საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი. საბჭოსა და კომიტეტის თავმჯდომარე ბ. ალ. ასათიანი თავის საბოლოო სიტყვაში გამოსთქვამს რწმენას, რომ ჩვენი ეროვნული ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი მოახლოვებულია და ჩვენი პარტია ღირსეულის მარაგით დახვედბა მას. ის მადლობას უცხადებს ყრილობას ნაყოფიერი მუშაობისათვის და ზურავს ყრილობას, რომლის უკანასკნელი სხდომა განუწყვეტლივ გრძელდება ნაშუადღევის 3 საათიდან საღამოს 11 ნახევარ საათამდე.

პ რ მ ს ა

მეორე ინტერნაციონალი.

ამ წელთა მანძილზე ჩვენ არა ერთხელ შევხებივართ ქართველი სოციალ დემოკრატების მეორე ინტერნაციონალში მონაწილეობის საკითხს. უკანასკნელ დროს ჩვენი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი რასაკვირველია კიდევ უფრო უარყოფითი გახდა. „ბრძოლის ხმა“ იცავს საწინააღმდეგო თეზას და ამტკიცებს, რომ წინააღმდეგ ამისა, ეს დიდათ სასარგებლოა ჩვენი ეროვნული მიზნების თვალსაზრისით. მას მოჰყავს ინტერნაციონალის დადგენილებები საქართველოს შესახებ და ივანებს იმ დახმარებებს, რომელიც გაუწიეს ევროპის სოციალისტ მოღვაწეებმა საქართველოს წარმომადგენლებს უცხოეთში. ეს ჩვენ სრულიად არ მიგვაჩნია სადავოთ, მაგრამ, ეს წარსულს ეკუთვნის. ხოლო ახალი ფაქტი ის არის, რომ მეორე ინტერნაციონალი მუდამ იცავს საბჭოთა რუსეთს და ასევე მუდმივს ცდაშია მესამე ინტერნაციონალთან მტკიცედ დაკავშირებისათვის. ბ-ნი გვარჯალაძე მართალია როდესაც სწერს, რომ ასეთი გაერთიანება ჯერ არ მომხდარა და შეიძლება ვერც მოხდეს. ამ ორი ინტერნაციონალის გაერთიანება მოითხოვს სოციალისტური და კომუნისტური პარტიების იმდენ შინაურ სადავო საკითხებისა და ინტერესების შეთანხმებას, რომ ამის მიღწევა ყველგან მეტად ძნელი იქნება. მაგრამ ამ ორი ინტერნაციონალის გაერთიანება ფაქტიურად დიდი ხანია მოხდა საგარეო, საერთაშორისო ასპარეზზე, სწორედ იმ სფეროში, რომელიც ჩვენ გვხვდება ეს ორი ინტერნაციონალი დიდი ხანია ჰქმნის ანტიფაშისტურ მოძრაობას მთელს მსოფლიოში და მით ბრძოლას უცხადებს ზოგიერთ დიდ სახელმწიფოს, რომლებთანაც ჩვენ არაფერი გვაქვს საბრძოლველი, და მუდამ იცავს საბჭოთა რუსეთს, რომლის წინააღმდეგ მთელი ქართველი ერი იბრძვის და ყველა მისი დაჯგუფებები და მათ შორის სოც-დემოკრატებიც. ასეთი ინტერნაციონალის ხაზზე არ დგას თავიდანვე ჩვენი ეროვნული ფრონტი, რომელიც იბრძვის რუსეთისა და მისი ინტერნაციონალის წინააღმდეგ. მაგრამ ასეთ ინტერნაციონალში ვერაზინ იგულისხმებს თვით იმ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც სისხლს ღვრიან და იბრძვიან საქართველოში მთელ ერთან ერთად. ასეთი ინტერნაციონალების ერთგულ წევრებად ვერ ჩათვლიან უთუოდ თავის თავს თვით ის ქართველი ბოლშევიკებიც, რომელნიც ამ ბოლო დროს ქართველი ერის ბრძოლის საქმეში ებმებიან და მისთვის თავსაც სწირავენ. ყოველივე ამის მიხედვით ქართველი სოციალ - დემოკრატები ვალდებულნი არიან ფორმალური განაღდება მისცენ იმ ფაქტურ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ქართველ სოციალ დემოკ-

რატების საერთო ეროვნულ ბრძოლის ფერხულში ჩაბმით. საქართველოს ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ არის წმინდა ეროვნული ბრძოლა და მისი უმთავრესი მიზნები პირდაპირ ეწინააღმდეგება მეორე ინტერნაციონალის ეხლანდელ ზრახვებს.

შეიძლება ეს ძალა მომავალშიც გამოგვადგესო. მივიჩნით შესაძლებლად, თუმცა ძლიერ საეჭვოა რომ მისი პოზიცია მოსკოვის მიმართ გამოიცვალოს და ეს მთავარია ჩვენთვის. მაგრამ ასეც რომ მოხდეს, მეორე ინტერნაციონალი მხოლოდ თავის წევრებს ხომ არ იცავს? თუ ჩვენი საქმე შეეფუტება მომავალში მეორე ინტერნაციონალის მიზნებს, ის კვლავ გამოიტანს თანაგრძნობისა და დაცვის რეზოლუციებს, დამოუკიდებლივ იმისა იქნება თუ არა მის წევრად ქართული სოციალ დემოკრატია. საქართველო არასოდეს დაუტავს მეორე ინტერნაციონალს ისე როგორც დაიცვა მან აბესინია. ის ომი-სთვისაც კი მოუწოდებდა ევროპას ნეგუსის დასაცავად, თუმცა ხაილე სალასიე არასოდე ყოფილა მეორე ინტერნაციონალის წევრი.

თუ სოც. დემ. მეორე ინტერნაციონალში დარჩენა სწორია, მაშინ ხომ უფრო სწორი იქნება სხვების მოთავსება საწინააღმდეგო ინტერნაციონალურ ხაზზე — ფაშისტურ ანტიკომუნისტურ ხაზზე, რადგან ეს ძალა ებრძვის მოსკოვსაც და მის კომუნისტსაც. ეს კი იქნება ერთი მებრძოლი ეროვნული ფრონტის ორ დაპირდაპირებულ ფრონტად გადაქცევა და მით მისი ძალების სრული პარალიზაცია.

ეს მეორე ინტერნაციონალის საკითხი, რასაკვირველია, ფაქტიურად ემიგრაციის წინაშე სდგას მხოლოდ, მაგრამ ასეთად დიდი ზიანი მოაქვს იმ ხრივ, რომ ხელს გვიშლის ნამდვილ და ორგანიულ ერთობის დამყარებას. ასევე გვასუსტებს მოსკოვის წინააღმდეგ მებრძოლ დამონებულ ერთა ფრონტებზე, სადაც მეორე ინტერნაციონალის ხსენებაც არ არის და ასევე გვიჭმნის ისეთ შთაბეჭდილებას, თითქოს ჩვენც გარეული ვართ ევროპის დიდ სახელმწიფოთა ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებაში

პარტიის იუბილე — ბამატის „კავკაზი“ ყველაფერში გვედავება და ჩვენი პარტიის იუბილეს შესახებაც გამოსთქვამს ზოგიერთ ბრძნულ აზრებს: 1) პარტიის იუბილე მენშევიკებმა შემოიღესო. ეს არ უნდა იყოს სავესებით მართალი, რადგან, არამც თუ 20 წლის თავს, არამდ ყოველწლიურად კმართვენ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში პარტიის დაარსების დღეს ფრიად დიდს ზეიმებს.

2) საიუბილეო „ისტორიაში“ არც ერთი ცოცხალი ეროვნულ-დემოკრატი არ არის მოხსენეულიო. ეს აიხსნება იმით, რომ ჟურნალში არ მოთავსებულა პარტიის ისტორია, არამედ მისი მოღვაწეო-

ბის ზოგადი განხილვა. მკვდრების და ცოცხლების ნაშრომი და ნაკეთები იყო დასურათებული, ხოლო მიცვალებულნი იყვენ მოხსენებულნი, ვინაიდან ეს შეიძლებოდა და ცოცხლები არ იყვენ ჩამოთვლილნი, ვინაიდან ეს არ შეიძლებოდა. ჩვენს პარტიას ღვთის მადლით ცოცხლები მარტო ემიგრაციაში არ ჰყავს. შესაძლოა ზოგი ჰფიქრობს, რომ პარტიის ისტორია მაშინ იქნებოდა სწორი, უკეთეს მთელი მისი მოღვაწეობა მიეწერებოდა ემიგრაციაში მყოფ თითო-ოროლა პირს, მაგრამ ჩვენ ასეთი აზრის არა ვართ.

3) — კონფერენციაზე ცხარე კამათი გამოიწვია საერთო ფრონტში ყოფნის საკითხმა, გადაწყდა ფრონტიდან გამოსვლა, ხოლო დროს შერჩევა ალ. ასათიანს მიენდოვა.

არავითარი კამათი არ ყოფილა საერთო ფრონტის შესახებ, რადგან ჩვენ ამ ფრონტს ვარჩევთ ფრონტზედ მომჭმედ ორგანიზაციებზე და ჯგუფებისაგან. იყო კრიტიკა და ცხარე კამათიც ეროვნული ცენტრის და მრავალი სხვა ორგანიზაციის შესახებ, ხოლო არავითარი ახალი დადგენილება არ გამოტანილა ამ საგანზე და არც რომე დროს შერჩევა დაუვალეზია ყრილობას ვინმესათვის.

4) „კავკასს“ არ მოსწონს, რომ „ზოგი ერ. დემ. ლიდერი ილიაზედ არის სახრჩობელასავით ჩამოკონწილებული.“ არაშც თუ ესა თუ ის ლიდერი, არამედ მთელი ჩვენი პარტია და მიმართულება მიგვაჩნია ჩვენ დიდ ილიას აზროვნებასა და მოღვაწეობაზედ დაფუძნებულად და დამკვიდრებულად. ჩვენ კარგად ვიცით, რომ „კავკასის“ თანამშრომლებისათვის ილია ვეღარ იქნება ის, რაც არის ჩვენთვის და მთელი ერისათვის. ბამატზე ჩამოკონწილებულთათვის მართლაც რომ სახრჩობელას თოკია დიდი ილიას ეროვნული სული, ეროვნული აზროვნება, ეროვნული ღირსება და სიამაყე.

ერთი უმსგავსოების გამო

თავის „ცნობილ“ წიგნაკში, რომელზედ დაბალი ჯერ ემიგრაციაში არაფერი დაწერილა, და რომელშიაც ყველას და ყველაფერს შეეხო, ბ-ნმა ცაგურიამ ეროვნულ დემ. პარტიასაც გაჰკრა კბილი. ჩვენ ჩვენი პარტიის ღირსება გვავალებს, ყველასა და ყველაფერზედ პასუხი არ გავსცეთ და მით უფრო ასეთი უმსგავსო „წიგნის“ ავტორს.

ბ. ცაგურია ამ წიგნაკში ჩვენი ეროვნული გმირის საფლავსაც კმეტად უდიერად მოექტა. ქაქუცა ჩოლოყაშვილს მკვდარსა და ხელეზ დაკრეფილსაც კი არა სჭირდება სხვათა მიერ დაცვა. მაგრამ თუ ვინმე ჰფიქრობს, რომ ქ. ჩოლოყაშვილის ხსოვნას ასეთი გამოსვლებიდანაც სჭირთა დაცვა, ყოველს შემთხვევაში ეროვნული გმირის წმინდა სახელის დაცვად ვერ ჩაითვლება ბამატის „კავკა-

ნ ა მ შ ო ზ ლ ო

ზის“ ვერც პირველი და ვერც მეორე წერილი. აქ „კავკასის“ თანამშრომლები საფარად, თავის დასაცავად, სხვათა საგნებლად, საკვებნათ და ერთმანეთის ქება ხოტბისათვის იყენებენ ჩვენი ეროვნული გმირის წმინდა ხსოვნასა და სახელს. არა ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის დაცვისათვის, არამედ ჩვენი ეროვნული სინიდისისა და ზნეობისათვის საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი აღშფოთება და გულისწყრომა გამოვსთქვათ ეროვნული გმირის ასე უდიერად მოხსენებისათვის და ვსთხოვოთ ყოველ ქართველს, რომ მომავალში მაინც აღარ იქმნას მისი სახელი გამოყენებული პარტიულ თუ პოლიტიკურ დეავათა ასპარეზზედ, რათა ეროვნული გმირის წმინდა სახელი ღირსეულად იქმნას დაცული და შენახული.



„თავისუფალი ყაზახობის“ 10 წლის .თავი

გასული წლის დეკემბერში, ყაზახ ნაციონალისტების მთავარ ორგანო „თავისუფალი ყაზახობა“ს რედაქციამ გადაიხადა ამ ჟურნალის არსებობის 10 წლის იუბილე.

საიუბილეო ბანკეტი გაიმართა კაფე „ტურისტ“ში. ბანკეტს დაესწრო ყ ა ზ ა ხ უ რ ი ფართე საზოგადოება, თავიანთი უმაღლესი სარდლობით (გენერლებით) და მიწვეული, ყველა მეზობელი ერების წარმომადგენლები. ქართული კოლონიიდან ბანკეტს დაესწრენ ბ. ბ. ა. ჩხენკელი, ალ. ასათიანი და გრ. აბულაძე.

დღესასწაული გახსნა „თავისუფალი ყაზახობა“ს სალაშქრო ატამანმა ინჟ. ი. ბილიმ. ის მიესალმა სტუმრებს, მეზობელ ერების წარმომადგენლებს და მოკლეთ გააცნო საზოგადოებას მათ მიერ ამ ათი წლის განმავლობაში გავლილი გზა — ეროვნული თვითგამორკვევის მიზნით. მისი სიტყვა აგრეთვე შეეხებოდა დღევანდელ პოლიტიკურ მომენტს.

ყაზახებმა იმდერეს დონისა და ყუბანის ეროვნული ჰიმნები, რომელიც საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა. შემდეგ დაიწყო სტუმრების მისალმებები: სომხების ეროვნული მოძრაობის სახელით მიესალმა სომხეთის ყოფ. მთავრობის თავმჯდომარე ბ. ალ. ხატიშოვი. უკრაინელების სახელით მიესალმა უკრაინულ ენაზე უკრაინის რესპუბლიკის ყოფ. საგარეო საქმეთა მინისტრი პროფ. შულგინი. აზერბეიჯანის სახელით აზერნის საზღვარ გარეთელი დელეგაციის თავმჯდომარე ბ. ა. ალიბეკოვი. თურქესტანის სახელით — თურქესტანის ყოფ. მთავრობის თავმჯდომარე ბ. გ. ჩოკაევი.


საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელ მოძრაობის სახელით „თავისუფალ ყაზახობას“ ესალმება ბ. ალ. ასათიანი, რომლის ვრცელი და შინაარსიანი სიტყვა საზოგადოებამ მოისმინა დიდი ყურადღებით და რამდენჯერმე იქმნა შეწყვეტილი ტაშის ცემით.

კავკასიის - უკრაინის და თურქესტანის ერების მეგობრობის კომიტეტის სახელით, მხურვალე სიტყვით ესალმება ამავე კომიტეტის თავმჯდომარე ბ. აკაკი ჩხენკელი.

წარმოთქმულ იქნა აგრეთვე სიტყვები საფრანგეთის პროვინციების „თავისუფალ ყაზახთა“ სტანიცების წარმომადგენლების შიერ. სტუმრებს უმღერა საუცხოვო ხმით უკრაინული, ჩეხური, და ფრანგული რომანსები, ბანკეტის დიასახლისმა ქნმა ბილიმ.

თავის საბოლოო სიტყვაში ბანკეტის თავმჯდომარემ ინჟ. ბილიმ, დიდი მადლობა მოახსენა დამსწრე მეზობელ ერების წარმომადგენლებს და გამოსთქვა თავისი ღრმა რწმენა, რომ ჩვენ ერთმანეთს შევხვდებით ბანკეტებზე ჩვენს მშობლიურ განთავისუფლებულ მიწა-წყალზეო. ახლო მომავალში კი ჩვენ ერთად ვიქნებით, ჩვენი ეროვნული თავისუფლებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაშიო — დაასკვნა ატამანმა.

გ. ა.



ე მ ი გ რ ა ც ი ა შ ი

ილია ჭავჭავაძის იუბილი

31 ოქტომბერს პარიზში გაიმართა ილია ჭავჭავაძის ასი წლის აღსანიშნავად ლიტერატურული საღამო. მოხსენებები წაიკითხეს ბ. ბ. ვ. ლამბაშიძემ, გ. ჟურულმა და გ. გვაზავამ და მგოსნის ნაწარმოებიდან ადგილები ივ. ზურბაიშვილმა, ქ-ნ ელენე მამულაიშვილმა, სიმ. ბერეიანმა, გ. ყიფიანმა და აბდუშელმა.

რუსთაველის დღეები უცხოეთში

ვარშავაში — 3 და 11 დეკემბერს გაიმართა დიდი ზემით შოთა რუსთაველის 750 წლის დღესასწაული.

ჟენევაში — საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალურ კომიტეტმა ნაციათა ლიგის დამხმარე ასოციაციებთან ერთად გამართა რუსთაველის საღამო. ლექცია წაიკითხა ხ. შავიშვილმა. სიტყვები წარმოსთქვეს პროფესორ მალშმა და პროფესორ რაპარმა, ჟან მარტენმა და რუსთველიდან ნათარგმნი ადგილები ცნობილმა პოეტმა პიაშომ.

პარიზში — გაიმართა საზეიმო კრება კვირას, 30 იანვარს. მოხსენებები წაიკითხეს: ს. ფირცხალავამ, რ. არსენიძემ, ალ. მანჯელი-შვილმა, გ. გვახავამ. ვეფხის ტყაოსნიდან ადგილები წაიკითხა სიმ. ბერევიანმა.

25 თებერვალს, სორბონის დიდ დარბაზში ფრანგული ინსტიტუტი ემიგრაციისა ჰმართავს დიდ ზეიმს, რუსთველის 750 წლის თავის აღსანიშნავად. ზეიმი გაიმართება სორბონის ყოფილი რექტორის **შარლეტის** თავმჯდომარეობით და მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი ფრანგი, ინგლისელი და პოლონელი მწერლები და მეცნიერები.

ე. პატარძის მოხსენება

თებერვლის ნ-ს, კათოლიკ სტუდენტთა დარბაზში ელჩებმა **პატარძემ** წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „დემოკრატიზმი, პარლამენტარიზმი და რეჟიმის საკითხი“

კვირას 20 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე „მიუზე სოსილ“-ის დარბაზში ქართველთა ასოციაციის გამგეობა იწვევს საქართველოს დაპყრობის 17 წლის შესრულების გამო **სამგლოვიარო კრებას-**

შალვა ბერიძის — მეცნიერული მუშაობა იტალიაში — ბ. რ. ინგილოს წერილი ამ საგანზედ, უკვე აწყობილი, სამუშაოდ არ ჩაეტია ამ ნომერში.

ბ ა ნ ც ხ ა ღ ე ბ ა

„კავკასიის“ მეშვიდ ნომერში დაბეჭდილ 4 დეკემბრის კრების ანგარიშში ნათქვამია, რომ თითქოს ჩვენ კრება უდროვოდ დაეტოვეთ, რადგან მან მიიღო უწყესო და არა სასურველი ხასიათი.

ეს ცნობა სიმართლეს სრულებით არ შეეფერება. კრება თავიდან ბოლომდის, მიუხედავად სიმხურვალის და სიცხოველისა, რაიც ჩვეულებრივია ყოველ ქართულ კრებაზე, — სრულიად წესიერად და უინციდენტოთ ჩატარდა, და თუმცა თავმ-რე დაღლილი იყო, ჩვენ ვაპირებდით ბოლომდის დარჩენას. მაგრამ ის თავაზიანი ქართველი, რომელმაც პატივი გვცა და სოფლიდან თავის ტაქსით ჩამოგვიყვანა და უკანაც უნდა გავებრუნებოეთ, ავად შეიქმნა (გაცივებული იყო) და თუ აღრე (მერვე საათი იყო უკვე) არ წამოვიდოდით, შემდეგ დაბრუნება გავგიძნელებოდა.

აი ამიტომ დაეტოვეთ კრება, მით უფრო რომ იგი არსებითად დასრულებული იყო უკვე და რეზოლუციის მიღება უბრალო ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა.

პროფ. ექ. თაყაიშვილი
ს. ფირცხალავა

Gérante : M^{lle} Suzanne Bertillon.

პანაშვიდი — იანვრის 30-ს ჟურნალ „ახალი ივერია“ს რედაქციის მიერ უკრაინელთა ეკლესიაში გადახდილ იქმნა პანაშვიდი საქართველოში ბოლო დროს დახვერტილ მამულიშვილთა სულის მოსახსენებლად.

— ამავე დღეს გადახდილ იქმნა პანაშვიდი **სიმონ მდივანის** გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო.

— გამოვიდა **ალ. მანველიშვილის** წიგნი „საქართველოს საზღვრები“.

ალ. ასათიანის მოხსენება — 9 იანვარს სოშოს ქართულ საზოგადოების წინაშე ბ. ალ. ასათიანმა წაიკითხა მოხსენება — საერთაშორისო ვითარება და საქართველოს გამანათავისუფლებელი ბრძოლის გზები. მოხსენებას მოჰყვა აღძრულ საკითხებზე აზრთა გაზიარება.

ლიტერატურული შეჯიბრი

ჟურნალ „სამშობლოს“ რედაქციამ მიიღო ბ-ნ ბაგრატ სამხარაძესაგან, ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად — 700 ფრანკი.

„სამშობლოს“ რედაქციამ მასთან შეთანხმებით ამ თანხიდან დანიშნა ორი ჯილდო:

1) ილია ჭავჭავაძეზედ საუკეთესო ლექსის დამწერს 200 ფრ.

2) ქართული ცხოვრებიდან დრამატიული ან ბელეტრისტული საუკეთესო მხატვრული ნაწარმოების დამწერს — 500 ფრანკი.

ლექსი უნდა იყოს არა ნაკლებ 25 ტაეპისა. მხატვრული ნაწარმოები არა ნაკლებ 20 გვერდისა და წარმოდგენილი უნდა იქმნან ამა წლის 1 აპრილისათვის. ორთავენი უნდა გადმოიგზავნოს „სამშობლოს“ შედაქციის მისამართით; ბ-ნ ელ. პატარიძე — 89, რიუ დელა რეპუბლიკ, სენტ მანდე (სენ).

მიღებული საკონკურსო მასალები გადაეცემა განსახილველად ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომისიას, რომელსაც დაემატება ამ მიზნისათვის „სამშობლოს“ რედაქციის ერთი წარმომადგენელი.

კომისიის მიერ მიღებული ლექსის და მხატვრული ნაწარმოების გამოქვეყნების უფლებას იტოვებს „სამშობლოს“ რედაქცია.

კონკურსი გამოცხადებულ იქმნა ქართული ასოციაციის გამგეობის მიერ პარიზში გამართულ ილია ჭავჭავაძის საიუბილეო საღამოზე.

Wynham

n 103/8



Rédaction et administration :

E. Pataridzé

89, Rue de la République,
St-Mandé (Seine), France.